

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კვლევის
შემაჯამებელი ანგარიში**

დეკემბერი, 2012

თბილისი

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის გაზრდა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ იმ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიის განმტკიცებისა და მშვიდობის წინაპირობას საქართველოში.

ანგარიში მომზადებულია *მიხეილ შარაშიძის და ნესტან ლონდარიძის* მიერ

რედაქტირებულია *უჩა ნანუაშვილის და ალექო ცქიტიშვილის* მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში, ფონდს „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს.

ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორების შეხედულებებს.



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world



THE NORWEGIAN
HELSINKI COMMITTEE

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის, ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ.

სარჩევი

შესავალი	4
2012 საპარლამენტო არჩევნების პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები.....	7
მიმდინარე საარჩევნო პროცესში გამოყენებული სახელისუფლო რესურსის ძირითადი ფორმები	13
ხელისუფლების საკანონმდებლო რესურსის გამოყენება და მისი შედეგები.....	18
ხელისუფლების ძალოვანი, საზედამხებდველო, რეგულაციური (მმართველობითი) და ფინანსური რესურსების გამოყენება.....	45
წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევები.....	46
ჟურნალისტური საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა	46
პოლიტიკური ნიშნით დევნა და ზეწოლა, რომელშიც პირდაპირ, თუ არა პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო ორგანოები და ხელისუფლების წარმომადგენლები.....	59
ხელისუფლების მიერ მედია-რესურსის გამოყენება	134
კენჭისყრისა და შედეგების შეჯამების დროს გამოვლენილი დარღვევები	135
დასკვნა	176
რეკომენდაციები.....	181

შესავალი

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს უახლეს ისტორიაში. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოში პირველად გახდა შესაძლებელი ხელისუფლების შეცვლა უშუალოდ არჩევნების მეშვეობით. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ვინაიდან აქამდე, თითქმის ყოველთვის, არჩევნები წარმოადგენდნენ ან მოქმედი ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა მანიპულაციის საშუალებებს, ან კიდევ, გადატრიალების თუ რევოლუციის მეშვეობით მოსული და ფაქტობრივ რეალობად ქცეული ხელისუფლებისათვის დემოკრატიული ლეგიტიმაციის მინიჭების საშუალებას.

ასე, მაგალითად, 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების საფუძველზე, არსებული ხელისუფლება შეცვალა ე.წ. “ვარდების რევოლუციით” მოსულმა ხელისუფლებამ. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები, კერძოდ კი, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები, სასამართლოს მეშვეობით ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნულის საფუძველზე, უფლებამოსილება გაუხანგძლივდა 1999 წელს არჩეულ პარლამენტს, რომელსაც დემოკრატიული ლეგიტიმაცია უკვე აღარ გააჩნდა, ხოლო მისი თავმჯდომარე კი, გახდა სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი. ამის შემდეგ, მხოლოდ, 2004 წელს ჩატარდა ჯერ საპრეზიდენტო, ხოლო მოგვიანებით კი, საპარლამენტო (იქნებ თარიღები ჩავსვა) არჩევნები. მხედველობაშია მისაღები ის, რომ მართალია 2004 წელს “რევოლუციურმა ხელისუფლებამ”, მოგვიანებით გამართულ არჩევნებზე მართლაც მიიღო საკმაოდ მაღალი დემოკრატიული ლეგიტიმაცია (იქნებ შედეგი ჩაიწეროს ოფიციალური), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ხელისუფლებაში ფაქტობრივი მოსვლა განხორციელდა არა არჩევნების, არამედ, რევოლუციის გზით.

ამრიგად, ე.წ. “რევოლუციური ხელისუფლება”, ისევე, როგორც მისი წინამორბედი პოლიტიკური ძალაც, ხელისუფლებაში არ მოსულან საარჩევნო პროცედურების მეშვეობით, ხოლო მოგვიანებით ჩატარებული არჩევნები კი, ემსახურებოდა ფაქტობრივად უკვე არსებული ხელისუფლების ერთგვარ სამართლებრივ “გაფორმებას”.

მიუხედავად იმისა, რომ “რევოლუციურმა ხელისუფლებამ”, 2004 წლის ----- საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მართლაც მიიღო საკმაოდ მაღალი დემოკრატიული ლეგიტიმაცია, იგი მაინც აღიქმებოდა, როგორც რევოლუციაში გამარჯვებული ხალხის ხელისუფლება და შესაბამისად, მისი მართვის სტილი და მიზნები, რევოლუციური სულისკვეთებით, კონცენტრირებული იყო ძირითადად იმ პრობლემებთან გამკლავებაზე, რის გამოც მოხდა წინამორბედი ხელისუფლების ცვლილება. რევოლუციური ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა არა ლიბერალიზმითა და კონსტიტუციონალიზმით შეზღუდული დემოკრატიული მმართველობის შექმნა, არამედ, ფართო სახალხო მხარდაჭერის საფუძველზე, რევოლუციური რეფორმების განხორციელება, რაც ძირითადად, კორუფციასთან ბრძოლაში და კორუფციისაგან დასუსტებული სახელისუფლო ვერტიკალის გაძლიერებაში აისახა.

ზუსტად ზემოაღნიშნულმა განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს ე.წ. “რევოლუციური” ხელისუფალნი, რომლებიც მოგვიანებით არჩეულნი იქნენ ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი უმრავლესობით, გულწრფელად ფიქრობდნენ, თუ რატომ უნდა შეეზღუდათ საკუთარი მმართველობის ფარგლები კონსტიტუციონალიზმით, როდესაც ისინი ფლობდნენ ხალხის ნდობის აბსოლიტურ მანდატს, ხოლო მათ მიზანს კი, წარმოადგენდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა და შესაბამისი რეფორმების შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელება. ზუსტად ხელისუფლების ამ მიდგომების გამო, მმართველობის ამგვარ ფორმას, თავის დროზე, ერთ-ერთმა ცნობილმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა უწოდა ე.წ. “არალიბერალური

დემოკრატიები”¹. ანუ მმართველობის იმგვარი რეჟიმები, რომლებიც თავდაპირველი მაღალი დემოკრატიული ლეგიტიმაციის პირობებში, არ ჩქარობდნენ ლიბერალური და კონსტიტუციური დემოკრატიის დამკვიდრებას და განმტკიცებას.

ამ ვითარებაში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეკისრებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი, კერძოდ, საქართველო გააგრძელებდა განვითარებას ლიბერალური დემოკრატიისაკენ, თუ მისი ე.წ. “არალიბერალური დემოკრატია” გადაიზრდებოდა, უკვე აშკარად ავტორიტარულ მმართველობაში. ამრიგად, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის წარმოადგენდა, პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ერთგვარ გარდამტეხ მოვლენას. ზუსტად ამ არჩევნების ჩატარების ხარისხზეც არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი განვითარების და მისი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივები, რაც თავის მხრივ, ქართული საზოგადოების მყარი განვითარებისა და უსაფრთხოების ერთადერთ გარანტს წარმოადგენს.

როგორც 2012 წლის 3 სექტემბერს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეტრინ ეშტონისა და სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების კომისრის, სტეფან ფულეს ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, ევროკავშირს დიდი მოლოდინი გააჩნდა პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისადმი, ვინაიდან მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოს მომავალი დემოკრატიული განვითარების, აგრეთვე, ევროკავშირთან სამომავლო ურთიერთობების ხარისხისა და ინტენსივობისათვის.²

ასეთ ვითარებაში, არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე, პოლიტიკურ პროცესებში გამოჩნდა ახალი ოპოზიციური გაერთიანება - „ქართული ოცნების“ სახელწოდებით და ძლიერი ფინანსური საშუალებებით („ქართული ოცნების“ ლიდერია საქართველოს უმდიდრესი ადამიანი - მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი).

¹ Fareed Zakaria, The Rise of Illiberal Democracy, Foreign Affairs, 1997, # 6, S. 22.

² http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/132250.pdf

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანდა ძირითადი ოპოზიციური პარტიების ნაწილი, რითიც შეიქმნა მმართველი პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეალური საარჩევნო ალტერნატივა - პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ამგვარი დიდი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა საპარლამენტო არჩევნების რეალურად კონკურენტულ გარემოზე. თუმცა, ერთია რეალური პოლიტიკური კონკურენცია, ხოლო სხვა არის ის პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი კონკურენციისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი პირობების შექმნას.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არჩევნების სამართლიანობის ხარისხი უშუალოდაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე, კერძოდ იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია შესაბამის სახელმწიფოში დემოკრატიის სისტემური გარანტიები, რომლებიც იქმნება და ვითარდება, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციონალიზმითა და ლიბერალიზმით შებოჭილი მმართველობის პირობებში, რისი დეფიციტიც აშკარად იგრძნობოდა საქართველოში.

2012 საპარლამენტო არჩევნების პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები ქვეყნის ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა განაპირობა, მათ შორის, იმ გარემოებამაც, რომ ახალი კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, რომლებიც ძალაში 2013 წელს შევიდნენ, საქართველო გადადის მმართველობის ახალ ფორმაზე, რა დროსაც ოქტომბერში არჩეული პარლამენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი ქვეყნის ცხოვრებაში საკმაოდ გაიზრდება. ამასთან ერთად, პირველად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოში ჩამოყალიბდა ძლიერი

ოპოზიციური გაერთიანება, რომელმაც შექმნა მმართველი პოლიტიკური ჯგუფის რეალური საარჩევნო ალტერნატივა. საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად გახდა შესაძლებელი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა საპარლამენტო არჩევნებისადმი განსაკუთრებული მოლოდინები და ინტერესი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ზუსტად ამ მოლოდინებითა და ინტერესით იყო გამოწვეული, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებლებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების უპრეცედენტო სიმრავლეც.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არჩევნების სამართლიანობა უშუალოდაა დამოკიდებული სახელმწიფოში დემოკრატიის სისტემური გარანტიების ხარისხსა და შესაბამის პოლიტიკურ კულტურაზე, სამწუხაროდ, როგორც ერთს, ისე მეორეს საქართველოში მყარი ტრადიცია, ყოველ შემთხვევაში აქამდე, არ გააჩნდა. ამიტომ, ამ ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო, კერძოდ კი, ხელისუფლების სამივე შტო უნდა გამოსულიყვნენ იმ ძირითად სისტემურ გარანტორებად, რომლებსაც უნდა უზრუნველყვოდ სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო პროცესი.

ამდენად, საარჩევნო პროცესის ანალიზის დროს, ჩვენს მიერ, განსაკუთრებით იქნა შესწავლილი და შეფასებული, ზუსტად ხელისუფლების შესაბამისი ინსტიტუტების მოქმედებები, რომლებიც მიმართული იყვნენ საარჩევნო პროცესის ორგანიზებისა და განხორციელებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, ზუსტად სახელმწიფო უნდა გამოვიდეს დემოკრატიული საარჩევნო ტრადიციის ფუძემდებლად, ვინაიდან *“არჩევნების პროცესში სახელმწიფოს აქვს ვალდებულება თანასწორობის უზრუნველყოფელი პირობების შემოღებისა. ამ*

პროცესში მისი ძირითადი ფუნქციაა, არ მოახდინოს ვინმეს შეზღუდვა ან პრივილეგირება გონივრული დასაბუთების გარეშე³.

ამასთან, არჩევნები არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ - კენჭისყრის დღეს განვითარებულ მოვლენას. მონიტორინგის დროს, მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული და გაანალიზებული იყოს ყველა ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, შეადგენს მთლიან საარჩევნო პროცესს და ზეგავლენას ახდენს მისი სამართლიანობის ხარისხზე. მოცემულ კვლევაში წარმოდგენილი, საქართველოში განხორციელებული საარჩევნო პროცესისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები შეფასებულია იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ზემოქმედებდა თითოეული, როგორც ცალკე, ისე ერთობლივად - საარჩევნო გარემოს და ზოგადად, საარჩევნო პროცესის სამართლიანობაზე. ანალიზის მიზანია, განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამებოდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები დემოკრატიული არჩევნებისთვის სავალდებულო საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. კერძოდ, გამოვლენილი დარღვევების პირობებში, რამდენად იყო უზრუნველყოფილი რეალურად დემოკრატიული საარჩევნო გარემო, რომელიც განაპირობებს ამომრჩევლის მიერ რეალური და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. ამასთან, რამდენად თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ საარჩევნო პირობებში უწევდათ საქმიანობა შესაბამის საარჩევნო სუბიექტებს და მათ მხარდამჭერებს.

ამ თვალსაზრისით, საქართველოში 2012 წელს მიმდინარე საარჩევნო პროცესის ძირითად დამახასიათებელ ტენდენციას წარმოადგენდა ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა დონეზე დომინირებდა ერთი, მმართველი პარტია - “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - რის გამოც, ხშირ შემთხვევებში,

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე - “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”

ძალზედ რთული იყო, ხელისუფლების საქმიანობის გამოჯვანა მმართველი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო ინტერესებით ნაკარნახევი საქმიანობისაგან, განსაკუთრებით - წინასაარჩევნო პერიოდში. ამიტომ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ წინასაარჩევნო ბრძოლაში ასევე ჩართულია ხელისუფლების ორგანოებიც, რაც, თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას ახდენდა საარჩევნო გარემოზე. **„ვიდრე არ იქნება ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის, ეს კვლავ პრობლემად დარჩება და დაძაბულობასა და განხეთქილებებს გამოიწვევს“.**

წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მოქმედება, რომელშიც დომინირებდა მხოლოდ ერთი - სახელისუფლებო პარტია, შეიძლება ითქვას, მთლიანად მიმართული იყო ახალი ოპოზიციური გაერთიანების - “ქართული ოცნების” - წინააღმდეგ. 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა პოლიტიკური ოპოზიციური პარტიის დაარსების თაობაზე, პრობლემები შეექმნა ჯერ მას (მოქალაქეობის დაკარგვა, შემდეგ მოქალაქეობის მინიჭებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმა და ა.შ.), ხოლო მოგვიანებით კი, როდესაც მან დააფუძნა პოლიტიკური ორგანიზაცია, პრობლემები შეექმნა ამ ორგანიზაციას და მის პოლიტიკურ პარტნიორებს (გაუთავებელი დაჯარიმებები და ქონების დაყადაღება). ამავე პერიოდში ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებულ კერძო იურიდიულ პირებსაც შეექმნათ პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევებში, ხელოვნურად იყო გამოწვეული.

ახალი ოპოზიციური ცენტრის გაჩენით იყო ნაკარნახევი მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონმდებლობაში და სისხლის სამართლის კოდექსში, აგრეთვე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და ახალ საარჩევნო კოდექსში (რომელიც პარლამენტმა მიიღო 2011 წლის 28 დეკემბერს). ეს ცვლილებები 2011 წლის დეკემბერში განხორციელდა და მიმართული იყო, ძირითადად, პოლიტიკურ პროცესებში დიდი ფინანსების შემოსვლის შესაზღუდად. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად, ამგვარი მიზანი -

დიდი ფინანსური საშუალებების პოლიტიკაში შემოსვლის შეზღუდვა - ლეგიტიმურია, საკანონმდებლო ცვლილებებმა არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. საქართველოში მოღვაწე უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებები უკიდურესად მკაცრია და რიგ შემთხვევებში, შეზღუდვები და, განსაკუთრებით, ამ შეზღუდვებისთვის გათვალისწინებული სანქციები არათანაზომიერი და არაადეკვატურია. ამასთან, იგივე ორგანიზაციების აზრით, ახალი საკანონმდებლო ცვლილებები მათი ზედმეტად ფართო განმარტების საშუალებას იძლევა, რის გამოც, შესაძლებელი იყო მათი შერჩევითი გამოყენება - ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ.

საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა არასახელისუფლებო ინფორმაციის საშუალებათა გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვებით. კერძოდ, არასახელისუფლებო ტელეკომპანიები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, თავიანთი არხების დაფარვა განახორციელებინათ საქართველოს რეგიონებში. მართალია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო შესწორებები, რითაც წინასაარჩევნო პერიოდში, მხოლოდ კენჭისყრის დღემდე 2 თვის განმავლობაში, შესაბამისი საკაბელო ოპერატორები ვალდებული გახდნენ, თავიანთ მომსახურების პაკეტში შეეტანათ არასახელისუფლებო ტელეარხებიც. თუმცა, საკაბელო ოპერატორები, ძირითადად, მოქმედებენ საქართველოს მსხვილ ქალაქებში, იმ დროს, როდესაც პროვინციებში, მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტისათვის, ალტერნატიული ინფორმაციის მიღების ერთადერთ საშუალებად კვლავ სატელიტური ანტენები რჩებოდა.

ორმა არასახელისუფლებო ტელეარხმა გადაწყვიტა, შეღავათიანი განვადებით, რეგიონების მოსახლეობისათვის მიეყიდათ სატელიტური ანტენები, რითაც მოსახლეობა შეძლებდა, ხელისუფლებისადმი ლოიალურ ტელეარხებთან ერთად, მიეღო, ასევე, არასახელისუფლებო არხებიც. თუმცა, პროკურატურამ მათ მიერ

საქართველოში შემოტანილი სატელიტური ანტენები დააყადაღა იმ მოტივით, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის მოსყიდვას. ამდენად, რეგიონებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კვლავ მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ალტერნატიული ინფორმაცია. ყოველივე ამან კი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად იმოქმედა ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაზე. ამასთან, სახელმწიფოს მაკონტროლებელი ორგანოების გადაწყვეტილება, რომლითაც აღიკვეთა სატელიტური ანტენების გავრცელების შესაძლებლობა, წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს პარლამენტის მიერ აღიარებული ე.წ. must carry-ს პრინციპის ძირითად სულისკვეთებასთან.

წინასაარჩევნო გარემოს დამახასიათებელ მოვლენად იყო ქცეული პოლიტიკური ძალების მკვეთრი პოლარიზაცია, საარჩევნო კონკურენტების მიმართ ირაციონალური სიძულვილის გამოხატვა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა წარმოჩენა სახელმწიფო ინტერესებისადმი მტრულად განწყობილ ძალებად. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამგვარი ფორმით მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული იყო ხელისუფლების მთლიანი ვერტიკალი, მათ შორის - უმაღლესი თანამდებობის პირები, რაც გარკვეულწილად, იწვევდა ხელისუფლების ორგანოთა გაუმართლებელ პოლიტიზირებას და მათ გადაქცევას საარჩევნო ბრძოლის სუბიექტებად. ამის გამო, პოლიტიკური ოპოზიცია და მათი მხარდამჭერი ამომრჩეველი სახელმწიფოს მხრიდან ხშირად განიხილებოდა არა როგორც მისი პარტნიორი, არამედ, როგორც საარჩევნო კონკურენტი. საარჩევნო პროცესში ხელისუფლების ამგვარ მიკერძოებულ ჩარევას, შესაძლოა, გამოეწვია დემოკრატიის უმთავრესი - ხალხის მმართველობის პრინციპის დარღვევა და ხელისუფლების წყაროს მონოპოლიზაცია ერთი მმართველი, სახელისუფლო ელიტის ხელში, რისი მცდელობებიც აშკარად იკვეთებოდა ხელისუფლების გაუმართლებლად პოლიტიზირებულ მოქმედებებში.

ამრიგად, საარჩევნო პროცესის მთავარ დამახასიათებელ ტენდენციას წარმოადგენდა ხელისუფლების და მასთან ასოცირებული მმართველი პარტიის მხრიდან, ე.წ. *სახელისუფლებო რესურსის* აქტიური გამოყენება უშუალოდ საარჩევნო პროცესზე და მის შედეგზე ზემოქმედების მიზნით. ამგვარი რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ძლიერი იყო წინასაარჩევნო პერიოდში, რის გამოც საარჩევნო პროცესის შემადგენელი, ეს ნაწილი იმდენად უსამართლოდ წარიმართა, რომ არსებობდა რეალური საფრთხე, საარჩევნო პროცესის გაგრძელებას საერთოდ დაკარგოდა აზრი.

მიმდინარე საარჩევნო პროცესში გამოყენებული სახელისუფლო რესურსის ძირითადი ფორმები

საარჩევნო პროცესზე ზემოქმედების მიზნით *სახელისუფლებო რესურსის* გამოყენებაში ჩვენ ვგულისხმობთ არჩევნების პერიოდში არსებული ხელისუფლების ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო საარჩევნო პროცესზე ზემოქმედებისკენ და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო შესაძლებლობების გაუმჯობესება ან პირიქით - გაუარესება.

სახელისუფლო რესურსს ხშირად აიგივებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-მატერიალურ რესურსთან. თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ შემთხვევაში, ვისაუბროთ მთლიანად სახელისუფლო და არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-მატერიალურ რესურსზე, ვინაიდან ამგვარ მოქმედებებს, ხშირად არამატერიალური ფორმა გააჩნია.

საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი”, მხოლოდ ერთ მუხლში მოიცავს ე.წ. “ადმინისტრაციული რესურსის” განმარტებას და მისი გამოყენების აკრძალვას, კერძოდ, საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლში, რომლის სათაურია *“წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა”*. ამრიგად, ადმინისტრაციული რესურსის

გამოყენება, კოდექსის თანახმად, იკრძალება მხოლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის და კამპანიის დროს. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) *“საქართველოს საარჩევნო კოდექსის”* 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *“...იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან”. შესაბამისად, კოდექსის იგივე დებულების თანახმად, “საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები ამ დღიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით ამ კანონით დადგენილი წესით”.* მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საარჩევნო კოდექსი არჩევნების დასანიშნად ადგენს არჩევნებამდე არაუგვიანეს 2 თვით განსაზღვრულ ვადას. ზუსტად აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დანიშნა 2012 წლის პირველ აგვისტოს, რის გამოც, წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყების და, შესაბამისად, კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვაც, ამოქმედდა ზუსტად ამ პერიოდიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდი სრულდება კენჭისყრის დღეს, აღნიშნულიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღეს, ასევე უნდა დასრულდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვაც.

საქართველოს ორგანული კანონის *“საქართველოს საარჩევნო კოდექსის”* 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *“...წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება:*

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ

შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნოსუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება”.

კოდექსის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, აკრძალულია მხოლოდ რიგი ადმინისტრაციულ-მატერიალური (შენობები, საკომუნიკაციო საშუალებები, ტრანსპორტი) რესურსების გამოყენება და ისიც, მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც სხვა საარჩევნო სუბიექტს არ გააჩნია ანალოგიური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული რესურსის ის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც აკრძალული ან შეზღუდულია, საკმაოდ ვიწროა და, ამავე დროს, ეს პირობითი შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ განსაზღვრული - ორთვიანი პერიოდის განმავლობაში.

შემდეგი აკრძალვა (რომელსაც საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ მოიხსენიებს, როგორც “ადმინისტრაციულ რესურსს”) შეეხება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ, მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში (ე.ი. 2 თვის განმავლობაში) საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვას. კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, შესაბამის თანამდებობის პირებს, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის დროს, ეკრძალებათ

სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას; სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა; წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე არ ვრცელდება სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის აკრძალვა.

საარჩევნო კოდექსის იგივე 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, *“არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.”*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ე.წ. “ადმინისტრაციული რესურსის”, როგორც საარჩევნო პროცესზე ხელისუფლების ზემოქმედების ერთადერთი ფორმის განხილვა, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ის მოქმედებები, რაც ხორციელდება ხელისუფლების მიერ უშუალოდ არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით, გაცილებით ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებული “ადმინისტრაციული რესურსით”. აქ უნდა ვიგულისხმოთ ხელისუფლების, როგორც ერთიანი სახელისუფლო კორპორაციის და მისი წევრების ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ზემოქმედებს შესაბამისი საარჩევნო სუბიექტების თანასწორობაზე. რა თქმა უნდა, აქ არ

იგულისმება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც უკავშირდება მისი ფუნქციების განხორციელებას. ამასთან, თითქმის ყოველთვის, დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხელისუფლებას ახორციელებს ერთი ან რამდენიმე პოლიტიკური გუნდი (პარტია ან კოალიცია), თუმცა ამგვარმა საქმიანობამ ხელისუფლების ინსტიტუტები არ უნდა აქციოს საარჩევნო ბრძოლის სუბიექტად, რომელიც ერთგვარ დისბალანსს შეიტანდა წინასაარჩევნო გარემოში.

საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვყოთ გამოყენებული სახელისუფლო საარჩევნო რესურსების შემდეგი ფორმები:

- 1. საკანონმდებლო რესურსი** - როდესაც ხელისუფლება იყენებს თავის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის გარკვეული საარჩევნო უპირატესობების მინიჭების ან პირიქით, შეზღუდვის თვალსაზრისით;
- 2. ე.წ. რეგულაციური (მმართველობითი) რესურსი** - ანუ საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამოყენება;
- 3. ე.წ. ძალოვანი რესურსები** - როდესაც ხდება ხელისუფლების შესაბამისი სამართლადამცავი, ძალოვანი, ან საზედამხედველო ორგანოთა გამოყენება არჩევნების შედეგებზე პირდაპირი თუ არა პირდაპირი ზემოქმედების მიზნით;
- 4. ფინანსური რესურსი** - როდესაც ხდება უშუალოდ საბიუჯეტო ხარჯების გამოყენება არჩევნებში მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ;
- 5. ე.წ. მედიარესურსი** - როდესაც ხდება სახელისუფლო, ან სხვაგვარად ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არსებული მედიასაშუალებების ბოროტად გამოყენება.

მომდევნო თავებში განხილული იქნება დასახელებული სახელისუფლო რესურსების გამოყენების კონკრეტული შემთხვევები. ამასთან, ამ რესურსების გამოყენების შემთხვევები უნდა იქნეს განხილული და შეფასებული იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ზემოქმედებს თითოეული მათგანი, როგორც ცალკე, ისე ერთობლივად, მთლიანი საარჩევნო პროცესის თანასწორ და სამართლიან გარემოში ჩატარებაზე.

ხელისუფლების საკანონმდებლო რესურსის გამოყენება და მისი შედეგები

დემოკრატიულად ორგანიზებული საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი არის ის, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირება ყოველთვის ხდება არჩევნების გზით.

არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისეთი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა, როგორც უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ამავე დროს, მხოლოდ კარგი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა არ არის გადამწყვეტი არჩევნების სამართლიანობის განსაზღვრისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ სრულდება კანონმდებლობა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციის მიერ.

საქართველოში არჩევნების საკანონმდებლო ბაზა შედგება კონსტიტუციისგან (1995), საქართველოს საარჩევნო კოდექსისგან (საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც მიღებულია 2011 წლის 27 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2012 წლის 10 იანვარს), “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონისაგან, ასევე სისხლის სამართლის კოდექსისგან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებისგან.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მმართველი პარტია - “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - საქართველოს პარლამენტში ფლობდა აბსოლუტურ უმრავლესობას. მათთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყო როგორც შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება, ისე კონსტიტუციური ცვლილებების პარლამენტში გატანა, თუნდაც, მხოლოდ კონკრეტული პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. ასე, მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებამდე 9 თვით ადრე საქართველოს პარლამენტმა მე-3 მოსმენით მიიღო ახალი ორგანული კანონი - “საქართველოს საარჩევნო კოდექსი”, ასევე, “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება პარტიათა დაფინანსების შეზღუდვის და ამომრჩეველთა მოსყიდვის საკითხებს, რაც ძირითადად, ახალი და ფინანსურად საკმაოდ ძლიერი ოპოზიციური ძალის გამოჩენით იყო ნაკარნახევი.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსის პროექტზე მუშაობის დასრულებას წინ უსწრებდა 8 ძირითადი ოპოზიციური პარტიის (ე.წ. „ოპოზიციური რვიანის“) გაცხადებული სურვილი, ხელისუფლებასთან დიალოგის გზით, მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კანონმდებლობისა და სისტემის სრულყოფაში. პირველ ეტაპზე შეინიშნებოდა გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით, თუმცა საბოლოოდ, საარჩევნო სისტემაზე ფართომასშტაბიანი პოლიტიკური შეთანხმება არ იქნა მიღწეული და ე.წ. “ოპოზიციური რვიანი” დაიშალა. ამ მოლაპარაკებებში მმართველ პარტიას გააჩნდა მთავარი უპირატესობა, კერძოდ, შესაბამისი კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, მაინც მიეღო საკანონმდებლო გადაწყვეტილება, რის გამოც, შესაბამისი კონსენსუსის მიღწევა, მხოლოდ მათ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ამდენად, საქართველოს პარლამენტის მიერ, 2011 წლის დეკემბერში მიღებული იქნა ძირითადი საარჩევნო კანონმდებლობა ისე, რომ იგი არ ეფუძნებოდა ფართო პოლიტიკურ შეთანხმებას.

ახალი საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ძირითად სიახლეებს წარმოადგენს შემდეგი:

საქართველოს პარლამენტი - 150-წევრიან პარლამენტში, 4 წლის ვადით, აირჩევა 77 დეპუტატი პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, აქამდე არსებული 75/75-ზე შეფარდების ნაცვლად.

პარლამენტის საარჩევნო სისტემა, მაჟორიტარული ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის უთანაბრობა, რაც, უკვე დიდი ხანია, ვენეციის კომისიის შეშფოთების საგანსაც წარმოადგენს, პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.⁴ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობებში დაშვებული განსხვავებები, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, არ უნდა აღემატებოდეს 10-15%-ს⁵. მიუხედავად ამისა, საქართველოს საარჩევნო ოლქების 82% -ში ეს მოთხოვნა დარღვეულია. ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქებში მერყეობს 6 000-დან 160 000-მდე (2010 წლის ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციით)⁶. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაჟორიტარულ არჩევნებთან მიმართებით, დარღვეულია არჩევნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - ხმათა თანასწორობის პრინციპი, რის გამოც, საქართველოს ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს უსამართლოდ შეზღუდული აქვს უფლება, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე აღნიშნული იყო ჯერ კიდევ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ეუთოს საბოლოო ანგარიშში⁷ და ასევე, ვენეციის კომისიის 2011 წლის 19 დეკემბრის დასკვნაში⁸, სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა არანაირი ნაბიჯი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ამდენად, საარჩევნო უფლების ეს უმნიშვნელოვანესი დარღვევა კვლავ აქტუალურია 2012 წლის

⁴ <http://www.osce.org/odihr/86401>

⁵ [http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD\(2002\)023-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023-e.asp)

⁶ http://www.cesko.ge/files/2012/PARLAMENTIS%20ARCHEVNEBI/amomrchevlebis_raodenoba.pdf

⁷ <http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/33301>

⁸ <http://www.osce.org/odihr/86401>

საპარლამენტო არჩევნებისათვისაც. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი და “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” შესაბამისი დებულებები ამომრჩევლის ხმათა თანასწორობის პრინციპს, ზემოაღნიშნული პრობლემის თვალსაზრისით, არ იცავენ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის ასეთი განსხვავებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილ თანასწორობის პრინციპს და წარმოადგენს ამომრჩეველთა დისკრიმინაციას *“...საცხოვრებელი ადგილის”* მიხედვით.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადდა შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც შეტანილი იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. კონსტიტუციურ სარჩელში გასაჩივრებულია საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 110-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები. საარჩევნო კოდექსის გასაჩივრებული ნორმების შესაბამისად, *“1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, მათ შორის, თბილისში – 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. 2. საპარლამენტო არჩევნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ქალაქი, რაიონი), თბილისის გარდა, არის ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი”*. ადამიანის უფლებათა ცენტრის აზრით, ზუსტად გასაჩივრებული 110-ე მუხლი ადგენს იმ წესს, რომლის საფუძველზეც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩამოაყალიბა დღეს არსებული საარჩევნო ოლქები.

საარჩევნო კოდექსის 110-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხი დაყენებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) მიმართებით.

⁹ “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, *საცხოვრებელი ადგილისა*.”

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისათვის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების შექმნის კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომლის საფუძველზეც ოლქებში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობებს შორის არის საკმაოდ მაღალი უთანაბრობა, არღვევს ამომრჩეველთა ხმების თანასწორობის (თანაბარწონადობის) პრინციპს და აქედან გამომდინარე იგი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპთან.

ზემოთაღნიშნულ პრობლემას ნაწილობრივ უკავშირდება, ასევე, შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად ცნობის წესი. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 125-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, *“მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30 პროცენტისა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.”* საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად კი, *“1. თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩა, ცესკო პირველი ტურის შედეგების შეჯამებასთან ერთად ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც იმართება პირველი ტურიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა. მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ 2-ზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში ყველა ზემოაღნიშნული კანდიდატი მონაწილეობს. 2. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა ერთნაირი რაოდენობა მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი,*

რომელმაც პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, იმართება ხელახალი არჩევნები.”

ამრიგად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30%-სა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში, ისევე როგორც პროპორციული წესით კენჭისყრის შემთხვევაში, არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

საქართველოში არსებული მრავალპარტიული სისტემის გათვალისწინებით, არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ხმები დაქუცმაცდეს და არჩევნებში გამარჯვებულად 30% მხარდაჭერის (ან მეორე ტურის შემთხვევაში, უფრო ნაკლები მხარდაჭერის) მქონე პირი გამოცხადდეს, იმის მიუხედავად რომ ამომრჩევლის 70% მისი წინააღმდეგია. ეს ორმხრივად უსამართლოა - ერთი, დეპუტატი ხდება პირი, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს და მეორე - თუ ერთ პარტიას 30%-თან ახლოს მყოფი რეიტინგი აქვს, მას აქვს შანსი პარლამენტში 70% უმრავლესობით მოვიდეს. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო კვლევა გამოქვეყნდა ერთ-ერთი ქართული ჟურნალის ინტერნეტ-პორტალზე¹⁰.

მიგვაჩნია, რომ მაჟორიტარული არჩევნების ამგვარი სისტემა საკმაოდ უსამართლოა და იგი ეწინააღმდეგება ამომრჩეველთა ხმების თანასწორობის პრინციპს.

“საქართველოს საარჩევნო კოდექსმა” გაითვალისწინა ე.წ. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მონაწილეობა მაჟორიტარულ არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ წინა საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებდა ამის შესაძლებლობას და ამ მხრივ, ეს საკანონმდებლო სიახლე, უდავოდ, მისასალმებელია.

¹⁰ იხ. <http://blogs.liberali.ge/ge/blog/1631/112112/>

საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, *“საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი. აღნიშნულ დეპოზიტზე შეტანილი თანხა კანდიდატს სრულად უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის არჩევნებში მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10 პროცენტს მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თანხა ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში”.*

ამრიგად, საქართველოს ახალმა საარჩევნო კოდექსმა გაითვალისწინა ე.წ. “საარჩევნო თავდების” ინსტიტუტი. ზოგადად, შესაძლოა, ამ ინსტიტუტს მართლაც გააჩნდეს ლეგიტიმური მიზანი - დაიცვას არჩევნები ე.წ. ზედმეტად არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისაგან, მაგრამ ქართული კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი გირაო სავალდებულოა მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის და არ არის სავალდებულო პარტიის, ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თუკი დამოუკიდებელი კანდიდატისადმი არსებობს კანონიერი ინტერესი, არჩევნები დაცული იქნეს თავიდანვე უპერსპექტივო სუბიექტებისაგან, რატომ არ არსებობს ამგვარი კანონიერი ინტერესი, იგივე, პერსპექტივის არ მქონე პარტიებისა და ბლოკების მიერ წარდგენილი კანდიდატებისათვის?! მიგვაჩნია, რომ ამგვარი შეზღუდვის გავრცელება არჩევნებში თანაბრად მონაწილე საარჩევნო სუბიექტთაგან მხოლოდ ერთის მიმართ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე -14 მუხლით დადგენილ თანასწორობის პრინციპს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ერთ-ერთი დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატის მომართვის საფუძველზე, მომზადდა შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელი, რომლიც საარჩევნო სუბიექტობის შესაბამისმა კანდიდატმა შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში¹¹. სარჩელში, ასევე, მოთხოვნილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეაჩეროს “საარჩევნო თავდების” შემცველი საკანონმდებლო დებულების მოქმედება, რისი უფლებაც საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

აქტიური საარჩევნო უფლება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად მიეცათ იმ პატიმრებს, ვისაც ჩადენილი აქვთ ნაკლებად მძიმე დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიაში იგულისხმება ის დანაშაული, რომელიც მაქსიმალურ სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არაუმეტეს 5 წლის ვადით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი სასჯელადსრულების დაწესებულებებში არჩევნების სამართლიანად და თავისუფლად ჩატარების პირობები. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი არჩევნებში მონაწილე პატიმრებისათვის წინასაარჩევნო აგიტაციის და ზოგადად, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატების ინფორმაციით, შესაბამის პატიმრებს ციხეებში შეზღუდული აქვთ პრესის ხელმისაწვდომობა¹². ამგვარ ვითარებაში, შემფოთების საგანს წარმოადგენს ის გარემოება, თუ რამდენად ექნებათ პატიმრობაში მყოფ ამომრჩევლებს საშუალება, გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი. ამასთან, საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ციხეებში შესაბამის ამორჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა და როგორ მოხდება

¹¹ კონსტიტუციური სარჩელი - “საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”

¹² <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24666182.html>

ჩატარებულ არჩევნებზე მონიტორინგი. ადამიანის უფლებათა ცენტრი აპირებს, მომავალშიც დეტალურად შეისწავლოს ეს პრობლემა.

საარჩევნო ადმინისტრაცია. უცვლელი დარჩა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. სამივე დონის კომისია შედგება 13 წევრისგან. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ექვსი წევრი, მათ შორის - თავმჯდომარე, არჩეულია პრეზიდენტის წარდგინებით და მის შემადგენლობაში შედის დამატებით 7 წევრი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებიდან - ანუ შესაბამისი პარტიებიდან . იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ხელისუფლების ყველა დონეზე დომინირებს ერთი მმართველი პარტია, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი კი ოფიციალურად არის აღნიშნული პარტიის თავმჯდომარე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში ფაქტობრივ უმრავლესობას კვლავ ფლობს იგივე - მმართველი პარტია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ცესკოს თავმჯდომარეს საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გატარების ერთპიროვნული უფლება გააჩნია, ისევე როგორც მაჟორიტარი კანდიდატების დარეგისტრირების შემთხვევაში - შესაბამისი საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს. თუმცა, ადრე რეგისტრაციას შესაბამისი კომისიები ახორციელებდნენ. გაუგებარია, რა ლეგიტიმურ მიზანს ისახავდა კანონმდებელი, როდესაც ცვლიდა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გატარების წესს. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც კოლეგიალური ორგანოა, არ მოქმედებს ამ პრინციპით, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის 2011 წლის 19 დეკემბრის რეკომენდაციას ¹³. საარჩევნო ადმინისტრაციის კოლეგიურობასთან დაკავშირებით შენიშვნები ასევე გამოთქმული იყო, 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თაობაზე *ეთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშშიც.*

¹³ <http://www.osce.org/odihr/86401>

ამომრჩეველთა სიები. ცესკო კვლავაც ვალდებული იქნება, ორჯერ - საარჩევნო პერიოდის დასაწყისსა და კენჭისყრის დღემდე თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში და ყოველ საარჩევნო ოლქში.

კოდექსი ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე კომისიას 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ერთიანი სიის დაზუსტების ვადას 1 აგვისტომდე უხანგრძლივებს, მანამდე განსაზღვრული 1 ივლისის ნაცვლად. ამ კომისიას ასევე აქვს უფლებამოსილება, რომ აგვისტოდან სიების ცესკოში გადაცემის შემდეგაც, შეეძლოს იმ ცვლილებათა გაკონტროლება, რასაც ცესკო სიაში, არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-14 დღისა შეიტანს. ცესკო ვალდებულია, სიებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ „დაუყოვნებლივ“ აცნობოს კომისიას.

საბიუჯეტო დაფინანსების მქონე ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე კომისია, რომელიც კოდექსის თანახმად, უშუალოდ 2012 წლის საპარლამენტოს არჩევნებისთვის არის შექმნილი, თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით დაკომპლექტებულია არანაკლებ 15 წევრით, ნაცვლად თავდაპირველად კანონით განსაზღვრული არანაკლებ 21 წევრისა. თუმცა, ამჟამად კომისიაში 21 წევრი მუშაობს.

კომისიის მიერ 2012 წლის პირველი აგვისტოს მონაცემების მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 3,621,256¹⁴. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ამომრჩეველთა რაოდენობის ცვალებადობის თაობაზე ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება თვითონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე¹⁵:

1990	წლის 28	ოქტომბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	444	000
1991	წლის 26	მაისის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	3	594	810
1992	წლის 11	ოქტომბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	471	866
1995	წლის 5	ნოემბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	121	075
1999	წლის 31	ოქტომბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	143	851

¹⁴ http://www.cesko.ge/files/2012/PARLAMENTIS%20ARCHEVNEBI/amomrchevlebis_raodenoba.pdf

¹⁵ <http://www.cec.gov.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf>

2000	წლის	9	აპრილის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	3	088	925
2003	წლის	2	ნოემბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	178	593
2004	წლის	4	იანვრის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	2	231	986
2004	წლის	28	მარტის	საპარლამენტო	არჩევნები	-	2	343	087
2006	წლის	5	ოქტომბრის	ადგილობრივი	ორგანოს	არჩევნები	-	3	205 634
2008	წლის	5	იანვრის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	3	527	964
2008	წლის	21	მაისის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	465	736
2010	წლის	30	მაისის	ადგილობრივი	ორგანოს	არჩევნები	-	3	544 770

კომისიის მიერ დადგენილი ამომრჩეველთა რაოდენობა ბოლო 22 წლის განმავლობაში არის ყველაზე მეტი, და იგი აღემატება 1990 წლის ანალოგიურ მონაცემებს, თუმცა იმ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა ოფიციალური სტატისტიკით თითქმის ერთი მილიონი ადამიანით მეტი იყო, ვიდრე დღეს (1990 წელს - 5,424,400, ხოლო 2012 წლის იანვარში - 4,497,600)¹⁶. ამასთან, მხედველობაშია მისაღები 2003, 2004 წლების არჩევნებიც, როდესაც ამომრჩეველთა რაოდენობა იყო დაახლოებით 2 მლნ 300 ათასი. საყურადღებოა ისიც, რომ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ამომრჩეველთა არაზუსტი, „გაბერილი“ სიები იქცა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამომრჩეველთა რაოდენობამ საგრძნობლად დაიკლო (2004 წ.) 2006 წლამდე.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის შემდეგ, დღეის მდგომარეობით, ამომრჩეველთა რაოდენობა გაზრდილია თითქმის 1 მლნ 300 ათასით, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ, მუშაობა უნდა გაგრძელდეს და ასევე, უნდა მოხდეს შესაბამისი კომისიის მუშაობის უფრო ეფექტური მონიტორინგიც. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა არასამთავრობო

¹⁶ <http://geostat.ge/>

ორგანიზაცია “ამომრჩეველთა ლიგის” მონაცემებიც, რომელიც პარალელურ დათვლას აწარმოებს და უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს.

წინასაარჩევნო აგიტაცია. წინასაარჩევნო აგიტაციის საკითხებს, ძირითადად აწესრიგებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 45-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილი კვლავ შეიცავს წინასაარჩევნო აგიტაციის აკრძალვას უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წლის 28 ივნისს საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსში” შევიდა დამატება. კერძოდ, 185¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ აგრეთვე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რიგ მოქალაქეებს.¹⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, 45-ე მუხლის მე-4 ნაწილით, უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის წინასაარჩევნო აგიტაციის გათვალისწინებული აკრძალვა, კიდევ უფრო გაუგებარია.

არჩევნების დღეს აგიტაციას კვლავ უშვებს ახალი საარჩევნო კოდექსი, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ ნებისმიერი სახის წინასაარჩევნო საქმიანობა არჩევნებამდე 24 საათით ადრე შეწყვეტილიყო¹⁸. ამასთან, ვენეციის კომისიის იგივე დასკვნის მიხედვით, გარკვევით უნდა მომხდარიყო იმ ობიექტების განსაზღვრა, რომლებშიც დაუშვებელია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება და მას დამატებოდა, ასევე, შესაბამისი საარჩევნო კომისიები, თუნდაც, მხოლოდ, კენჭისყრის დღეს მაინც. ამ თვალსაზრისით 2012 წლის ივნისში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, კენჭისყრის შენობაში აკრძალა წინასაარჩევნო აგიტაცია, მაგრამ მხოლოდ

¹⁷ “2014 წლის 1 იანვრამდე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვს პირს, რომელიც დაბადებულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და საქართველოს კონსტიტუციის 10⁴ მუხლის ამოქმედების მომენტისათვის აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.”

¹⁸ <http://www.osce.org/odihr/86401>

კენჭისყრის დღეს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი აკრძალვა არასრულყოფილია და საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა შენობაში მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში უნდა იყოს აკრძალული წინასაარჩევნო აგიტაცია. ამასთან, კოდექსით გათვალისწინებული აკრძალვა ძალაში შევა მხოლოდ კენჭისყრის დღის წინა დღის ბოლოს, ხოლო შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რამდენად აუცილებლად მოხდება, მაგალითად, წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, გარკვეული ექვსის საფუძველს იძლევა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მათ შორის - გუბერნატორებს და გამგებლებს, კვლავაც ექნებათ აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა ორგანო დაკომპლექტებულია ერთი პოლიტიკური მმართველი პარტიის - “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” - წევრებით. ამდენად, საჯარო მოხელეებისათვის, უშუალოდ სამსახურობრივი ფუნქციების შესრულების პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვის მონიტორინგი საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან, საკანონმდებლო დებულებიდან ძნელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რა პირობები უნდა მივიჩნიოთ, ან რას მიიჩნევენ შესაბამისი თანამდებობის პირები უშუალოდ სამსახურობრივი ფუნქციების შესრულებისაგან თავისუფალ დროდ. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსის ეს აკრძალვები უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და მათი ზედმიწევნითი დაცვა, ან მისი გაკონტროლება, საკმაოდ რთული იქნება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, დადებითად არ იმოქმედოს საარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა კოდექსში. საქართველოს ორგანული კანონის - “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 48-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, აკრძალულია შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება”.

ამგვარად, ადმინისტრაციულ რესურსებთან მიმართებით კოდექსს გააჩნია ამგვარი მიდგომები:

შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსის - კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ დაკავებული შენობების გამოყენება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებსაც აქვთ იგივე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა. ამგვარი საკანონმდებლო დებულება საკმაოდ ბუნდოვანია, ვინაიდან არ შეიცავს ამგვარი შენობების სამართლებრივად უფრო ზუსტ განსაზღვრებას. ამავე დროს, კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 და მე-8

ნაწილებში აღნიშნულია, რომ *“7. მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. 8. საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტებისთვის, მათთან შეთანხმებით, ადგენს საარჩევნო ღონისძიებების გამართვის განრიგს (თუ მოხდა ღონისძიებათა გადაფარვა და საარჩევნო სუბიექტები ვერ შეთანხმდებიან, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება)”*.

ამრიგად, ამ შემთხვევაში საუბარია, რომ საარჩევნო სუბიექტებთან შეთანხმებით, საოლქო საარჩევნო კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მისთვის გამოყოფილ შენობა-ნაგებობებში ადგენს საარჩევნო სუბიექტების მიერ გასამართ საარჩევნო ღონისძიებათა განრიგს. ე.ი. აქ გათვალისწინებულია ზუსტად ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც გამოყოფილია შესაბამისი სუბიექტების (მათ შორის - მმართველი პარტიის) საარჩევნო ღონისძიებათა გასამართად. ამდენად, გაუგებარია, კიდევ რა შენობების გამოყენებაზეა საუბარი 48-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტში. ამ შემთხვევაში, პრინციპში, დაშვებულია დამატებითი შესაძლებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული კიდევ სხვა შენობების (გარდა 45-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული შენობებისა), ანუ დამატებითი “ადმინისტრაციული რესურსის” - გამოყენებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსის ეს დებულება არ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვას.

იგივე შეიძლება ითქვას, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების უსასყიდლო, ან შეღავათიანი პირობებით გამოყენების აკრძალვაზე. ამ შემთხვევაში, კანონით არ არის განსაზღვრული თუ რა უნდა ვიგულისხმოთ შეღავათიან პირობებში, იმ დროს, როდესაც ბევრ საჯარო მოხელეს, რომელსაც უფლება აქვს

მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო აგიტაციაში, უსასყიდლოდ ემსახურება სახელმწიფო მანქანა. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პირობითი აკრძალვების დარღვევის დადასტურება საკმაოდ რთულია - თუ არა შეუძლებელიც კი.

კოდექსის 88-ე მუხლი ითვალისწინებს საკმაოდ დაბალ და არაადეკვატურ ჯარიმას წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისას, მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისათვის - 2000 ლარის ოდენობით. მხედველობაშია მისაღები, რომ სანქცია გათვალისწინებულია მხოლოდ **“წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას”** და არა, კოდექსის 49-ე მუხლში თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან ერთად აკრძალული “საბიუჯეტო თანხების” წინასაარჩევნოდ გამოყენებასთან მიმართებით. არადა, იგი ისევეა აკრძალული, როგორც ჩვენს მიერ ნახსენები სხვა მოქმედებები.

ამასთან, კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბიუჯეტო თანხების წინასაარჩევნო მიზნით გამოყენების შემთხვევაში, **“უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.”** . საქართველოს საარჩევნო კოდექსის არც იგივე და არც სხვა სპეციალური მუხლები არ განმარტავენ, თუ ვინ იგულისხმება აღნიშნულ უფლებამოსილ პირებში და შესაბამისად ვის გააჩნია უფლება, გაასაჩივროს ამგვარი მოქმედება.

მაგალითად, კოდექსის 78-ე მუხლი მოიცავს საარჩევნო დავებს და იმ მოსარჩელეთა წრეს, რომლებსაც შეუძლიათ, გაასაჩივრონ არჩევნებთან დაკავშირებით წარმოშობილი კანონდარღვევები. ამ მუხლში, თითქმის ყველა სადავო საკითხთან მიმართებით დადგენილია შესაბამისი მოსარჩელეთა წრე. თუმცა, იქ არ არის ნახსენები 49-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევები. ასევე, კოდექსის 93-ე მუხლი განსაზღვრავს სამართალწარმოების საკითხებს საარჩევნო კანონმდებლობის

დარღვევის თითქმის ყველა შემთხვევისათვის, მაგრამ მასში არ არის ნახსენები კოდექსის 88-ე მუხლი, რომლითაც დადგენილია *წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა*.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ რესურსში უნდა ვიგულისხმოთ ხელისუფლების მიერ ყველა იმ სახელმწიფო უფლებამოსილებათა გამოყენება, რომლებიც მიმართულია არჩევნების შედეგზე ზემოქმედებისაკენ - ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენება, მისი ინტენსივობის გათვალისწინებით, საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს საარჩევნო პროცესზე. ვინაიდან, იგი ხელსუწყობს ხელისუფლების ორგანოთა დაკომპლექტებას არა არჩევნების გზით, არამედ, ხელისუფლების შენარჩუნებას, რა დროსაც არჩევნები, მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენს.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ყოველთვის არ იგულისხმება, აუცილებლად სახელისუფლებო მატერიალური რესურსები. ხშირია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, სხვადასხვა კერძო საწარმოები იძულებულნი არიან არაპირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის თუ კანდიდატის წინასაარჩევნო აგიტაციაში.

ამდენად, ადმინისტრაციულ რესურსში უნდა მოვიაზროთ ყველა ის სახელისუფლებო ტექნოლოგია, რომლებიც მიმართულია უშუალოდ არჩევნებზე ზემოქმედებისაკენ, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვყოთ ადმინისტრაციული რესურსების შემდეგი ფორმები:

1. ე.წ. *ძალოვანი რესურსები* - როდესაც ხდება ხელისუფლების შესაბამისი სამართლადამცავი, ძალოვანი, ან საზედამხედველო ორგანოთა გამოყენება არჩევნების შედეგებზე პირდაპირი თუ არა პირდაპირი ზემოქმედების მიზნით;
2. ე.წ. *რეგულაციური რესურსი* - ანუ საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამოყენება;
3. *საკანონმდებლო რესურსის* - გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება იყენებს თავის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის გარკვეული საარჩევნო უპირატესობების მინიჭების ან პირიქით, შეზღუდვის თვალსაზრისით;
4. *ფინანსური რესურსი* - როდესაც ხდება უშუალოდ საბიუჯეტო ხარჯების გამოყენება არჩევნებში მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ;
5. ე.წ. *მედია რესურსი* - როდესაც ხდება სახელისუფლებო, ან სხვაგვარად ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არსებული მედია საშუალებების ბოროტად გამოყენება.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი საკმაოდ არაეფექტურია ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის, სამსახურეობრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების და საბიუჯეტო თანხების წინასაარჩევნო ხარჯვის აკრძალვის თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნაწილში კოდექსში ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომელშიც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება ექნებათ პარტიებს, ხოლო სხდომებზე შესაძლოა მიიწვიონ ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. კომისია იქმნება არჩევნების წლის 1 ივლისს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში, ის

ფუნქციონირებას არჩევნების დანიშნვიდან 3 დღის ვადაში იწყებს. კომისია, რომლის მსგავსიც რამდენიმე წინა არჩევნებზეც ფუნქციონირებდა, იხილავს საკითხებს, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე - დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც კომისიას აწვდიან საარჩევნო სუბიექტები ან დამკვირვებელი ორგანიზაციები. კოდექსში ნათქვამია, რომ დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია, მხოლოდ „რეკომენდაციით მიმართოს“ შესაბამის ორგანოს, „გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით“.¹⁹

მედია და არჩევნების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების კუთხით, საარჩევნო კოდექსში სიახლეს წარმოადგენს დებულება, რომლის მიხედვითაც, ფასიანი სარეკლამო დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს; კვლავაც ძალაში რჩება რეგულაცია უფასო დროის გამოყოფის თაობაზე.

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ, თუნდაც მხოლოდ ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდში საკაბელო მაუწყებლების დავალდებულება, მომხმარებელს შესთავაზონ, ასევე არასახელისუფლებო ტელემაუწყებლები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკაბელო მაუწყებლები ფარავენ მხოლოდ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც თავმოყრილია, ძირითადად, მსხვილ ქალაქებში. იმ დროს, როდესაც ქალაქგარეთ, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის, რაც საერთო ამომრჩევლების თითქმის 50%-ზე მეტს შეადგენს, ალტერნატიული ინფორმაციის საშუალებად კვლავ რჩება სატელიტური ანტენები.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ე.წ. must carry-ის წესების მოქმედებისათვის საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-17 ნაწილით დადგენილი ვადები, რაც გულისხმობს მის შეწყვეტას არჩევნების წინა დღეს, არაგონივრულია და სრულად ვერ ასახავს

¹⁹ საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 48-ე მუხლის მე-9 ნაწილი

საზოგადოებრივ ინტერესს. არჩევნებთან მიმართებით, მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას განგრძობითად, ვინაიდან მას არ გააჩნია მხოლოდ ამომრჩევლის წინასაარჩევნოდ ინფორმირების ფუნქცია, პლურალისტული მედიაგარემო, ამავე დროს, არის არჩევნების მთლიანი პროცესის გამჭვირვალობის და მისდამი ნდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

წინასაარჩევნოდ მედიაგარემოს კვლევის თაობაზე შესაბამისი ანგარიში გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა ცენტრმა, რომელის ნახვაც შესაძლებელია ორგანიზაციის ვებ-გვერზე.²⁰

ახალმა საარჩევნო კოდექსმა, წინა კოდექსისაგან განსხვავებით, არ გაითვალისწინა შესაბამის საარჩევნო უბნებზე ე.წ. ვიდეოთვალის დამონტაჟება ვიდეომონიტორინგის მიზნით. მიგვაჩნია, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯია, კენჭისყრის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარების თვალსაზრისით.

საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, **“ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი...”**. ამრიგად, კოდექსით, დადგენილია არჩევნებზე შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მსურველი ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომლის ლეგიტიმური მიზანი, კოდექსში არ არის ახსნილი და ამდენად გაუგებარია. აღნიშნული შეზღუდვის მართებულობაზე ეჭვი გამოთქვა აგრეთვე ვენეციის კომისიამაც, საარჩევნო კოდექსის პროექტზე 2011 წლის 19 დეკემბერს გამოქვეყნებულ დასკვნაშიც.²¹ სავარაუდოა, რომ ამგვარი შეზღუდვა უკავშირდება, კენჭისყრამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, ახალი ძლიერი ოპოზიციური გაერთიანების გამოჩენას, რომელმაც, პირველ რიგში დააფუძნა არასამთავრობო

²⁰ <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/English-2.pdf>

²¹ <http://www.osce.org/odihr/86401>

ორგანიზაცია. თუ ხსენებული შეზღუდვის მიზეზი მართლაც ეს გარემოებაა, მაშინ უდავოდ მიუღებელია მსგავსი პრაქტიკის არსებობა.

საარჩევნო სუბიექტთა ფინანსები. საარჩევნო კამპანია ფინანსდება პოლიტიკური გაერთიანების ფონდიდან, ხოლო საარჩევნო ბლოკის შექმნის შემთხვევაში, ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდიდან, თუმცა, ამ შემთხვევაში, ბლოკში შემავალ სხვა პარტიებს შეუძლიათ, შეუზღუდავად გადასცენ კუთვნილი თანხები ბლოკის პირველ ნომერ პარტიის ფონდს. კამპანიის ფონდზე და ხარჯებზე ვრცელდება “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” კანონით დაწესებული შეზღუდვები.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებით მიღებული კანონმდებლობა, საქართველოში მოღვაწე უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების²² უმრავლესობის აზრით, საკმაოდ რადიკალურია და რიგ შემთხვევებში, შეზღუდვები და, განსაკუთრებით კი, ამ შეზღუდვებისთვის გათვალისწინებული სანქციები არათანაზომიერი და არაადეკვატურია. ამასთან, იმავე ორგანიზაციების აზრით, ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, ზედმეტად ფართო განმარტების საშუალებას იძლევა და, ამავე დროს, შესაძლებელია მათი შერჩევით გამოყენება ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ.

აღნიშნული პრობლემების გამოსწორების მიზნით, კამპანია “ეს შენ გეხებას” ფარგლებში გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე, 2012 წლის 8 მაისსა და 22 ივნისს “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.²³ ამ ცვლილებებით, დაზუსტდა და განისაზღვრა რიგი ბუნდოვანებები, რომლებიც შესაძლებელს ხდიდა კანონის არაგონივრულად ფართო განმარტებას, ასევე, პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებით მოიხსნა რიგი შეზღუდვები.

²² <http://esshengexeba.ge/#3>

²³ <http://esshengexeba.ge/contentimage/shedareba.pdf>

2012 წლის მაის-ივნისში ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით, საერთო ჯამში, გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

1. კანონში აღარ არსებობს ე.წ. პოლიტიკურ პარტიასთან პირდაპირ, ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პირთა ცნება, რომელიც ფინანსური შეზღუდვების გავრცელების შესაძლებლობას იძლეოდა არაგონივრულად განუსაზღვრელად. პოლიტიკური სიმპათიის ან ანტიპათიის საჯაროდ გამოხატვის გამო სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აღარ გააჩნია უფლება, შესაბამის პირს დაუწესოს პოლიტიკური პარტიებისათვის გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები;
2. შევიწროვდა და მკაფიოდ განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდება პოლიტიკური პარტიისათვის დაწესებული ფინანსური შეზღუდვები;
3. განისაზღვრა ვადა, თუ რა პერიოდში შიძლება გავრცელდეს შესაბამის პირზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაწესებული შეზღუდვები;
4. მოიხსნა პარტიებისათვის დადგენილი შეზღუდვა, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური პარტიის მიერ გაწეული ხარჯის ზედა ზღვარს;
5. განისაზღვრა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ხარჯების ზედა ზღვარის გამოთვლის წესი;
6. თუ პარტიისადმი იმ ფიზიკური პირების მიერ, რომლებიც შემოსავალს მთლიანად ან ნაწილობრივ იღებენ ერთი წყაროდან, განხორციელებულმა შემოწირულობამ გადააჭარბა 500 000 ლარიან ლიმიტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიას, რომელმაც მიიღო შემოწირულობა, აცნობებს ამ დარღვევის შესახებ. თუკი პარტია ამ შემოწირულობას 5 დღის ვადაში დაუბრუნებს შემომწირველს, არც პარტიას და არც შემომწირველს ჯარიმა არ დაეკისრება;
7. პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადა 3 დღიდან 5 დღემდე გაიზარდა;

8. იმ შემთხვევაში, თუ პარტიას არ შეიძლება სცოდნოდა უკანონო შემოწირულობის შესახებ, მაშინ მას ასეთი შემოწირულობის დაბრუნების ვალდებულება წარმოექმნება არა შემოწირულობის მიღების დღიდან, არამედ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი მოთხოვნის მიღების დღიდან;

9. გაუქმდა ნორმა, რომლის საფუძველზეც, შესაბამის საარჩევნო სუბიექტს შეიძლება შეჩერებოდა საარჩევნო რეგისტრაცია, რაც, ფაქტობრივად, არჩევნებიდან მოხსნის ტოლფასი იყო;

10. ცვლილებებით განისაზღვრა, რომ ამ კანონის დარღვევის გამო გათვალისწინებული სანქციის აღსრულებლობის (ჯარიმის გადაუხდელობის), ან სახდელის აღსრულების სხვაგვარი შეფერხების შემთხვევაში, შესაბამისი პირის ქონებაზე ყადაღის დადება შესაძლებელია, მხოლოდ სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის პროპორციულად;

11. პოლიტიკურ პარტიას, მის მიერ ფიზიკური პირისთვის 100 ლარამდე ოდენობის დახმარების გაწევის, ან ამ ოდენობის დახმარების მიღების შემთხვევაში, შესაბამის პარტიას და ფიზიკურ პირს აღარ ეკისრებათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

12. შესაბამის ფიზიკურ პირზე, პოლიტიკური პარტიის მიმართ ნებისმიერი სახის დახმარების მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის ფიზიკურ პირს არ დაეკისრება არანაირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამრიგად, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების კანონში შეტანის შემდეგ, “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული აკრძალვების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა შედარებით შერბილდა, ხოლო ზოგ შემთხვევებში გაუქმდა კიდევაც. ასევე, კანონი

გახდა უფრო მარტივად განჭვრეტადი, რაც მისასაღმებელია. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, თუ რამდენად არაგონივრულად მკაცრი იყო კანონის თავდაპირველი რედაქცია და რამდენად ზღუდავდა იგი შესაბამისი პოლიტიკური სუბიექტების უმნიშვნელოვანეს უფლებებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე, თავდაპირველი რედაქცია მოქმედებდა თითქმის 4 თვის განმავლობაში, რამაც, რიგ შემთხვევებში, კონკრეტული პირების მიმართ გამოიწვია გარკვეული იურიდიული შედეგები, რომლებზეც კანონში შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ უმოქმედია.

“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში 2011 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რითაც ჩამოყალიბდა პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებული, გამკაცრებული შეზღუდვები, პარტიათა ფინანსებზე ზედამხედველობის განხორციელება დაეკისრა საქართველოს კონტროლის პალატას (2012 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, კონტროლის პალატას ამჟამად ეწოდება სახელმწიფო აუდიტის სამსახური).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მაშინდელი კონტროლის პალატის ძირითად ფუნქციას განსაზღვრავდა საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თავდაპირველი რედაქციით, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილებაში შედიოდა, მხოლოდ *“სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე”* ზედამხედველობა. კონტროლის პალატის დასახელებული, კონსტიტუციით განსაზღვრული კომპეტენცია და ასევე, მისი სახელწოდება შეიცვალა მხოლოდ 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური ცვლილებით. 2012 წლის 22 მაისს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება-დამატებების შესაბამისად კი, უკვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურად ჩამოყალიბებულ ყოფილი კონტროლის პალატის

კომპეტენციაში შევიდა *“საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე”* ზედამხედველობა - ანუ, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების არასახელმწიფო სახსრებზე ზედამხედველობა, მაშასადამე - უფლებამოსილება, რომელსაც ეს ორგანო ისედაც ახორციელებდა 2011 წლის 27 დეკემბერს პარტიათა შესახებ კანონში შესული ცვლილების თანახმად. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 2011 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 22 მაისამდე კონტროლის პალატა ახორციელებდა არაკონსტიტუციურ საქმიანობას, ანუ საქმიანობას, რომელიც არ შედიოდა კონსტიტუციით განსაზღვრულ მის უფლებამოსილებაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული, შესაძლებელია, წარმოადგენდეს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევას და იგი დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი, ყველა, ამ შესაძლო დარღვევიდან გამომდინარე იურიდიული შედეგების კონსტიტუციურობის თვალსაზრისითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნული - თუ ასევე გავითვალისწინებთ *“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ”* ორგანულ კანონში 2011 წლის 27 დეკემბერს შესული ცვლილებების არაგონივრულ სიმკაცრეს - რბილად, რომ ვთქვათ, დადებითად არ მეტყველებს ხელისუფლების წინასაარჩევნო სურვილებზე და მოლოდინებზე. აქვე, მხედველობაშია მისაღები ის, რომ *“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ”* ორგანულ კანონში არსებული გარკვეული საკითხები, რომლებიც თავიდანვე იწვევდა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთებას, კვლავაც ძალაში რჩება.²⁴

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, *მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის - მაინა კაის შეფასებები, ზემოაღნიშნული კანონმდებლობით მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე.*²⁵

²⁴ <http://esshengexeba.ge/contentimage/shedareba.pdf>

²⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15054&lang=eng>

საარჩევნო დავები. საარჩევნო დავების განხილვის კუთხით ახალი საარჩევნო კოდექსი აწესებს შესაძლებლობას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ზემდგომ კომისიაში ან პირდაპირ სასამართლოში.

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის ზაფხულში ნაციონალურ მოძრაობასა და ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას შორის შეთანხმების შედეგად კოდექსის პროექტში ასახული იყო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის 4 დღემდე გაზრდა, ეს დებულება კანონში უკვე აღარ ფიგურირებს და ვადა კვლავ 2 დღე რჩება, რიგ შემთხვევებში კი ის პირიქით შემცირებულია და 1 დღემდე არის დაყვანილი. ამასთან, საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

მიგვაჩნია, რომ დღეს არსებული ფორმით, ხშირ შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა, რათა არჩევნების სასამართლო კონტროლი (სასამართლოებში გასაჩივრებისა და განხილვების წესი) უფრო ეფექტური ყოფილიყო. ასევე, გაზრდილი ყოფილიყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასების თვალსაზრისით და ასევე, მისდამი საარჩევნო დავებთან დაკავშირებით მიმართვის უფლებამოსილ სუბიექტთა წრე.

ამ მხრივ, მაგალითისთვის, საინტერესოა, რომ ჯერაც განუხილველი რჩება ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც შეეხებოდა მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის ე.წ. “საარჩევნო თავდების” შენატანის გათვალისწინების კონსტიტუციურობის საკითხს. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეს - საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს (დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი) - ბესიკ ადამიას, 2012 წლის სექტემბრამდე ეწურება „საარჩევნო თავდებით“ გათვალისწინებული 5000-ლარიანი დეპოზიტის წარდგენის ვადა, რისი გადახდის შესაძლებლობაც მას არ გააჩნია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 45¹ მუხლის თანახმად, *“1. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელთან და*

კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით სხდომებს, როგორც წესი, მართავს საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების დროს.

2. საგაზაფხულო სესია იწყება მარტის პირველ ორშაბათს და მთავრდება ივლისის პირველ პარასკევს.

3. საშემოდგომო სესია იწყება სექტემბრის მეორე ორშაბათს და მთავრდება დეკემბრის ბოლო პარასკევს.

4. სესიებს შორის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლო ატარებს სხდომას და იღებს შესაბამის განჩინებას, გადაწყვეტილებას ან დასკვნას 'საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ' საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის 'დ' და 'თ' ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5. სესიებს შორის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გამართოს სხდომები მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით.”²⁶

რეგლამენტის აღნიშნული დებულების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს, ბატონი ადამიას კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც შეეხება ზუსტად 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, განიხილოს მინიმუმ, 2012 წლის სექტემბრის მეორე ორშაბათამდე, რის გამოც, სავარაუდოდ, გაშვებული იქნება მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საოლქო კომისიაში რეგისტრაციის ვადა. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, პრინციპში არაეფექტური აღმოჩნდა მსგავსი დავების დროულად გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა არჩევნების მომწესრიგებელი ქართული კანონმდებლობა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც ახასიათებს კანონმდებლობას არის შემდეგი:

²⁶ http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1

საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის დიდი განსხვავებები, რაც არღვევს ხმათა თანასწორობის პრინციპს;

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული არაეფექტური რეგულირება, რის გამოც არსებობს რეალური საფრთხე, რომ წინასაარჩევნო გარემო არ იყოს კონკურენტული და საარჩევნო სუბიექტები არ იყვნენ თანასწორ პირობებში. ეს კი, უარყოფითად მოქმედებს სამართლიან და თანასწორ წინასაარჩევნო გარემოზე;

რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს არის ის საკანონმდებლო აკრძალვები, რაც დადგენილია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სფეროში და სახელმწიფო აუდიტის უზომოდ გაზრდილი უფლებები. ამგვარი შეზღუდვები, პოტენციურად ქმნის საფრთხეს, რომ ისინი გამოყენებული იქნება პოლიტიკურ ოპონენტებზე ანგარიშსწორების მიზნით, რამაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, გამოიწვიოს ოპოზიციური პარტიების არსებითი შეზღუდვა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას და ასევე, მათი გამოთიშვა არჩევნებში ეფექტურად მონაწილეობისაგან. ასეთ შემთხვევაში, არჩევნები შესაძლოა, ჩატარდეს უალტერნატივო გარემოში და ექვექვემ დადგეს მთლიანად არჩევნების სამართლიანობა.

ხელისუფლების ძალოვანი, საზედამხედველო, რეგულაციური (მმართველობითი) და ფინანსური რესურსების გამოყენება

თითქმის მთელი საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, დაფიქსირდა უამრავი ფაქტი, როდესაც ხელისუფლების საზედამხედველო და სამართალდამცველი ინსტიტუტები პირდაპირ ზეგავლენას ახდენდნენ, როგორც კონკრეტულ ამომრჩეველებზე, ისე საარჩევნო სუბიექტებსა და მათ აქტივისტებზე. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა, ძირითადად შემდეგი სახელმწიფო ორგანოები: სამართალდამცველი ორგანოები (ძირითადად პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანაყოფები), სასამართლო ორგანოები (რომლებიც

თითაქმის ყოველთვის იზიარებენ პოლიციის, პროკურატური და სხვა საზედამხედველო ორგანოების შუამდგომლობებს პოლიტიკურად აქტიური პირების ქონების დაყადაღების, მათი ადმინისტრაციულ პატიმრობაში მოთავსების და სხვა შემთხვევებში), სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ასევე, ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები.

ქვემოთ მოყვანილია, ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრისა და შედეგების შეჯამების დროს, უშუალოდ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების, ან მასთან და მმართველო პარტიასთან ასოცირებული პირების მიერ განხორციელებული კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს თანასწორ წინასაარჩევნო გარემოზე.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევები

ჟურნალისტური საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

1. **31 იანვარს** კახეთის საოლქო პროკურატურამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ჟურნალისტი სოფო ნიკოლაშვილი დააკავა. ჟურნალისტის მამა, დათო ნიკოლაშვილი გურჯაანში საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ აქტივისტია. პროკურატურა სოფო ნიკოლაშვილს პოლიციის თანამშრომლის, გიორგი სიბაშვილის მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებს. 23 წლის გიორგი სიბაშვილი შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ინსპექტორ - გამომძიებელია. მისი მამა, გოჩა სიბაშვილი გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილეა. ბიძა - გიორგი სიბაშვილი კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილეა. სამართალდამცავებმა დაკავებულის ოჯახის წევრებს მხოლოდ 1 თებერვალს, დილით შეატყობინეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფო ნიკოლაშვილის ოჯახის წევრებმა განუცხადეს, მთელი ღამის განმავლობაში ისინი

გოგონას საავადმყოფოებში და ნათესავებთან ეძებდნენ. გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ სოფიკო ნიკოლაშვილის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ დაადო.²⁷

2. გორის რაიონის სოფელ კარალეთში, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი ცემეს. ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა კარალეთის რწმუნებულმა მიაყენა. საბა წიწიკაშვილი გორის საავადმყოფოშია მოთავსებული.

როგორც დაზარალებულმა ჟურნალისტმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, კარალეთში მხარდამჭერებთან შესახვედრად „ქართული ოცნების“ აქტივისტები იმყოფებოდნენ. შეხვედრის ჩაშლა სოფლის გამგეობის თანამშრომლებმა და მართველი პარტიის ერთ-ერთ მაჟორიტარ დეპუტატ - ბადრი ბასიშვილთან დაახლოებულმა პირებმა სცადეს, რა დროსაც მათ ფიზიკური შეურაცხყოფა ჟურნალისტებსაც მიაყენეს.²⁸

3. 2012 წლის 6 ივლისს, გორის რაიონის სოფელ წედისში საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის გადამღებ ჯგუფს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ჟურნალისტი რეზო ნადირაძე და ოპერატორი ლექსო ალექსიძე სოფელში საპროტესტო აქციის გასაშუქებლად იყვნენ ჩასულები. წედისელები სასმელი წყლის მიწოდების მოთხოვნით, გზის გადაკეტვას აპირებდნენ. მოულოდნელად სოფელში, მერსედესის მარკის მანქანა გამოჩნდა ნომრით (SOV 001).

მანქანიდან გადმოსულმა ერთ-ერთმა პირმა ხელი მიკროფონს ჩაართვა. როცა ჟურნალისტი დაინტერესდა, თუ ამას რატომ აკეთებდა, მეორე პირმა ჟურნალისტს და ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ეს ყველაფერი ვიდეომასალაზეც დაფიქსირებულია. კონფლიქტში სოფლის მოსახლეობა ჩაერთო და იქ მისული პირები იძულებული გახდნენ წედისი დაეტოვებინათ.

²⁷ <http://ick.ge/ka/jinvestigation/9700--i.html>

²⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15175&lang=geo>

წედისელებმა მერსედესით მისული პირები იქვე ამოიცივნეს. ერთი მათგანი მეზობელ სოფელ ატენში მცხოვრები პოლიციელი სამსონ ვანიშვილი აღმოჩნდა, რომელიც ჟურნალისტებს საქმიანობაში ხელს უშლიდა.²⁹

4. გორის რაიონში აგრესიულად განწყობილი ადამიანები კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერების სოფლებში შეხვედრების ჩაშლას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ. აგრესიას ჟურნალისტების მიმართაც გამოხატავენ. სოფელ ახალდაბაში ერთმა პიროვნებამ სააგენტო „ინფო 9“-ის ოპერატორს თორნიკე თიბილაშვილს ჯერ გადაღების შეწყვეტა მოსთხოვა და შემდეგ მუშტი პირდაპირ სახეში ჩაარტყა. ამავე სოფელში ჩხუბი ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრეებს შორისაც გაიმართა.

„ინფო 9“-ის ოპერატორს თვალი აქვს დაზიანებული, დამტვრეულია ვიდეოკამერაც. თიბილაშვილმა სამედიცინო ექსპერტიზა უკვე ჩაიტარა და რეაგირებისთვის სახალხო დამცველს მიმართა. პიროვნება, რომელმაც მას დაარტყა, ვიდეომასალაზე დაფიქსირებულია, თუმცა ჟურნალისტებმა მისი ამოცნობა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. თიბილაშვილის თქმით, მას იმ დროს გაუსწორდნენ, როცა ხალხში დაწყებულ ჩხუბს იღებდა.³⁰

5. კარალეთში მომხდარი ინციდენტის შედეგად 10 ჟურნალისტი დაშავდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, დაშავებულები არიან სააგენტო „ინფო-9“-ის წარმომადგენლები თამთა ილურიძე, ეკა ილურიძე, შორენა ხაბალაშვილი, რეზო ნადირაძე და ლექსო ალექსიძე, „მე-9 არხის“ ჟურნალისტები ნუკრი ბეგლარაშვილი და ნოდარ სხირტლაძე, ტელეკომპანია „თრიალეთის“ წარმომადგენლები ნინო ბოლაშვილი და მამუკა ქევხიშვილი და შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი.

²⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15130&lang=geo>

³⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15179&lang=geo>

ომბუდსმენის ინფორმაციით, ჟურნალისტთა ზეპირი განმარტებით, მათ ნაწილს დაზიანებული აქვს ტექნიკა და ინციდენტის შემდეგ ისინი შსს გორის სამმართველოში იმყოფებოდნენ.

„საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც გორის რაიონის სოფელ კარალეთში, მოსახლეობასთან „ქართული ოცნების“ შეხვედრისას ადგილი ჰქონდა ინციდენტს. მოქალაქეთა ჯგუფმა აქციის მონაწილეებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შედეგად, აქციის რამდენიმე მონაწილე და ჟურნალისტი დაშავდა. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალაქ გორის საავადმყოფო „გორმედში“ აქციის დაახლოებით 13 მონაწილე სხვადასხვა დაზიანებით იმყოფება. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ასევე დაუკავშირდა დაშავებულ ჟურნალისტებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. შესაბამისად, მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს დაუყოვნებლივ გაატარონ სწრაფი და ეფექტური საგამომიებო ღონისძიებები სამართალდამრღვევ პირთა იდენტიფიცირების მიზნით. საქართველოს სახალხო დამცველი განაგრძობს აღნიშნული ფაქტზე ახსნა-განმარტებებისა და ინფორმაციის მოპოვებას“, – ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის მიერ 12 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში.³¹

6. *სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სააგენტო info 9-ის ჟურნალისტს თინათინ მატინოვს, რომელიც გამგეობის სპეციალისტისგან გიორგი ლათიბაშვილისგან ინფორმაციის მიღებას ცდილობდა, მიკროფონით ნათია მირიანაშვილი აედევნა და გამგეობის თანამშრომელს კომენტარის გაკეთება აუკრძალა. ამ ინფორმაციას სააგენტო Info 9 ავრცელებს.*

³¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15187&lang=geo>

„გიორგი, ერთი წუთით თუ შეიძლება. არ მისცე არანაირი კომენტარი“, – მიმართა ნათია მირიანაშვილმა გამგეობის თანამშრომელს. ამის შემდეგ მან კითხვა info 9–ის ჟურნალისტს და ოპერატორს დაუსვა.³²

7. 11 მაისს სტუდია „GNS“-ის ჟურნალისტს, ბელა ზაქაიძეს და ოპერატორს, ზურაბ პატარიძეს დუშეთის რაიონის გამგეობის დაცვის თანამშრომელმა შენობის გადაღების საშუალება არ მისცა. გამგეობის ეზოში მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პატარიძეს, ცდილობდა, დაეზიანებინა კამერა, ემუქრებოდა: „მოგატეხავ მაგ ხელებს, ამოგახევ მაგ თვალებს“ და აგინებდა. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 6 ივნისს მას შემდეგ აღიძრა, რაც საქართველოს უშიშროების საბჭოს უწყებათშორის კომისიას აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოსთხოვეს.
8. 20 მაისს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი გელა მთივლიშვილი, რომელიც პოლიციის შენობას გარე პერიმეტრიდან იღებდა, თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ, მამუკა შალამბერიძემ პოლიციის შენობაში შეათრია და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა, წაუშალა ვიდეო და ფოტო მასალა. პოლიციის თანამშრომლებმა, მთივლიშვილის რამდენჯერმე მოთხოვნის შემდეგ, გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, ხოლო მისი მოვლისთანავე ჟურნალისტი პოლიციის შენობიდან გამოაგდეს. ამის შემდეგ გელა მთივლიშვილი რამდენიმე საათის განმავლობაში თიანეთის საავადმყოფოში იმყოფებოდა. მას დაუდგინდა თხემის არეში დაჟეჟილობა და ტვინის შერყევა, რასაც ავადმყოფობის ისტორიაც (ფორმა 100) ადასტურებს.
- ინციდენტიდან 30-40 წუთის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, შოთა უტიაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მთივლიშვილი თავად შეიჭრა პოლიციის შენობაში და არ ტოვებდა მას.

³² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15170&lang=geo>

9. 25 მაისს გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს, თამარ ლევსვერიძეს და მის წარმომადგენელს, მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, ნათია კაპანაძეს საქართველოს კონტროლის პალატაში საჯარო პროცესზე პირადი ნივთების, მათ შორის, დიქტოფონისა და ლეპტოპის შეტანის უფლება არ მისცეს, ისინი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ ყველა ნივთი დაცვის თანამშრომლებისთვის ჩაებარებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტს სრული უფლება ჰქონდა, იმ საჯარო პროცესის აუდიოჩანაწერი გაეკეთებინა, რომელზეც მხარეს თავად წარმოადგენდა, კონტროლის პალატის თანამშრომლების - შიდაგანაწესის სამსახურის უფროსის (როგორც თავად წარმოადგინა თავი), ჯიმშერ დობორჯგინიძისა და პრესსამსახურის უფროსის, ფატი მამიაშვილის მხრიდან კატეგორიული უარი მიიღო. ამის შემდეგ კი დობორჯგინიძემ ჟურნალისტისთვის დიქტოფონის წართმევა სცადა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აუდიოჩანაწერი, აღნიშნულ კონტროლის პალატა აღნიშნულ ინციდენტს არ აღიარებს.

10. 26 მაისს ქუთაისში თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ალლუმის რეპეტიციის გადაღების უფლება არ მისცა „ამერიკის ხმის“ რეპორტიორს, ხოლო ალლუმის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოსახლეობასთან შეხვედრის ვიდეოგადაღების უფლება „ნეტგაზეთის“ რეპორტიორს პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელმა შეუზღუდა.

11. 6 ივნისს კომპანია "თბილისის მიკროავტობუსმა" სამარშრუტო ტაქსებში რადიოსაშუალებებზე ხმოვანი სიგნალები გათიშა. მძღოლებს, რომლებსაც ღამით სამარშრუტო ტაქსები ღია დაატოვებინეს, დილით რადიოები მანქანებიდან ამოგლეჯილი დახვდათ. "თბილისის მიკროავტობუსმა" გაავრცელა განცხადება, რომ კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქ თბილისში მგზავრთა გადაყვანას

ახალი, ყვითელი მიკროავტობუსებით, გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება დამოუკიდებელ იურიდიულ პირთან სარეკლამო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით, სარეკლამო კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მიკროავტობუსებზე გარე რეკლამის განთავსება, ხოლო სამარშრუტო ტაქსების სალონში მონიტორების დამონტაჟება, სადაც განთავსდება სხვადასხვა ხმოვანი სარეკლამო რგოლები.

12. 2012 წლის 26 ივლისს ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც გამოეხმაურა ბოლო პერიოდში დაფიქსირებულ ფაქტებს, როდესაც ჟურნალისტებს თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობა შეეზღუდათ. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი ეხმაურება ბოლო პერიოდში დაფიქსირებულ ფაქტებს, როდესაც ჟურნალისტებს თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობა შეეზღუდათ:

2012 წლის 22 ივლისს სოფელ შაუმიანში მოსახლეობის პრობლემების გასაშუქებლად ჩასულ „ინფო 9“-ს ჟურნალისტებს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა, ყოველგვარი განმარტების გარეშე, მოსახლეობის ჩაწერის საშუალება არ მისცეს.

მედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია 2012 წლის 25 ივლისს პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტთან დაკავშირებით ხობის რაიონის სოფელ ხეთაში, სადაც ჟურნალისტებს არ ჰქონდათ საშუალება, ეს მოვლენა გაეშუქებინათ.

2012 წლის 24 ივლისს ოზურგეთში გაზეთ „გურია ნიუსი“-ს ჟურნალისტებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაეშუქებინათ პრეზიდენტის ვიზიტი გურიაში. როგორც სამოქალაქო ფორმაში მყოფმა პირმა განუმარტა, ისინი დაცულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. გავრცელებული მასალებით კი ნათლად ჩანს, რომ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, გადაადგილება შეზღუდული არ არის. ასეც რომ არ ყოფილიყო, შეზღუდვა პრესაზე ვერ იქნებოდა დაწესებული, რადგან სხვა მედია

საშუალებების მიერ აღნიშნული ინფორმაცია გაშუქდა. გაზეთ „გურია ნიუსი“-ს წარმომადგენელთა განცხადებით, მათ გადაღებული მასალები წაუშალეს.³³

13. 2012 წლის 27 ივლისს საიას (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის) მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა გაავრცელა განცხადება ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ჟურნალისტის ნოდარ ჩაჩუას მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი ეხმიანება ტელეკომპანია "მეცხრე არხის" ჟურნალისტის ნოდარ ჩაჩუას მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს. ჟურნალისტი აცხადებს, რომ მას სამი უცნობი პირი აშანტაჟებდა და ინფორმაციის მიწოდებას აიძულებდა, ხოლო ამის სანაცვლოდ, ფინანსურ ანაზღაურებას სთავაზობდა.

ნოდარ ჩაჩუას თქმით, უცნობი პირები მას სთხოვდნენ ინფორმაციას ტელევიზიაში არსებულ სიტუაციაზე. ასევე, აიძულებდნენ, სქესობრივი კავშირი დაემყარებინა „მეცხრე არხის“ თანამშრომელ მამაკაცთან. მისივე განმარტებით, აღნიშნულმა პირებმა მას თავი გააცნეს რაღაც „სამსახურის“ წარმომადგენლებად, რომლებიც „ადამიანებს უგვარებენ პრობლემებს, მაგრამ ამასთანავე, უქმნიან ძალიან დიდ პრობლემებს“.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა მოახერხა უცნობი პირების რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მითითება. კერძოდ, ცნობილია ტელეფონის ნომერი, საიდანაც მას ურეკავდნენ და იმ ავტომობილის სერია და სახელმწიფო ნომერი, რომლითაც ეს პირები გადაადგილდებოდნენ.

საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრს მიაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, საჭიროა, მოხდეს ფაქტზე დროული და მყისიერი რეაგირება, რათა

³³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15266&lang=geo>

უზრუნველყოფილი იყოს მედიის წარმომადგენლების პირადი უსაფრთხოება და მსგავსი ფაქტების პრევენცია.

მნიშვნელოვანია, რომ ეს არ არის ჟურნალისტებზე ზეწოლის და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის პირველი შემთხვევა. საია კიდევ ერთხელ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, მოახდინონ ოპერატიული და ადეკვატური რეაგირება, დროულად გამოიძიონ ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები და უზრუნველყონ იმ პირების დასჯა, ვისი დანაშაულებრივი ქმედებებიც გამოძიების შედეგად გამოიკვეთება”.³⁴

14. სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა 30 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა და „მეცხრე არხის“ ჟურნალისტის, ნოდარ ჩაჩუას მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა.

სახალხო დამცველი ამ განცხადებით [27 ივლისს მედია სამუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას](#) გამოეხმაურა, სადაც ნოდარ ჩაჩუა მის მიმართ განხორციელებულ მუქარაზე საუბრობს.

„სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ნოდარ ჩაჩუას მიერ ახსნა-განმარტებაში მოცემული ინფორმაცია შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს და შესაბამისად აღნიშნული ფაქტების შესწავლა და სათანადო რეაგირების განხორციელება საგამომიებო ორგანოების კომპეტენციაა“, - აღნიშნულია გიორგი ტულუშის განცხადებაში.³⁵

15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ჟურნალისტი თეა ალავერდაშვილი დაშავდა. ჟურნალისტი ინციდენტის გადასაღებად გამგებლის მისაღებში შესვლას ცდილობდა, რა დროსაც პოლიციის თანამშრომელმა კარი მოხურა და ჟურნალისტს მარჯვენა ხელის თითები კარებში მოატანა.

³⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15264&lang=geo>

³⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15260&lang=geo>

ტრავმის შედეგად ჟურნალისტი შეუძლოდ გახდა. სასწრაფო – სამედიცინო დახმარების ექიმის მითითებით მას კლინიკაში გამოკვლევა ჩაუტარდა. ჟურნალისტს ერთ-ერთი თითის ძვალი აქვს გაზარული და სამი თითი დაჟეჟილი აქვს. ექიმმა – ტრავმატოლოგმა კონსულტაციის შედეგად მას შესაბამისი მედიკამენტები დაუნიშნა. დღეს გურჯაანის გამგეობაში ინციდენტი მოხდა. „ქართული ოცნების“ წევრებმა ერთ-ერთი დაზარალებული მოქალაქის საკითხის გარკვევა გამგებლის მოადგილესთან სცადეს, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. გამგეობის თანამშრომლებმა შენობაში პოლიცია გამოიძახეს.³⁶

16. „ინფო 9“-ის ოპერატორი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას სცემეს 15 აგვისტოს საღამოს 19 საათისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასთან გაჩერებულ სამარშრუტო ტაქსის წინ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სცემეს „ინფო 9“-ის ლანჩხუთელი ოპერატორი დავით ჩავლეიშვილი.

სააგენტოს ჟურნალისტი, ნინო ხელაძე humanrights.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ იმ დღეს სამარშრუტო ტაქსით საჯარო მოხელეები და პედაგოგები ბათუმში კონცერტზე გადაჰყავდათ: „როგორც გავიგეთ, ისინი „ვერის უბნის მელოდიების“ სანახავად მიჰყავდათ. ამას ვიწერდით კამერით და ინციდენტიც მაშინ მოხდა. ამჟამად საქმეს ლანჩხუთის პოლიცია იძიებს. რაც შეეხება ადამიანს, რომელმაც დათოს დაარტყა, იგი არის ვინმე ზურაბ კვიციანი. თუმცა, ჯერჯერობით, არ ვიცი, ვინაა ეს ადამიანი“.³⁷

17. 18 აგვისტოს პრეზიდენტი სააკაშვილი ლანჩხუთის ორ სოფელს - შუხუთსა და ჩიბათს სტუმრობდა. ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ამ შეხვედრების გადაღება ვერ შეძლეს.

³⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15354&lang=geo>

³⁷ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15346&lang=geo>

„გურია ნიუსის“ ლანჩხუთის ბიუროს ხელმძღვანელი, ლალი იმედაიშვილი humanrights.ge-თან საუბრისას ყვება: „შუხუთში პრეზიდენტი ხალხს საჯარო სკოლის ეზოში შეხვდა. მე ფოტოაპარატით ეზოში არ შემისვს, მაგრამ ჩამწერით მოვახერხე შესვლა და პრეზიდენტის სიტყვებს ვიწერდი. ჩემი ოპერატორი, ნოდარ მინაძე კი პერიმეტრს მოშორებული, შუხუთის ადმინისტრაციული შენობის წინ იდგა და იღებდა. როგორც ნოდარმა მითხრა, მას გადაღებაში ხელი შეუშალეს“.

ნოდარ მინაძე: „ვიდეო შუხუთის ადმინისტრაციული შენობის წინ, შემადღებულ ადგილას და ვიდეოს ვიღებდი. ამ დროს მოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელით ვიღაც მამაკაცი და ფეხით ჩამომართია მალიდან. მითხრა, რომ გადაღება მეკრძალებოდა. არ მივყვებოდი. შენ შენს „მატორზე“ ვერ ხარო და აპარატს მართმევდა. შემიყვანა სკოლის ეზოში, გამომართვა კამერა. ვთხოვე, არ წამართვა და წავშლი-მეთქი. მიყურა, როგორ ვშლიდი გადაღებულ მასალას. მერე თავი დამანება“.

Humanrights.ge-ს ინფორმაციით, „გურია ნიუსს“ პრეზიდენტის პრესსპიკერი, ნათია ბანძელაძე დაუკავშირდა და განუცხადა, რომ ჟურნალისტისთვის ხელი პრეზიდენტის პრესსამსახურს არ შეუშლია. თავად ლალი იმედაიშვილი კი ამბობს, რომ ასევე დაუკავშირდნენ პრეზიდენტის დაცვიდან და მახსოვრობის ბარათის აღდგენას დაპირდნენ.

Humanrights.ge წერდა, როგორ შეუშალეს ხელი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს „ინფო 9“-ის ლანჩხუთელ ოპერატორს. დავით ჩავლეიშვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მდივნის, ნატო ნუცუბიძის მეუღლე ზურაბ კვიციანი ხელითაც კი შეეხო, რის შედეგადაც ჩავლეიშვილმა ფიზიკური ტრავმა მიიღო. უახლესი ინფორმაციით, ამ ფაქტზე რეაგირება მოხდა და ზურაბ კვიციანიას 20-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.³⁸

³⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15358&lang=geo>

18.6 აგვისტოს ინციდენტი მოხდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანთლისყურეში. იმ დროს, როდესაც ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფელში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით ქევხიშვილი ამომრჩეველს ხვდებოდა, შეხვედრაზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები მივიდნენ და სააგენტო „ინფო9“-ის ჟურნალისტს გადაღების შეწყვეტა მოსთხოვეს.

„მე მოვედი, მე საქართველო რომ მიყვარს და მე ვარ მიხეილ სააკაშვილის ქალი. მიხეილ სააკაშვილს უნდა მისცეს ჩვენმა სოფელმა, ხალხმა და ყველამაც. ყველა ვინც არიან აქა, თუ არ მისცემენ, მერე გავიგებ და სიას დავწერ და მერე ნახავენ“, – განაცხადა მმართველი პარტიის მხარდამჭერმა ქალბატონმა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ სააგენტო მათსური ეცვა. კომენტარის შემდეგ მან „ინფო9“-ის კორესპონდენტს ნინო ხუციშვილს გადაღების შეწყვეტა მოსთხოვა. „მორჩა ბაზარი. მორჩა ეხლა, დახურეთ თქვენი ის“, – აღნიშნა ქალბატონმა. მასთან ერთად მყოფი ქალები „ინფო9“-ის ოპერატორს გადაღებაში ხელს უშლიდნენ და ცდილობდნენ კამერის ობიექტივზე ხელი აეფარებინათ.³⁹

19.2 აგვისტოს საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის ხულოს კორესპონდენტს, სულხან მესხიძეს „ნაციონალების“ აქტივისტმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც მესხიძე აცხადებს, აღნიშნული აქტივისტის ვინაობა მან ადგილობრივ მცხოვრებლებთან დააზუსტა და ის მამული მგელაძე აღმოჩნდა. მგელაძე საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ, ანზორ ბოლქვაძის კუთვნილ სასტუმროში მუშაობს.

როგორც ჟურნალისტი აცხადებს „მე მიყვარს საქართველოს“ წარწერიან მაისურში გამოწყობილი მგელაძე, ჟურნალისტის შეურაცხყოფამდე, ოპოზიციის შეკრების ჩაშლას ცდილობდა.

³⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15281&lang=geo>

„შემთხვევა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასთან მაშინ მოხდა, როცა კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ამომრჩევლებთან შეხვედრას ვაშუქებდი. იქ მოვიდა წითელ მაისურებში ჩაცმული ათამდე ახალგაზრდა. ისინი ყვიროდნენ - „მე მიყვარს საქართველო!“ ცდილობდნენ შეხვედრის ჩაშლას. მივედი ერთ-ერთთან, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა და კითხვების დასმა დავიწყე. მან მიკროფონს რამდენჯერმე დაარტყა, შემდეგ კი მომაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა“, – აღნიშნა მესხიძემ.

სულხან მესხიძის მტკიცებით, ინციდენტისას ხულოს გამგეობის შენობასთან პატრულის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ რეაგირება არ მოუხდენიათ.⁴⁰

20. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტმა გურამ გურგენიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრის (www.ick.ge) ჟურნალისტს ნატალია სარქისაშვილს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაარტყა, გადაღებაში ხელი შეუშალა და ვიდეოკამერა წაართვა. (სამწუხაროდ ვერ მოვიძიე)

ჟურნალისტი სოფელ ველისციხეში სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებს იღებდა, რომლებიც ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი ჟურნალისტთან ამ დროს მივიდა და კამერაზე ხელს უფარებდა. ჟურნალისტმა მმართველი პარტიის აქტივისტს უთხრა, რომ მუშაობაში ხელშეშლა შეეწყვიტა და პარალელურად აღნიშნულ ფაქტს იღებდა, რა დროსაც პარტიის აქტივისტმა ჟურნალისტს გოგონას ხელი გადაუგრიხა და კამერა წაართვა. ჟურნალისტი კამერის დაბრუნებას შეეცადა, რის შემდეგაც აქტივისტმა მას რამდენჯერმე დაარტყა. დარტყმის შედეგად ჟურნალისტს ფიზიკური დაზიანება არ მიუღია.

⁴⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15280&lang=geo>

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი გურამ გურგენიშვილი ერთ-ერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელიც არის.

„ნაციონალური მოძრაობის“ კახეთის კოორდინატორის გიორგი ბოტკოველის განცხადებით, მათი აქტივისტი ჟურნალისტს მუშაობაში ხელს არ შეუშლიდა. „მე არ მაქვს ინფორმაცია რა მოხდა, მაგრამ ჩვენი აქტივისტი ჟურნალისტს მუშაობაში ხელს არ შეუშლიდა. როგორ გეკადრებათ. შეიძლება ფაქტი მოხდა, მაგრამ ის ადამიანი ჩვენი აქტივისტი არ იყოს“, – განაცხადა ბოტკოველმა.

21. თავდასხმა ახმეტაში – ნაცემია 2 ჟურნალისტი, დამტვრეულია ვიდეოკამერები შს მინისტრის მოადგილესთან გაა ლორთქიფანიძესთან და მის ძმასთან, კუდ–ის კახეთის სამმართველოს უფროსთან დავით ლორთქიფანიძესთან დაახლოებულმა პირებმა, 22 აგვისტოს, საღამოს, ახმეტაში სტუდია „GNS“-ის ჟურნალისტები ვასილ დაბრუნდაშვილი და ბაჩო ბულისკერია ცემეს.

ნანა ლეჟავას გადაცემა „კვირის რეპორტაჟის“ ჟურნალისტები ახმეტაში ხე–ტყის მასობრივად ჩეხვის და უკანონო სახერხების თემაზე სიუჟეტს ამზადებდნენ. ფიზიკური შეურაცხყოფა მათ ხე–ტყის გადამამუშავებელი ერთ-ერთი საამქროს მეპატრონეებმა, მამა–შვილმა ოსიკო და ნოდარ ჭიჭიაშვილებმა მიაყენეს. როგორც ვასილ დაბრუნდაშვილი იხსენებს, მამა – შვილი ჭიჭიაშვილები ჟურნალისტებს თავს იმ დროს დაესხნენ, როცა ოპერატორი გზიდან სახერხის მიმდებარე ტერიტორიის და იქ განთავსებული დიდი რაოდენობით ხე – ტყის გადაღებას ცდილობდა.⁴¹

პოლიტიკური ნიშნით დევნა და ზეწოლა, რომელშიც პირდაპირ, თუ არა პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო ორგანოები და ხელისუფლების წარმომადგენლები

1. 12 მარტს საქართველოს რამდენიმე რეგიონში ასობით მოქალაქე დაკითხეს კონტროლის პალატის ინიციატივით. წინა დღეებში ფიზიკურ პირს მიუვიდათ

⁴¹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15410&lang=geo>

უწყება, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს პროკურატურის უწყებას და ასე გამოიყურება: „საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, რასთან დაკავშირებითაც დაბარებული ხარტ ახსნა-განმარტების მისაცემად. ასევე, დამატებით გაცნობებთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე, გაქვთ უფლება, გაეცნოთ საქმის მასალებს, მისცეთ ახსნა-განმარტება, წარადგინოთ მტკიცებულებანი, განაცხადოთ შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოთ ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურეობით, გაასაჩივროთ საქმის გამო მიღებული დადგენილება. საქართველოს კონტროლის პალატისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება კანონით. ახსნა-განმარტების მისაცემად უნდა მოზრძანდეთ 2012 წლის 12 მარტს 12 საათზე მისამართზე: წერეთლის ქუჩა 2. 1-ელი სართული“.

კონტროლის პალატის მიერ გამგეობის შენობებში დაბარებული მოქალაქეები ისე ტოვებენ იქაურობას, რომ კომენტარს არ აკეთებენ. მათი განცხადებით, ასეთი მითითება მათ კონტროლის პალატისგან აქვთ. საქმე გვაქვს ტოტალური კონტროლის მექანიზმთან, რომელიც გარდა შიშის ფაქტორისა, ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ ამყოფებს ადამიანებს და აიძულებს მათ წინასაარჩევნოდ ყოველგვარ პოლიტიკურ აქტივობაზე უარი თქვან.⁴²

2. 12 მარტს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაცხადა, რომ ოპოზიციონერი ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი „ქართულ ბანკი“ 822 040 ლარით დააჯარიმა პარტიების შესახებ „კანონისთვის გვერდის ავლის მიზნით განხორციელებული ფინანსური

⁴² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14589&lang=geo>

ტრანზაქციის ფაქტზე“. ეს 2012 წელს ფინანსური სანქციების გამოყენების მეორე შემთხვევაა, რაც ჯამში ბიუჯეტის სასარგებლოდ 1 422 040 ლარის გადახდას გულისხმობს. თებერვლის ბოლოს ივანიშვილთან დაკავშირებული პირები შემოწირულობის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდნენ.

3. „ეროვნული ფორუმის“ წევრი ასმათ ათუაშვილი კონტროლის პალატის თანამშრომლებმა, საგარეჯოს გამგეობის შენობაში **12 მარტს დაკითხეს. დაკითხვა 45 წუთს გაგრძელდა.** „ვიდრე დამკითხავდნენ პოლიციამ გამჩხრიკა. კორიდორიდანვე დაიწყეს გაჩხრეკა, ჩანთა და ტელეფონი ჩამომართვეს. ქურთუკიც გამახდევინეს. ტანსაცმლის შიგნითაც კი შევიდნენ. ხელებით შემეხო ის გოგო, ბოდიში და ლიფის რკინებიც კი ნახა. წითელს ანთებდა და მეკითხებოდა, აქ რა გაქვსო? ვერა ხედავ, რკინაა, რა უნდა მქონდეს მეთქი. დაკითხვისას დამემუქრნენ - შენი შვილი უდედოდ დარჩება თუ ამ საქმიანობას არ შეეშვებიო“, - იხსენებს „ეროვნული ფორუმის“ წევრი ასმათ ათუაშვილი.⁴³
4. **13 მარტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, რამდენიმე საათის განმავლობაში, 6 პიროვნებას კონტროლის პალატის სახელით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი ვინმე კახა საჯაია კითხავდა.** კონტროლის პალატიდან რამდენიმე მოქალაქეს იდენტური შინაარსის უწყება მიუვიდა. „პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით, დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, რასთან დაკავშირებითაც დაბარებული ხართ ახსნა-განმარტების მისაცემად“, - ეწერა უწყებაში, რომელიც მოქალაქეებმა 11 მარტს მიიღეს. ასეთივე შინაარსის უწყება მიუვიდა 12 მარტს, დილის საათებში, რესპუბლიკური პარტიის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის წევრს ლილი ებრალიძეს, რომელიც იხსენებს: „ ძირითადად, ივანიშვილის მოქალაქეობაზე და ფინანსებზე, რამდენი აიღე ხელმოწერების შეგროვებისთვის და გაზეთ „ქართულ ოცნებას“ რომ არიგებ, ამისთვის რამდენ ლარს გიხდიანო. ვეუბნებოდი, რომ ამისთვის თანხას არ მაძლევენ და ანგარების მიზნით არ ვმუშაობ, მე ამ პარტიის

⁴³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14613&lang=geo>

წევრი ვარ, მწამს, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება და ხელფასი რომც არ მომცენ, მაინც ვიმუშავებ-მეთქი. ამის შემდეგ მითხრა, ორი უკვე დავაპატიმრე და ახლა შენი ადგილიც არისო. თუ დამაპატიმრებთ, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მექნება და ისე, რას იზამთ, მთელ საქართველოს დააპატიმრებთ-მეთქი. შემეპასუხა - რა, მთელი საქართველო ხართ უკვე? კი, „ნაციონალების“ და თქვენი გამოკლებით-მეთქი - ვუთხარი“.⁴⁴

5. **13 მარტს** კონტროლის პალატის თანამშრომლებმა საგარეჯოში „ქართული ოცნების“ 13 მხარდამჭერი ადვოკატების გარეშე დაკითხეს. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს რესპუბლიკური პარტიის საგარეჯოს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გელა კველიშვილმა განუცხადა.⁴⁵

6. რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციაში კონტროლის პალატის წარმომადგენლების მხრიდან მათი თანამშრომლების შეურაცხყოფაზე საუბრობენ. როგორც პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნონა თოლორაიამ **13 მარტს** გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ახსნა-განმარტების მისაცემად დაბარებულ პირებს საგანგებოდ ჩხრეკდნენ და სხვადასხვა სახის მითითებებს აძლევდნენ.⁴⁶

7. *კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გურჯაანში 13 მარტს უნდა დაეკითხა, მაგრამ დაკითხვა ვერ შედგა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა კონტროლის პალატისგან დაკითხვამდე საქმის მასალების გაცნობა მოითხოვეს. 13 მარტს, კონტროლის პალატის წარმომადგენლების მიერ რეგიონებში „ქართული ოცნების“ აქტივისტების დაკითხვასთან დაკავშირებით უწყების ხელმძღვანელმა ლევან ბეჟაშვილმა კომენტარი გააკეთა. „ხდება ინფორმაციის შემოწმება და შეგროვება, შემდეგ მათი შედარება იმ დეკლარაციებთან, რომლებიც თავიანთი*

⁴⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14591&lang=geo>

⁴⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14596&lang=geo>

⁴⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14602&lang=geo>

საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ პარტიებს კონტროლის პალატაში აქვთ წარმოდგენილი“, - განაცხადა ბეჟაშვილმა.⁴⁷

8. კონტროლის პალატის უწყება ფოთში 20-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. მათ შორის, არიან რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები და „ქართული ოცნების“ გაზეთების დარიგებაში მონაწილე აქტივისტები. ამ ფაქტთან დაკავშირებით 13 მარტს ფოთელმა „რესპუბლიკელებმა“ ბრიფინგი გამართეს.⁴⁸

9. 19 მარტს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში კონტროლის პალატის თანამშრომლმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრები ვენიკო ივანიშვილიც დაკითხეს, რომელსაც კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ კავშირი არ აქვს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ვენიკო ივანიშვილის მეუღლემ ციციხოველი ივანიშვილმა განუცხადა, უწყება 15 მარტს მიიღეს. „ჩემი მეუღლე არცერთი პარტიის მხარდამჭერი არ არის, არც პარტიულ ღონისძიებებში მიუღია მონაწილეობა. ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერებს რომ აგროვებდნენ, მაშინ ხელი ჩვენც მოვაწერეთ განცხადებას“, - აღნიშნა ციციხოველი ივანიშვილმა.⁴⁹

19 მარტს თელავში, დაკითხვიდან გამოსული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების განცხადებით, კონტროლის პალატას მათი ოჯახური მდგომარეობა და ოჯახის წევრების შემოსავლებიც აინტერესებდა.⁵⁰

10. 20 მარტს კონტროლის პალატამ „უკანონო პოლიტიკური დაფინანსების ფაქტთან დაკავშირებით“ ფიზიკური პირი ბიძინა ივანიშვილი „უკანონო დაფინანსების“ - 272 597 ლარის ათმაგი ოდენობით დააჯარიმა.⁵¹

⁴⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14601&lang=geo>

⁴⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14600&lang=geo>

⁴⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14641&lang=geo>

⁵⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14640&lang=geo>

⁵¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14650&lang=geo>

კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მარტში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის პროცესის შესწავლის შედეგად არაერთი უფლებადარღვევის ფაქტი გამოვლინდა. ამის შესახებ ნათქვამია სახალხო დამცველის, გიორგი ტულუშის მიერ 1 მაისს გავრცელებულ განცხადებაში.⁵²

11. 11 ივნისს ერთი საათის შუალედში თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს ჯერ 126 მილიონი ლარის ჯარიმა დააკისრა, შემდეგ კი მილიარდერი პოლიტიკოსი დამატებით 22.42 მილიონი ლარით დააჯარიმა. საერთო ჯამში, „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, ივანიშვილმა 148 650 131 ლარი უნდა გადაიხადოს.

თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა კონტროლის პალატის გადაწყვეტილება, რომელიც ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს 126.22 მილიონი ლარის ჯარიმას აკისრებს.

„სივილ ჯორჯიას“ ცნობით, 126.22 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა ივანიშვილს იმ საქმესთან დაკავშირებით დაეკისრა, რომელიც კონტროლის პალატის მტკიცებით, „გლობალ TV“-ის მიერ „ამომრჩევლებისათვის მასობრივად და უსასყიდლოდ ათეულ ათასობით სატელიტური ანტენების დარიგების“ ფაქტს ეხება.

კონტროლის პალატის თქმით, „გლობალ TV“-ის მიერ ივანიშვილის ფინანსების გამოყენებით სატელიტური ანტენების უფასოდ დარიგება ასევე წარმოადგენს პარტიების შესახებ კანონის დარღვევას. კონტროლის პალატამ განაცხადა, რომ ამ ქმედებით ამომრჩევლებს 12 662 019 ლარის ღირებულების საჩუქრები დაურიგდათ და ამ თანხის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმის დაკისრება მოითხოვა. თუმცა, შემდეგ ეს თანხა 126.22 მილიონ ლარამდე გაორმაგდა, ვინაიდან, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ეს კანონი ივანიშვილმა განმეორებით დაარღვია.⁵³

⁵² <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25407>

⁵³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14995&lang=geo>

12. გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“ პროკურატურის გადაწყვეტილებას და მისი ანტენების დაყადაღებას უკანონოდ მიიჩნევს. კომპანია საერთაშორისო დონეზე საკუთარი უფლებების დაცვას გეგმავს - ამის შესახებ Media.Ge-ს კომპანიის წარმომადგენელმა, ზურაბ ბაზლიძემ განუცხადა.

მისი თქმით, კომპანიამ გაითვალისწინა როგორც კონტროლის პალატის, ისე აღსრულების ეროვნული ბიუროს დასკვნა და “გლობალ TV”-ს ანტენის განვადების ვადა 10-დან 6 წლამდე შეამცირა, თვიური გადასახადი კი 4-დან 5.50 ლარამდე გაზარდა.

“მხოლოდ ამ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ განვაგრძეთ ანტენების მონტაჟი”, - ამბობს ბაზლიძე. მისი თქმით, ანტენების ძირითადი ნაწილი კომპანია “ელიტ ბურჯში” ინახებოდა.

“გლობალ კონტაქტ კონსალტინგის” დაუმონტაჟებელი ანტენების დაყადაღების გადაწყვეტილება საქართველოს პროკურატურამ, 21 ივნისს მიიღო. პროკურატურის განცხადებით, უწყებამ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით კონტროლის პალატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო.⁵⁴

13. მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის, ბიზნესმენებისა და მოქმედი ჩინოსნების გარდა, ის ადამიანებიც არიან, რომლებიც მოქმედი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს დააკავეს, როგორც ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრები.

კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ცნობით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 19 ივნისის ჩათვლით, პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი შემომწირულობა - 1 768 49 ზარი მმართველმა პარტიამ მიიღო 75 ფიზიკური

⁵⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15052&lang=geo>

პირისგან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მსხვილ შემომწირველებს შორის არიან ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ მოქმედმა ხელისუფლებამ კრიმინალური ქმედებებისთვის დააკავა. მაგალითად, მმართველ პარტიას 40-40 ათასი ლარი შეწირეს ფიზიკურმა პირებმა - სერგო ლაბარტყავამ და თამაზ ჯამაგიძემ. კუდ-ის თანამშრომლებმა ისინი 2010 წლის 30 მარტს დააკავეს, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომლებმაც, შსს-ს ინფორმაციით, მეწარმეს თაღლითურად გამოსძალეს 370 000 ლარი, რის სანაცვლოდაც პირდებოდნენ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული თანხების შემცირებას. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, თუმცა, როგორც კონტროლის პალატის მასალებშია მითითებული, ამ ადამიანებმა წელს სოლიდური თანხები შეწირეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.⁵⁵

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არაერთხელ მოხდა რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური კოალიცია “ქართულ ოცნებასთან” დაკავშირებულ პირად ცნობა და ამის, საფუძველზე მოახდინა მათი ანგარიშების დაყადაღება.

14. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ორგანიზაცია “ქართული ფეხბურთის ქომაგის” დაჯარიმების საქმე. 2012 წლის 2 ივნისს საქართველოს კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ააიპ „ქართული ფეხბურთის ქომაგი“ სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესრულებული გადარიცხვების გზით 200 000 აშშ დოლარის ოდენობით უკანონო შემოწირულების მიღებისთვის სამართალდამრღვევად ცნო.

⁵⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15055&lang=geo>

შესაბამისად, მონიტორინგის სამსახურმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 261 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, და 342 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე „ქართული ფეხბურთის ქომაგი“ დააჯარიმა და მისი ანგარიშები დააყადაღა.⁵⁶

15. საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, ფონდ „ქომაგისთვის“ უკანონო შემოწირულობის განხორციელების მოტივით, შემოწირულობის ათმაგი ოდენობით - 900 000 ევროთი დააჯარიმა გერმანიის მოქალაქე, ბიძინა გიორგობიანი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხაზი გვინდა გავუსვათ რამდენიმე გარემოებას:

1. საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება ბიძინა გიორგობიანის „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულობის თაობაზე. ბატონი გიორგობიანის, ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქის, საჯაროდ გამოთქმული პოლიტიკური შეხედულებებით შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ განცხადების ავტორის პოლიტიკურ სიმპატია-ანტიპათიაზე და ეს განცხადებები არანაირად არ წარმოადგენს ამ ადამიანის რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირის იურიდიულ მტკიცებულებას.

2. კონტროლის პალატამ 17 მაისს გაავრცელა არასწორი ინფორმაცია, როცა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ გერმანიიდან ფული გადმოირიცხა „საქართველოს კონსერვატიული პარტიის საგარეო ურთიერთობათა მდივნის, ბიძინა გიორგობიანის მიერ, რომელიც ამავდროულად არის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი“. სახელმწიფო ორგანოებისთვის ცნობილი იყო, რომ თანხის გადმოირიცხვის მომენტისათვის ბატონი ბიძინა გიორგობიანი იყო

⁵⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15238&lang=geo>

გერმანიის მოქალაქე. ხელისუფლება აცხადებს, რომ, თუკი საქართველოს მოქალაქემ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ის ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მას საქართველოს პრეზიდენტი არ მიანიჭებს ორმაგ მოქალაქეობას. აქედან გამომდინარე, ბატონი ბიძინა გიორგობიანი, გერმანიის მოქალაქეობის მიღების მომენტიდან, აღარ არის საქართველოს მოქალაქე. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კი, „პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს“; შესაბამისად, ბიძინა გიორგობიანი ვერანაირად ვერ იქნებოდა რომელიმე პარტიის წევრი, რის შესახებაც თავად ბიძინა გიორგობიანმაც გააკეთა განმარტება. განცხადების გაკეთების მომენტისთვის ამის თაობაზე ცნობილი უნდა ყოფილიყო კონტროლის პალატისთვის, ან ამ საკითხის გარკვევისთვის განცხადების გაკეთებამდე უნდა მიემართა ბატონი ბიძინა გიორგობიანისთვის.

3. ბიძინა გიორგობიანი აცხადებს, რომ „შემოწირულობა გერმანულმა ფონდმა „Osteuropa – Medien & Gessellschaft“ განახორციელა და ის ამ ფონდის აღმასრულებელი დირექტორია“. კონტროლის პალატა ამ შემთხვევაშიც არღვევს კანონს, რადგანაც ის ვალდებულია, არა ბატონი გიორგობიანის, არამედ ამ გერმანული ფონდის მიერ ფონდ „ქომაგისთვის“ თანხის გადმორიცხვის უკანონობა დაუმტკიცოს საზოგადოებას და ჯარიმაც მას დააკისროს.

4. კონტროლის პალატამ ფონდ „ქომაგის“ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ პირად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება ბიძინა გიორგობიანის ხელმოწერით შემოწირულობის გახორციელებიდან ერთი კვირის შემდეგ, 2012 წლის 18 მაისს მიიღო, რის გამოც ბიძინა გიორგობიანს თანხის გადარიცხვის მომენტში არ შეიძლება სცოდნოდა ფონდ „ქომაგზე“ პარტიებისთვის დადგენილი შეზღუდვების გავრცელებისა და, შესაბამისად, ამ გადარიცხვის

უკანონობის შესახებ. ამასთან, კონტროლის პალატამ 18 მაისის გადაწყვეტილებით დააყადაღა ფონდ „ქომაგის“ ანგარიშები, რითაც, კონტროლის პალატის გადაწყვეტილების კანონიერების აღიარების შემთხვევაშიც, არც შემომწირველს და არც შემოწირულობის მიმღებს არ დაუტოვა ე.წ. კანონდარღვევის გამოსწორების საშუალება.⁵⁷

ზემოაღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ. საქართველოს შს სამინისტრომ 2012 წლის ივნისის თვეში განახორციელა, ამ ორგანიზაციების მხრიდან დახმარება მიღებული პირების მასობრივი დაბარებები პოლიციაში და მათი დაკითხვა. აღნიშნული ფაქტი არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაგმო და გააპროტესტა.⁵⁸ ასევე ხდებოდა, აღნიშნული პირების საპენსიო ანგარიშების დაყადაღება.

აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა განაცხადა: „შეწუხებული ვარ იმ ვითარებით, რომელიც ახლავს კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებს.“ „სრულფასოვანი განმარტებების ნაკლებობა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც კონტროლის პალატა ახორციელებს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას, ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას ამ უწყების, ან კონკურენტული საარჩევნო გარემოს მიმართ“, – განაცხადა ბასმა Facebook-ის გვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარში.⁵⁹

16. სიღნაღში მცხოვრებ ამერიკელს, კომპანია „ხოხბის ცრემლების“ მეპატრონეს, ჯონ ვურდემანს ტელეკომპანია „მეცხრე არხისთვის“ ფართის მიქირავებაზე უარი ათქმევინეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ჯონ ვურდემანის ცოლის ძმამ

⁵⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14986&lang=geo>

⁵⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15119&lang=geo>

⁵⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14625&lang=geo>

შალვა მინდორაშვილმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც ფართის გაქირავების თაობაზე მომზადებული დოკუმენტები სარეგისტრაციოდ საჯარო რეესტრის სააგენტოში წარადგინეს, ვურდემანს ტელეფონით დაუკავშირდნენ და გააფრთხილეს, რომ „მეცხრე არხისთვის“ ოფისის მიქირავებაზე უარი ეთქვა. „მეცხრე არხი“ ოფისს გურჯაანშიც ვერ ქირაობს. ოფისის დაქირავებაზე მესაკუთრეებთან მოლაპარაკება რამდენჯერმე შედგა, თუმცა კონტრაქტის გაფორმებამდე მათ „მეცხრე არხისთვის“ ფართის მიქირავებაზე უარი თქვეს.⁶⁰

17. „ქართული ოცნების“ მიერ დაქირავებული ხელოსნები, რომლებმაც კოალიციის ახმეტის ოფისში სარემონტო სამუშაოები უნდა ჩაატარონ და რამდენიმე დღის განმავლობაში ახმეტის რაიონში ყოფნა უწყევთ, საოჯახო სასტუმროდან გაყარეს.⁶¹

18. *2012 წლის 15 ივნისს საკაბელო ოპერატორი კომპანია „გლობალ TV“-ის ამერიკელი თანამფლობელი ალექსანდრე რონჟესი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში აშშ-ში გამგზავრების წინ მაშინ დააკავეს, როდესაც იგი საპასპორტო შემოწმებას გადიოდა.*

ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურმა განაცხადა, რომ ალექსანდრე რონჟესი მოწმის სახით იკითხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც გამომიება ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

სგამომიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რონჟესმა 2004 წელს 180 000 ლარად თბილისში შეძენილი უძრავი ქონება 2012 წლის 8 ივნისს 3 100 000 ლარად მიყიდა შპს „ლიზინგი 21“ –ს და მიღებული თანხის მნიშვნელოვანი

⁶⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14938&lang=geo>

⁶¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14619&lang=geo>

ნაწილი გაიტანა საბანკო ანგარიშიდან, რაც „საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით საექვო ოპერაციას წარმოადგენს“.

„ვინაიდან მან საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას არ მოახდინა თანხის დეკლარირება, მიზანშეწონილია ალექსანდრე რონჭესი მოწმის სახით იქნეს დაკითხული“, – ნათქვამია განცხადებაში.⁶²

19. თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 ივლისს დააკმაყოფილა მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ საქართველოში შემოტანილი „დიდი ოდენობით“ სატელიტურ ანტენების დააყადლების თაობაზე, რაც პროკურატურის თქმით, ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვას უკავშირდება.

„სატელევიზიო ანტენების უსასყიდლოდ გადაცემით ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე, 2012 წლის 20 ივნისს დაწყებული გამოძების ფარგლებში, დადგენილ იქნა, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია „ელიტა ბურჯის“ ხელმძღვანელ პირთა დავალებით, კომპანია „მაესტრომ“ საქართველოში შემოიტანა დიდი ოდენობით ანტენები“, – აცხადებს პროკურატურა.

„გამოძების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული ანტენები კვლავ გამოყენებული იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად იმავე სქემით, როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ“, – აცხადებს პროკურატურა.

„გლობალ კონტაქტ კონსალტინგს“ - კომპანიას, რომელიც „გლობალ TV“-ის სახელით არის ცნობილი და მისი თანამფლობელია ბიძინა ივანიშვილის ძმა, დაუმონტაჟებელი სატელიტური ანტენები 21 ივნისს დაუყადაღეს.

ტელეკომპანია „მაესტროს“ დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განაცხადა, რომ პროკურატურის ბრალდებები „აბსურდულია“.⁶³

⁶² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15021&lang=geo>

⁶³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15165&lang=geo>

20. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შპს „ბურჯის“ ქონება აუქციონზე გაიტანა მას შემდეგ, რაც კომპანიამ პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის მოტივით მასზე დაკისრებული 11 მილიონიანი ჯარიმა ვერ გადაიხადა.

აუქციონზე გატანილი ქონება შეიცავს უძრავ ქონებას თბილისსა და საჩხერეში, რომლის საერთო ფართი 36 000 კვდრატულ მეტრს შეადგენს და სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებს, მათ შორის მსუბუქ ავტომობილებს, მიკროავტობუსებს და სატვირთო მანქანებს, ასევე ბუღალტერებს და ტრაქტორებს.⁶⁴

თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 ივლისს დაამტკიცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ერთი დღით ადრე მიღებული გადაწყვეტილებები „ქართული ოცნების“ ლიდერთან ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული კომპანიების, შპს „ბურჯის“ და „მენეჯმენტ სერვისის“ 11 მილიონი ლარით დაჯარიმების თაობაზე.

საქმე ორ ეპიზოდს ეხება. პირველ შემთხვევაში შპს „ბურჯი“ 8.64 მილიონი ლარით დაჯარიმდა, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა, იმის გამო, რომ კომპანიამ 54 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა ივნისში, რომლებიც „უფასოდ“ ემსახურებოდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს.

შპს „ბურჯის“ ადვოკატებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოა და მთლიანად ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უსაფუძვლო არგუმენტებს. მათ ასევე განაცხადეს, რომ თავად ჯარიმის მოცულობაც უსაფუძვლოა და აღნიშნეს, რომ ეს მაჩვენებელი განისაზღვა არა გაწეული სატრანსპორტო მომსახურების ღირებულების საფუძველზე, არამედ 54 მანქანის საერთო ღირებულების მიხედვით.

მეორე საქმესთან დაკავშირებით, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 ივლისს ცალკე მოსმენის დროს განიხილა, შპს „ბურჯი“ და „მენეჯმენტ სერვისი“ 2.37 მილიონი ლარით დაჯარიმდა. სახელმწიფო აუდიტის მტკიცებით შპს „ბურჯმა“,

⁶⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15224&lang=geo>

რომელიც „მენეჯმენტ სერვისმა“ დაიქირავა, „ქართულ ოცნების“ ოფისები გაარემონტა, მაგრამ „ხარჯის სახით მხოლოდ მიზერული თანხები აჩვენა.“ თუმცა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ წინა საქმის მსგავსად, აქაც სასამართლო მიკერძოებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სასარგებლოდ, რომელმაც, ადვოკატების თქმით, ხელოვნურად გაბერა გაწეული სარემონტო სამუშაოების რეალური ღირებულება.⁶⁵

21. თბილისის საქალაქო სასამართლომ პოლიტიკური პარტიების 17 შემომწირველი უკანონო შემოწირულობის განხორციელებაში დამნაშავედ სცნო და ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა. მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის გადაწყვეტილებით, „თავისუფალი საქართველოს“ წევრი გიორგი მოსიაშვილს 125 350 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა, მის თანაპარტიელ ალექსანდრე შალამბერიძეს – 40 250 ლარის, ირაკლი ჭუბაბრიას – 79 145 ლარის, ბადრი ცინცვილაძეს – 40 100 ლარის, კონსერვატორ ბიძინა გუჯაბიძეს – 150 000 ლარის, მის თა ნაპარტიელ დავით ბაციკაძეს – 135 750 ლარის, ზაალ გოგსაძეს – 60 ათასი ლარის, გივი რამაზაშვილს – 80 ათასი ლარის, გიგა ბუკიას – 77 250 ლარის, კახა ჩაკვეტაძეს – 93 460 ლარის, ლევან ჩიჩუას – 24 987, ავთანდილ დავითაძეს – 114 192 ლარის, ბეჟან ოდიშვილს, რომელმაც “ნაციონალურ მოძრაობას” ხუთი ათასი ლარი შესწირა – 25 000 ლარის, მაია თანიაშვილს – 24 986 ლარის, ირმა დავითაძეს – 78 365 ლარის, მარინა ნადირაძეს 57 400 ლარის, ლეილა ჩქარეულს – 20 000 ლარის.⁶⁶

22. *თებერვალი. ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ დედოფლისწყაროს რაიონში ოფისის გარეშე დარჩა. ოფისის მეპატრონემ „ქართულ ოცნებასთან“ დადებული ხელშეკრულება ხელმოწერიდან მეორე დღესვე გააუქმა.*

⁶⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15138&lang=geo>

⁶⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15139&lang=geo>

„გამგეობასთან ახლოს მდებარე შენობაში, რომელიც სოსო უზუნაშვილს ეკუთვნის, რესპუბლიკურ პარტიას დაქირავებული გვაქვს ორი ოთახი. აქვე თავისუფალია სხვა ოთახებიც. როცა „ქართულმა ოცნებამ“ ოფისის აღება გადაწყვიტა, თბილისიდან ჩამოსული წარმომადგენლები გაესაუბრნენ შენობის მეპატრონეს და სამი ოთახი იქირავეს. გააფორმეს კონტრაქტიც. მეორე დღეს, დილითვე, შენობის მეპატრონე მოვიდა. ძალიან შეწუხებული იყო, ტიროდა. მითხრა, რომ ამ სამ ოთახზე ხელშეკრულება უნდა გავაუქმო“, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნოდარ ტოკლიკიშვილმა.⁶⁷

23. 2012 წლის 30 ივლისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) გაავრცელა განცხადება ამა წლის 26 და 27 ივლისს „ქართული ოცნების“ ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრებისა და პროექტ „კარდაკარში“ მონაწილე 15 პირის საბანკო ანგარიშების დაყადაღებასთან დაკავშირებით. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:
„ამა წლის 26 და 27 ივლისს მედიასაშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია "ქართული ოცნების" ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრებისა და პროექტ „კარდაკარში“ მონაწილე 15 პირის საბანკო ანგარიშების დაყადაღებასთან დაკავშირებით. ამასთან, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საბანკო ანგარიშები ასევე დაუყადაღეს „ქართული ოცნების“ 4 აქტივისტს ზუგდიდში.

ამ დრომდე საბანკო ანგარიშების მფლობელებისათვის უცნობია ყადაღის დადების საფუძველი, დასაბუთება და მტკიცებულებები. მათივე განმარტებით, არ ჩაბარებიათ შესაბამისი გადაწყვეტილება. ამგვარად, ამ ეტაპზე ისინი მოკლებულნი არიან რაიმე ტიპის სამართლებრივი რეაგირების მოხდენის შესაძლებლობას. ქართული კანონმდებლობა ყადაღის რამდენიმე სახეს იცნობს, რომელნიც განსხვავებული

⁶⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14465&lang=geo>

რეგულირების სფეროში არიან მოქცეულნი. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე გამოტანილი დაყადაღების გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა მხოლოდ 48 საათია, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის დროულად მიწოდების მნიშვნელობას. ამ ეტაპზე უცნობია, ყადაღის რომელი სახეა გამოყენებული, კონკრეტულად რა საქმესთან დაკავშირებით ხდება აღნიშნული ღონისძიების გამოყენება ან რომელი კანონი უდევს მას საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ აქტივისტების საბანკო ანგარიშების დაყადაღებას მასშტაბური ხასიათი აქვს, რასაც მედიით გავრცელებული ინფორმაცია მოწმობს, ამ დრომდე არც ერთ უწყებას ოფიციალური განმარტება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით არ გაუკეთებია.⁶⁸

24. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში მცხოვრები აკაკი ტალიაშვილი სიღნაღის პოლიციის წინააღმდეგ, 2012 წლის 31 ივლისს, განხორციელებულ ზეწოლაში ადანაშაულებს.

„უბნის რწმუნებული გიორგი ბეგიაშვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ „ქართული ოცნება“ უნდა დავტოვო და ივანიშვილის ხალხს საერთოდ თავი უნდა დავანებო. თუ პარტიიდან არ გამოხვალ, რაღაცეებს გაბრალებენ და პრობლემები შეგექმნებაო. ვკითხე, რას მაბრალებენ მეთქი და მიპასუხა, წისქვილიდან ხორბალი და ფქვილია დაკარგული და პარტიიდან დროზე თუ არ გახვალ, შენი საქმე ცუდად იქნებაო“, – განუცხადა აკაკი ტალიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ მეუღლის ნანა მოსაშვილის თანამშრომლობის გამო დაკავებით დაემუქრნენ სოფელ ვაქირში მცხოვრებ შალვა მოსაშვილსაც. მისი თქმით, ზეწოლა სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ აბულაშვილის დავალებით განხორციელდა.

⁶⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15265&lang=geo>

„რამდენიმე დღის წინ, ჩემმა მეუღლემ ნანა მოსაშვილმა მუშაობა დაიწყო „ქართულ ოცნებაში“, კარდაკარის პროგრამაში. სამი დღის შემდეგ მომიგზავნეს ხალხი და მითხრეს, მეუღლე „ქართული ოცნებიდან“ გამოიყვანეო, რაზეც უარი ვუთხარი. მერე კიდევ რამდენიმე კაცი მოგზავნეს და მემუქრებოდნენ, დაგიჭერთო. ორმა ადამიანმა მითხრა, პირადად ნუგზარ აბულაშვილმა გამოგვგზავნა, უთხარით, გაჩერდესო,“ – აღნიშნა შალვა მოსაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი პოლიციის თანამშრომელს გიორგი ბეგიაშვილს ვერ დაუკავშირდა, დეპუტატმა ნუგზარ აბულაშვილმა კი აღნიშნა, რომ შალვა მოსაშვილზე ზეწოლის შესახებ არაფერი იცის. „არ მაინტერესებს, მე საქმის კურსში არა ვარ და ვინც გეუბნებათ მაგას, იმას ჰკითხეთ რა“, – განუცხადა ნუგზარ აბულაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.⁶⁹

25. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელს გიორგი მოსიაშვილს ჯარიმის გადაუხდელობის გამო ქონება დაუყადაღეს. როგორც მოსიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, მას ქონების დაყადაღებასთან ერთად ჯარიმა 125 070 ლარიდან 134 025 ლარამდე გაუზარდეს.

„21 ივლისამდე მქონდა ჯარიმის გადახდის ვადა, მაგრამ არ გადავიხადე და ქონება დამიყადაღეს. თუ რამე იყო ჩემს სახელზე, ყველაფერი დააყადაღეს, მათ შორის საბანკო ანგარიშებიც. ამასთან, ჯარიმა 134 025 ლარამდე გაზარდეს, მაგრამ ჯარიმის გადახდას არც ამჯერად ვაპირებ. ჩვენ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გავსაჩივრეთ, თუმცა სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ამიტომ ახლა მასალებს ვამზადებთ და სტრასბურგში ვაპირებთ გასაჩივრებას“, – განუცხადა გიორგი მოსიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

შეგახსენებთ, რომ 8 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ 17 მოქალაქე პოლიტიკური პარტიებისთვის უკანონო შემოწირულობის განხორციელებაში

⁶⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15261&lang=geo>

სამართალდამრღვევად სცნო და ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.⁷⁰

26. რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც 14 ივლისს, ვაჟაობისთვის, დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში ჩასულ ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ და ხელი ჩამოართვეს, ჟინვალის პოლიციაში დაიბარეს.

„14 ივლისს ვაჟაობა იყო. ბიძინა ივანიშვილი იყო ჩამოსული. ჩარგალში ვცხოვრობ და დავინტერესდი. ბიძინა რომ მოვიდა, რამდენიმე ადამიანს ხელი ჩამოართვეა, მოგვესალმა, მივესალმეთ. ღონისძიებებს დავესწარი, მერე ჩვეულებრივ სახლში დავბრუნდი. 4 დღის შემდეგ სახლში ჟინვალის პოლიციის თანამშრომელმა მომაკითხა, პოლიციაში ხარ დაბარებულიო. გასულ კვირას ვიყავი პოლიციაში. მითხრეს, იქ რა გინდოდაო. უხეზად იქცეოდნენ. გვარი – სახელი არ უთქვამთ ვინ იყვნენ, პოლიციის ფორმა ეცვათ და გასაუბრებაც პოლიციის განყოფილებაში შედგა. მითხრეს, რომ სადაც ივანიშვილი იქნება, იქაურობას ახლოს არ უნდა გავეკარო, თორემ მეც და ჩემს შვილსაც პრობლემა შეგვექმნება, საპროცესოთივ ვერ გახვალთ გარეთო“, – განუცხადა მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ჩარგალში მცხოვრებმა ერთ–ერთმა მამაკაცმა.

მასთან პოლიციის თანამშრომლის ვიზიტი და პოლიციაში დაბარების ფაქტი მამაკაცის ოჯახის წევრებმაც დაადასტურეს.

მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი ჟინვალის პოლიციას დაუკავშირდა, სადაც კომენტარი არ გააკეთეს.

შეგახსენებთ, რომ მანამდე პოლიციაში დაიბარეს კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რომლებმაც პირველ ივლისს, [მცხეთაში გამართულ აქციაში მიიღეს მონაწილეობა](#). „ქართული ოცნების“ დუშეთის შტაბის უფროსის დოდო ჩოხელის

⁷⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15257&lang=geo>

განცხადებით, სოფელ ქვეშეთის სკოლის დირექტორი კამილა ხევსურიშვილი კოალიციის მხარდამჭერებს სკოლიდან ბავშვების გარიცხვით დაემუქრა.⁷¹

27. ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის განცხადებით, ოლიმპიური სოფლიდან საქართველოში დაბრუნება მას შემდეგ გადაწყვიტა , რაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ქართული დელეგაციის წევრმა გია უდესიანმა მასთან შეხვედრა გადაწყვიტა. როგორც შუკვანმა 1 აგვისტოს „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა.

„უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ოლიმპიადაზე მე მივდიოდი, არ შეეძლოთ რაიმე შეეცვალათ და სხვა წაეყვანათ. 22 ივლისს შევხვდი ბიძინა ივანიშვილს, გადავიღე მასთან სურათები და ვუთხარი, რომ ვდგავარ თქვენს გვერდით, დიდი სიმპათიები მაქვს თქვენს და ვარ ქართველ ერთან ერთად მეთქი“, - განაცხადა ძიუდოისტმა.

მისი თქმით, აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გახმაურდა. შუკვანის ცნობით, აეროპორტში, ოლიმპიადაზე გამგზავრებისას, ქართული დელეგაციის წევრებმა მას უცენზურო სიტყვებით მიმართეს.

„ფსიქოლოგიურად მომშალეს. ვეცადე, რომ ფსიქოლოგიურად მაგრად ვყოფილიყავი. გამომივიდა კიდეც და კარგ ფორმაში ვიყავი“, - განაცხადა შუკვანმა.

ძიუდოისტმა ოლიმპიადაზე ასპარეზობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ 12 წელი სპორტშია და მსგავსი მსაჯობა არ ახსოვს. შუკვანის თქმით, მან არაობიექტურ მსაჯობაზე რეაგირებისთვის მიმართა სპორტის მინისტრ ლადო ვარძელაშვილს, მაგრამ მან პასუხი საერთოდ არ გასცა.⁷²

⁷¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15256&lang=geo>

⁷² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15271&lang=geo>

28. 2012 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში „ქართული ოცნების“ წევრის, მელიქ რაისიანის პროცესი დაიწყო. მელიქ რაისიანის წინააღმდეგ საქმე თაღლითობის მუხლით არის აღძრული.

პროცესს ესწრებოდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარი. მისი თქმით, საქმე ეხება 2006 წელს, ახალქალაქში მომხდარ ფაქტს. სუბარის განმარტებით, საქმეში დაზარალებულად ცნობილი მალვინა მატარიძის განცხადებით, რაისიანმა მის 38 000 ლარი გამოსძალა, სანაცვლოდ კი მისი ფირმის მფარველობას დაჰპირდა.

სუბარი მიიჩნევს, რომ რაისიანი პოლიტიკური დევნის მსხვერპლია. მისი განცხადებით, მალვინა მატარიძემ რაისიანის წინააღმდეგ სარჩელი 2012 წლის 25 მაისს, მხოლოდ მას შემდეგ შეიტანა, რაც რაისიანმა „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერა ღიად გამოუცხადა.

სოზარ სუბარი ვარაუდობს, რომ რაისიანს, რომელიც ამჟამად ძებნაშია, სასამართლო დაუსწრებლად მიუსჯის თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებას, რადგან მან ვერ შეძლოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ისიც განაცხადა, რომ პროცესი სექტემბერში იყო ჩანიშნული, თუმცა საქმე დაჩქარებული წესით აგვისტოში განიხილება.⁷³

29. 2012 წლის 7 აგვისტოს სამართალდამცავებმა დედოფლისწყაროში კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტი 30 წლის გიორგი ჭინჭარაული დააკავეს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბის უფროსმა ლექსო თამაზაშვილმა განუცხადა, პოლიციის თანამშრომლებმა გიორგი ჭინჭარაული მანქანაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასვეს და პირდაპირ სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

„გიორგი ჭინჭარაული ჩვენი აქტივისტია. დღეს, სოფელ გამარჯვებიდან დედოფლისწყაროში რომ ჩამოვიდა, მარშუტკასთან პოლიციელები ელოდებოდნენ.

⁷³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15290&lang=geo>

თვითმხილველების თქმით, პოლიციელებს მოუთხოვიათ, რომ მანქანაში ჩაჯდომოდა, თუმცა არ განუმარტავთ, რატომ უნდა ჩაჯდომოდა მანქანაში. ისიც ჩაუჯდა და სამართალდამცავებმა პირდაპირ სიღნაღში, დროებითი მოთავსების იზოლატორში წაიყვანეს. პოლიციის თანამშრომლები ამბობენ, რომ გიორგი არ დაემორჩილათ და აგინათ, ამიტომ დაუმორჩილებლობის და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო 90 დღით პატიმრობას ითხოვდნენ, მაგრამ ჩვენი ადვოკატი დროულად ჩაერია და გიორგი პატიმრობას გადაურჩა, 400 ლარიანი ჯარიმა დაუწერეს. თვითონაც ამბობს, რომ პოლიციელებთან არანაირი შელაპარაკება არ ჰქონია, მათ შორის არანაირი საუბარი არ ყოფილა გარდა იმისა, რომ სთხოვეს მანქანაში ჩაჯდომოდა“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლექსო თამაზაშვილმა.⁷⁴

30. „ბანკ ქართუს“ რვა თანამშრომლის, მათ შორის - ნოდარ ჯავახიშვილის ანგარიშები და პირადი ქონება დაყადაღებულია. 10.08.2012 - კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველების - „ბანკ ქართუს“ 8 თანამშრომლის, მათ შორის - ბანკის პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის ანგარიშები და პირადი ქონება დაყადაღებულია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ნოდარ ჯავახიშვილმა განუცხადა და გადაწყვეტილებას უპრეცედენტო და პოლიტიკურად ანგაჟირებული უწოდა. ჯავახიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ის და მისი თანამშრომლები აუდიტის სამსახურში დაბარებისას ოფიციალური ცნობებით იყვნენ მისული, დოკუმენტაცია არ გაითვალისწინეს.

„ხაზი მიინდა გავუსვა ჩემი თანამშრომლის, ირაკლი მერაიას შემთხვევას, რომელსაც სამი გადარიცხვა აქვს განხორციელებული პარტიის ანგარიშზე – 100 ლარი ს, 200 ლარის და 33 ათასი ლარის ოდენობით. თურმე მას ვერც ერთი გადარიცხვა ვერ დაუსაბუთებია. მოგელაძეს შეიძლებოდა, ეჭვი შეპარვოდა იმ მტკიცებულებაში, რომელიც ირაკლი ბერაიამ წარუდგინა 33 ათასი ლარის ნაწილში, მაგრამ კაცმა,

⁷⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15285&lang=geo>

რომელსაც 4 ათას ლარზე მეტი აქვს ხელფასი, როგორ შეიძლება, ვერ დაასაბუთოს 100 ლარი“, - აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი.

მისივე თქმით, 8 აგვისტოს იგი იმყოფებოდა აუდიტის სამსახურში, სადაც წარადგინა დოკუმენტაცია, რომ ბანკის დროებითი მმართველობიდან გათავისუფლების კომპენსაცია – 17 000 ლარი შეიტანა „ქართული ოცნების“ ანგარიშზე.

„ამის დამადასტურებელი დოკუმენტი დროებითი მმართველის - ვლადიმერ უგულავას ხელმოწერით წარვადგინე აუდიტის სამსახურში და რა არის აქ დაუსაბუთებელი, ჩემთვის გაუგებარია“, - აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი.

მისივე თქმით, ბანკის თანამშრომლებმაც პარტიას კომპენსაციის თანხები შეწირეს. ამასთან, ჯავახიშვილის განცხადებით, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ხვალ, 10:00 საათზე სასამართლო სხდომა გაიმართება.

„სასამართლოზე დაგვიბარეს. დარწმუნებული ვარ, ხუთმაგი ოდენობით, ჯამში კი – 1 მილიონ 100 ათასი ლარით დაგვაჯარიმებენ და ჩვენს ქონებას საჯარო აუქციონზე გაყიდვას“, - განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.⁷⁵

31. 2012 წლის 9 აგვისტოს ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის მკვიდრი, დავით ბერიძე ადგილობრივმა პოლიციამ იმის გამო დააკავა, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სადღეგრძელო არ დალია.

ეს ფაქტი „ივერონს“ „ქართული ოცნების“ ახალციხისა და ასპინძის ოფისების წარმომადგენლებმა დაუდასტურეს. მათი თქმით, გიორგი ბერიძე მეზობლის დაბადების დღეზე იმყოფებოდა, სადაც მიწვეული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ადგილობრივი აქტივისტი. სწორედ მას შეუთავაზებია თანამეინახეთათვის პრეზიდენტის სადღეგრძელო.

„მიხეილ სააკაშვილი იმ სუფრაზე, იმ ნაციონალი ახალგაზრდის გარდა, გულზე არავის ეხატებოდა, მაგრამ ხალხი დაშინებულია და ყველამ სულმოუთქმელად დალია ეს სადღეგრძელო. გიორგი ბერიძემ კი უარი განაცხადა - ჩემი ქვეყნის

⁷⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15307&lang=geo>

დამაქცევრის სადღეგრძელოს არ დავლევო. მეორე დღეს, ბერიძე დააკავეს და აწყურის პოლიციაში 2 დღე და ღამე ამყოფეს“, - განუცხადეს „ივერონს“ „ქართული ოცნების“ ახალციხის ოფისის წარმომადგანლებმა.

„ქართული ოცნების“ წევრთა თქმით, ბერიძეზე ფიზიკური ზეწოლა არ ყოფილა. დაკავებული მანამდე არ გამოუშვეს წინასწარი დაკავების საკნიდან, ვიდრე განსხვავებული სასმისით 5-ჯერ არ დააღვინეს პრეზიდენტის სადღეგრძელო.

„5-ჯერ იმიტომ დააღვინეს მიშას სადღეგრძელო, რომ ხუთიანი ნაციონალთა სარჩევნო ნომერია. ამით ბერიძეს თან დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ“, - აცხადებენ „ქართულ ოცნებაში“.

გიორგი ბერიძე არც ერთი ოპოზიციური პარტიის წევრი არ არის და აპოლიტიკური პიროვნებაა. ის და მისი ოჯახის წევრები სოფლის მეურნეობას მისდევენ.⁷⁶

32. ვანის რაიონში „ქართული ოცნების“ აქტივისტების აღწერა შეიძლება დაიწყოს. სოფელ ჭყვიშის მცხოვრები დავით შარაშენიძე, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია, ვანის პოლიციის თანამშრომელს, სოფელ ჭყვიშის უბნის ინსპექტორს, ოთარ ბელთაძეს მუქარაში ადანაშაულებს.

შარაშენიძის თქმით, ჭყვიშის უბნის ინსპექტორმა ოთარ ბელთაძემ იგი პოლიციის მხრიდან „ქართული ოცნების“ აქტივისტების მოსალოდნელი აღწერებისა და ნარკოლოგიური შემოწმებების შესახებ გააფრთხილა.

„ბელთაძე სოფელში შემხვდა და მითხრა, რომ ვინც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია ყველა უნდა ავღწერო და ნარკოლოგიური შემოწმება ჩავუტარო, მათ შორის შენცო. ეს გაფრთხილება კი არა მუქარა იყო“, - განაცხადა დავით შარაშენიძემ. ოთარ ბელთაძე ვანის პოლიციის სამმმართველოში მუშაობს. მასთან დაკავშირება ვერ შევძელით, რადგან მობილურ ტელეფონზე ჯერ სხვა პიროვნება პასუხობდა, ხოლო შემდეგ გამორთული ქონდა.

⁷⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15303&lang=geo>

ამ ფაქტთან დაკავშირებით ვანის პოლიციის სამმართველოდან კომენტარს სხვა არავინ აკეთებს.

33. ფინანსური მონიტორინგის სამსახური კახი კალაძისა და ბიძინა ივანიშვილის მიერ, კუთვნილი ანგარიშებიდან დანიშნულების მითითების გარეშე ნაღდი ფულის მოხსნაზე საუბრობს და ამ თანხების ანგარიშებზე დაბრუნებისკენ მოუწოდებს.

როგორც აუდიტის სამსახურის განცხადებაშია აღნიშნული, ბიძინა ივანიშვილმა და კახი კალაძემ კუთვნილი საბანკო ანგარიშებიდან, ნაღდი ფულის სახით, დანიშნულების მითითების გარეშე, სოლიდური თანხები გაიტანეს. კერძოდ, აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, დასახელებულ პერიოდში ბიძინა ივანიშვილმა გაანაღდა 5.552.135 ლარი, ხოლო კახი კალაძემ 3.388.992 ლარი.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მილიონობით ლარის ხარჯვის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტის დადასტურების მიზნით, ბიძინა ივანიშვილს და კახი კალაძეს გაეგზავნათ წერილი, რათა წარმოედგინათ დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაცია ამ თანხებით განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რაზეც დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს დარღვევების პრევენცია და არა სანქციების გამოყენება. პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის მიზნებიდან გამომდინარე, გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე ორივე ფიზიკურ პირს მიეცა წინადადება დანიშნულების გარეშე, ნაღდი ფულის სახით გატანილი სოლიდური თანხები დააბრუნონ საკუთარ პირად ანგარიშებზე“, - აღნიშნულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადებაში.⁷⁷

ამ საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა განცხადება.⁷⁸

⁷⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15295&lang=geo>

⁷⁸ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15347&lang=geo>

34. 2012 წლის 12 აგვისტოს, პოლიციის მიერ დუშეთის რაიონის სოფელ არღუნში დაკავებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, ქრისტეფორე ჯანგირაშვილი მცხეთის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ჯანგირაშვილი ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

„დუშეთის პოლიციის თანამშრომლებმა ქრისტეფორე ჯანგირაშვილი ჩვენთან შეხვედრიდან მეორე დღეს დააკავეს. ჯანგირაშვილი დუშეთის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებოდა. საავადმყოფოში ის პოლიციამ გადაიყვანა. ამ ფაქტს საავადმყოფოში ადასტურებენ. ქრისტეფორე ჯანგირაშვილი ამჟამად რეანიმაციაში იმყოფება. პალატას ბადრაგი იცავს. ჩვენ მისი ნახვის უფლება არ მოგვცეს. როგორც მკურნალმა ექიმმა გვითხრა, მას მაღალი წნევა აღენიშნება. 150–100–ზე არ არის ისეთი მაღალი წნევა, რომლის გამოც ავადმყოფი რეანიმაციაში გადაჰყავთ. შესაძლოა, მასზე ფიზიკური ძალა იხმარეს. ვერაფერს ვერც გამოვრიცხავთ და ვერც დავადასტურებთ, რადგან ავადმყოფის ნახვის უფლება არ მოგვცეს. რაც შეეხება მეორე დაკავებულს, ჯანგული ჯანგირაშვილს, ის წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით არის დაკავებული. დაკავებული უკვე ესაუბრა ადვოკატს. ჯანგულ ჯანგირაშვილი აცხადებს, რომ ის პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული და დანაშაულს არ აღიარებს“, – განუცხადა მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ დუშეთის შტაბის ხელმძღვანელმა თევდორე კარიაულმა.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები – ქრისტეფორე და ჯანგულ ჯანგირაშვილები შსს–ს პოლიციის დუშეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დუშეთის რაიონის სოფელ არღუნში 12 აგვისტოს დააკავეს.⁷⁹

35. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში მცხოვრები ნიკოლოზ კიკილაშვილი შსს–ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის

⁷⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15325&lang=geo>

კახეთის სამმართველოს ხელმძღვანელს სოსო ციციშვილს და სიღნაღის პოლიციის უფროსის მოადგილეს ბესიკ ლეკიაშვილს ზეწოლაში ადანაშაულებს.

როგორც ნიკოლოზ კიკილაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ციციშვილმა და ლეკიაშვილმა მას სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ აბულაშვილის დავალებით „ქართული ოცნების“ და საქართველოს დატოვება მოსთხოვეს, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი დაპატიმრებით დაემუქრნენ.

„სახლში მოვიდნენ ჯიპით. მითხრეს, რომ უშიშროებიდან იყვნენ და კახეთის უშიშროების უფროსი სოსო ციციშვილი მიბარებდა. კრიმინალი არ ვარ, ცუდი არაფერი ჩამიდენია და ამიტომ გავყევი, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, თუ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მომაცენებდნენ. სიღნაღში, სასაფლაოებთან, ტყე პარკში წამიყვანეს, იქ კოტეჯებია. ერთ–ერთ კოტეჯში სოსო ციციშვილი, ბესო ლეკიაშვილი და კიდევ ერთი პიროვნება დამხვდნენ, მესამე არ ვიცი ვინ იყო, მას ხმა არ გაუცია ჩემთვის. ციციშვილმა და ლეკიაშვილმა მითხრეს, „ოცნებიდან“ გამოდი და საქართველო ხვალვე დატოვეო. ერთი კვირის ვადა მომცეს, თუ არ წახვალ დაგიჭერთო, მე ვუთხარი, რომ არც „ქართული ოცნების“ და არც ქვეყნის დატოვებას არ ვაპირებ მეტეჟი. დაახლოებით 20 წუთზე მეტი ვყავდი კოტეჯში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც მომაცენეს. ეს ყველაფერი სიღნაღის რაიონის დეპუტატის ნუგზარ აბულაშვილის დავალება იყო. რამდენიმე დღის წინ აბულაშვილმა ჩემს 14 წლის ბიჭსაც მოსთხოვა „ქართული ოცნების“ მაისური გაიხადეო, მაგრამ არ გაიხადა“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ნიკოლოზ კიკილაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი პარლამენტის წევრს ნუგზარ აბულაშვილს დაუკავშირდა, თუმცა მან კომეტარი არ გააკეთა: „კარგით რა, კარგით, ვინ ემორჩილება ჩემს დავალებებს,“ – აღნიშნა აბულაშვილმა და ტელეფონი გათიშა. ნუგზარ აბულაშვილი ამავე დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია.⁸⁰

⁸⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15320&lang=geo>

36. „ქართული ოცნების“ ფოთის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლის, მაშვიკო მელქაძის განცხადებით, კუნძულის უბნის მერიის ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთი თანამშრომელი, ლევან სიჭინავა მის გადაბირებას ცდილობდა.

როგორც მაშვიკო მელქაძე ამბობს, ლევან სიჭინავა მას მაღალანაზღაურებადი სამსახურის სანაცვლოდ, კოალიციის წევრებისა და მხარდამჭერთა სიების გადაცემასა და სხვა ინფორმაციების მიწოდებას სთხოვდა.

„მე შენ ჭკვიანი გოგო მეგონე და „ქართულ ოცნებაში“ რა გინდა?“ - მითხრა სიჭინავამ და შემოთავაზებულ წინადადებაზე დასაფიქრებლად ერთი დღე მომცა“, - ამბობს humanrights.ge-სთან საუბრისას მაშვიკო მელქაძე.

თუმცა, მელქაძემ ეს ერთი დღე არა თანამშრომლობისთვის დასტურის მისაცემად, არამედ გადაბირების ფაქტის დასამტკიცებლად გამოიყენა და სიჭინავას საუბარი ჩაიწერა. როგორც თავად ამბობს, ამ საუბრის მოწმეებიც არსებობენ. ამის შემდეგ მელქაძემ პასუხად უარი მოახსენა სიჭინავას, რის შემდეგაც, როგორც მელქაძე ამბობს, მას დაემუქრნენ.

ჩვენ კომენტარისთვის ლევან სიჭინავასთან დაკავშირებას შევეცადეთ, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

მაშვიკო მელქაძე ფოთში ერთ-ერთ ფირმაში, „პალიასტომი-2004“-ში სეზონურად, დეკლარანტად მუშაობდა. ცოტა ხნის წინ მას სამსახურიდან დაურეკეს და მოახსენეს, რომ ახალი სეზონიდან ვეღარ იმუშავებდა თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, რადგან „ქართული ოცნების“ აქტიური წევრია.⁸¹

37. ხელისუფლების განცხადების მიუხედავად, რომ ყველა პარტიას ერთნაირი საარჩევნო პირობები ექნებოდა, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებსა და მომხრეებზე ზემოქმედება გრძელდება.

⁸¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15335&lang=geo>

ხობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიგა ბუკია სახელმწიფომ 190 ათასი ლარით დააჯარიმა და ქონება დაუყადალა: „სამი თვის წინ 35 ათასი ლარი კონსერვატიული პარტიის ანგარიშზე ჩავრიცხე, რათა კოალიციის ხარჯებს მოხმარებოდა. კონტროლის პალატამ მოწმის სტატუსით დამიბარა და განმარტება მომთხოვა, საიდან მოვიტანე აღნიშნული თანხა. სიტყვიერად ავუხსენი, რომ მაქვს საკრედიტო ხაზი გახსნილი საქართველოს ბანკთან, საიდანაც პირდაპირ გადავრიცხე ეს თანხა. თუ დაინტერესდებოდნენ თანხის წარმომავლობით, მზად ვიყავი, ჩემი ქონების შესახებ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი წარმედეგინა. მაგრამ მას შემდეგ კონტროლის პალატაში არ დავუბარებია და პირდაპირ სასამართლოდან მივიღე უწყება კონტროლის პალატიდან შესული საჩივრის შესახებ, თითქოს მე არანაირი შემოსავალი არ გამაჩნია და გაურკვეველია, საიდან მოვიტანე ეს თანხა. სასამართლოზე წარვადგინე 200 000 ლარის თანხის ნოტარიუსით დადასტურებული დოკუმენტები. მოსამართლემ მე და ჩემს ადვოკატს მოგვცა მხოლოდ 7 წუთი, არც არაფერი გვკითხეს, ისე გამომიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი და 167 000 ლარით დამაჯარიმეს. სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრე, მაგრამ - უშედეგოდ და საბოლოო ჯამში ჯარიმამ 190 000 ლარი შეადგინა“.

ისე, როგორც ბევრმა სხვამ, ბუკიამაც სამართალი საქართველოში ვერ მონახა და სარჩელი სტრასბურგში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეიტანა.

ვიდრე ბუკია სტრასბურგის განაჩენს ელოდება, სახელმწიფომ მისი ქონება დააყადალა და ჩქარი ტემპით, მისი სახლი აუქციონზე 313 740 ლარად გაყიდა.

როგორც ბუკია ამბობს, ეს თანხა ბევრად აღემატება ჯარიმას და მოითხოვს, დარჩენილი 120 000 ლარი კოალიცია „ქართული ოცნების“ ანგარიშზე გადაირიცხოს.

თავისი მდგომარეობის შესახებ გიგა ბუკიამ უკვე აცნობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს.⁸²

⁸² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15333&lang=geo>

38. „კონსერვატიული პარტიიდან“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოდან“ გურჯაანის საოლქო – საარჩევნო კომისიის წევრები აცხადებენ, რომ კომისიის თავმჯდომარე ნატო ბეგაშვილი მათ მუშაობის საშუალებას პოლიტიკური ნიშნით არ აძლევს. ორივე პარტია კოალიცია „ქართულ ოცნებაშია“ გაერთიანებული.

საოლქო–საარჩევნო კომისიის მხოლოდ ამ ორ წევრს ოფისში არ აქვს სამუშაო მაგიდა, ასევე კომისიის თავმჯდომარემ უარი უთხრათ გაეცნონ საუბნო – საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა განცხადებებს.

საარჩევნო კოდექსის 25–ე მუხლის თანახმად, საოლქო–საარჩევნო კომისიის წევრებმა 16 აგვისტომდე უნდა აირჩიონ საუბნო–საარჩევნო კომისიის წევრები.

„არ მეძლევს სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალება, რაც გამოიხატება იმაში, რომ 16 აგვისტომდე ჩვენ უნდა დავასრულოთ საუბნო საარჩევნო კომისიებში კომისიის წევრების დანიშვნა. როგორც დღეს საოლქო კომისიის თავმჯდომარემ განგვიცხადა, ინფორმაციას გაგვაცნობს მხოლოდ ნაწილობრივ, სხდომაზე, საკონტაქტო ტელეფონების გარდა, რადგან ამით თურმე ირღვევა მათი უფლებები. მათ საკონტაქტო ინფორმაციას მათი წერილობითი თანხმობის გარეშე ვერ მოგვემთო, ეს იყო მისი დასაბუთება. ავტობიოგრაფიებს ნახავთ, მაგრამ ტელეფონის ნომრებს ვერ გადმოიწერთო. სხდომამდე ხომ უნდა ვიცოდეთ ვის ვირჩევთ კომისიის წევრად?“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ბექა მაისურაძემ, გურჯაანის მე–12 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა „კონსერვატიული პარტიიდან“.

გურჯაანის საოლქო–საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნატალია ბეგაშვილის განცხადებით, კომისიის წევრებს შეუძლიათ დარბაზში იმუშაონ. რაც შეეხება საუბნო – საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა განცხადებებს, ბეგაშვილის თქმით, განცხადებები პერსონალურ ინფორმაციას შეიცავს და მისი გაცნობის უფლება უშუალოდ იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ეს ესება, კომისიის წევრებს არ აქვთ.⁸³

⁸³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15331&lang=geo>

39.17 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებსა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შორის სიტყვიერი შეკამათება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა.

სოფელ გომში კახი კალაძის მხარდამჭერების წინააღმდეგ მობილიზებულ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან ერთად, გომის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ ნიკოლეიშვილი იმყოფებოდა. რომელიც შეხვედრის ჩაშლას ცდილობდა.

კალაძის მხარდამჭერებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის დაპირისპირება ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. ამ ფაქტს სამტრედიის პოლიციის უფროსის მოადგილე ამინო ადამიაც შეესწრო, რომელიც ჩხუბს ავტომანქანიდან ადევნებდა თვალს.

შეხვედრაზე მყოფი მადინა თავაძე აცხადებს, რომ არც ერთი „ნაციონალი“ აქტივისტი გომის მკვიდრი არ არის, ისინი შეხვედრაზე სპეციალურად ჰყავდათ მოყვანილი პროვოკაციის მოსაწყობად.⁸⁴

40. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში „ქართული ოცნების“ ქვეკოორდინატორმა თეონა თათულაშვილმა ზეწოლის შედეგად კოალიცია დატოვა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ წევრმა ზაზა ლაგაძიძემ განუცხადა, თეონა თათულაშვილზე ზეწოლას პოლიციის თანამშრომელი ზაქარია ბერიაშვილი ახორციელებდა.

„ახალგაზრდა გოგონაა, პატარა ბავშვი ჰყავს. ჩვენი ქვეკოორდინატორი იყო სოფელში და აგიტაციას ეწეოდა. პოლიციის თანამშრომელი ზაქარია ბერიაშვილი, რომელიც მისივე მეზობელია, არაერთხელ დაემუქრა, რომ თუ „ქართულ ოცნებას“ არ დატოვებდა, დედამისს და მის მაზლს, რომლებიც დასაქმებულები არიან, სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ. ამასთან, სხვა პრობლემებიც შეექმნებოდათ. გოგონას დედა ერთ–ერთ საბავშვო ბაღში მუშაობს, 50 თუ 70 ლარი აქვს ხელფასი“, – განუცხადა ზაზა ლაგაზიძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

⁸⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15359&lang=geo>

კახეთის საინფორმაციო ცენტრი თეონა თათულაშვილსაც დაუკავშირდა. „ვერაფერს ვერ გეტყვით, აღარ ვარ პარტიაში, წამოვედი, ნახვამდის“, – განაცხადა თეონა თათულაშვილმა.

ახმეტის პოლიციის თანამშრომელმა ზაქარია ბერიაშვილმა კომენტარი არ გააკეთა.⁸⁵

41. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციონერი წევრი, სულიკო მიქელაძე აცხადებს, რომ იგი შესაძლოა დააკავონ. სულიკო მიქელაძეს ხელვაჩაურის პოლიციის გამომძიებელი ოლეგ მიქელაძე ტელეფონით დაუკავშირდა და აცნობა, რომ უნდა გამოცხადდეს სსკ-ის 362 მუხლით გათვალისწინებულ საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დასაკითხად.

აღნიშნულ საკითხზე, სულიკო მიქელაძემ და მისმა დამცველმა, ირაკლი შავაძემ 23 აგვისტოს ბრიფინგი გამართეს დემოკრატიული ჩართულობის ბათუმის ოფისში.

როგორც მიქელაძე აცხადებს, გამოძიება მიმდინარეობს 6 აგვისტოს ოპოზიციონერი საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოში დატოვებულ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც მათ ბეშუმში, შუამთობის დღესასწაულზე მომხდარი ინციდენტი გააპროტესტეს. განცხადებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოპოზიციონერი საკრებულოს წევრები არ დაესწრებიან საკრებულოს სხდომებს. განცხადებაში ხელისმომწერთა გრაფაში მითითებულია ვახტანგ კახიძის (საკრებულოს წევრი ქდმ-ს პარტიიდან) სახელი და გვარი, რომლის მიერ შესრულებული ხელმოწერაც არ არის განცხადებაზე. შესაბამისად, გამოძიება მიმდინარეობს კახიძის ხელმოწერის გაყალბებასთან დაკავშირებით.

„აღნიშნულს ვაფასებ როგორც ხელისუფლების მიერ შეთითხნილი ბრალდებით ჩემი დაშინების მცდელობად. ამიტომაც, მივმართავ არასამთავრობო სექსტორის წარმომადგენლებს, განახორციელონ მონიტორინგი აღნიშნულ ფაქტზე“, – განაცხადა სულიკო მიქელაძემ.

⁸⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15371&lang=geo>

სულიკო მიქელაძის ინტერესებს იურისტი ირაკლი შავაძე იცავს. შავაძის განცხადებით, ოპოზიციონერთა ერთობლივი განცხადება ბოიკოტთან დაკავშირებით გაკეთებული ხელმოწერა არ წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს: „ვინაიდან აღნიშნული განცხადება არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს და შესაბამისად, აღნიშნული განცხადებით, რაიმე უფლება არ წარმოშობია ვახტანგ კახიძეს და არ მომხდარა მისი უფლებების შეზღუდვა, არარსებულ დანაშაულზე გამოძიების დაწყება მიუთითებს მიქელაძის პოლიტიკური ნიშნით დევნას“.⁸⁶

42. თავდასხმა თელავში ქისტებზე – 9 სექტემბერს, საღამოს, თელავში, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქციის დასრულების შემდეგ აქციის მონაწილე ქისტ ახალგაზრდებს, რომლებიც პანკისის ხეობიდან იყვნენ ჩამოსულები, უცნობი პირები ფიზიკურად გაუსწორდნენ. თავდასხმის შედეგად 25 წლის ხიზირ ქუშანაშვილი და 22 წლის ანგელ ბორჩაშვილი დაშავდნენ. დაზარალებული ახალგაზრდები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით თელავის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ისე, რომ ექიმებს პირველადი დახმარების აღმოჩენა დამთავრებული არ ჰქონდათ, საავადმყოფოში პოლიციელები მივიდნენ და დაშავებულები სამმართველოში დაკითხვაზე წაიყვანეს. „აქციას ვესწრებოდით, აქციიდან კონცერტზე წამოვედით, ბიჭები იდგნენ, ახლოს რომ მივედით დააყარეს და ჩვენც მოგვხვდა. საავადმყოფოში გადაგვიყვანეს და იქიდან პოლიციამ დაკითხვაზე წამოგვიყვანა,“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ–ერთმა დაზარალებულმა ანგელ ბორჩაშვილმა. დაახლოებით 1 საათის შემდეგ, დაშავებულები პოლიციის სამმართველოდან გამოუშვეს. ხიზირ ქუშანაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, „ქართული ოცნების“ წევრებმა თელავის საავადმყოფოში დააბრუნეს. თელავის რაიონული საავადმყოფოს ქირურგის გიორგი სვანიშვილის განცხადებით,

⁸⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15400&lang=geo>

ახალგაზრდებს სხეულის მსუბუქი დაზიანებები ჰქონდათ მიღებული და სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებდნენ, თუმცა „ქართული ოცნებიდან“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზურაბ ზვიადაურმა ქუშანაშვილი და ბორჩაშვილი დამატებითი გამოკვლევებისთვის თბილისში გადაიყვანა. 10 სექტემბერს ზურაბ ზვიადაურმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობა, რომ თელავში, კოალიციის აქციის დასრულების შემდეგ, ხიზირ ქუშანაშვილის და ანგელ ბორჩაშვილის გარდა უცნობი პირები ფიზიკურად კიდევ 8 ახალგაზრდას გაუსწორდნენ, თუმცა მათ სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ. „10 ადამიანია ნაცემი, ზოგს თვალი აქვს დაღურჯებული, ზოგს ტუჩი აქვს გახეთქილი, ზოგს თავი აქვს გატეხილი, ქუშანაშვილის და ბორჩაშვილის გარდა ყველა მსუბუქად არის და საავადმყოფოს არ მიმართეს,“ – განაცხადა ზურაბ ზვიადაურმა. მისივე თქმით, 25 წლის ხიზირ ქუშანაშვილს, თბილისში გამოკვლევების შედეგად მძიმე ტვინის შერყევა დაუდგინდა. „ქუშანაშვილს ჩაუტარდა ტომოგრაფია, გამოკვლევები და მძიმე ტვინის შერყევა დაუდგინდა. წოლითი რეჟიმი და მკურნალობა დაუნიშნეს და უკვე სახლშია“ – განაცხადა ზვიადაურმა. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას თელავის პოლიცია აწარმოებს. სამართალდამცავებს ჯერ არავინ დაუკავებიათ. თავდასხმის ფაქტზე კომენტარი გააკეთა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ თამარ კინწურაშვილმა. მისი განცხადებით, ახალგაზრდების ცემის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს და შესაბამისი რეაგირება მოხდება.⁸⁷

43. ყვარელში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს სახლებში შეიარაღებული პირები შეუვიარდნენ – ყვარლის რაიონის სოფელ თხილისწყაროში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სახლებში 10 სექტემბერს, შეიარაღებული პირები შეიჭრნენ. „ღამის 2 საათი იყო. გადმოხტნენ დაკეტილ კარებზე. ხუთნი იყვნენ. იარაღები ჰქონდათ. ერთ–

⁸⁷ http://www.youtube.com/watch?v=1nxStGF8CME&feature=player_embedded

ერთი ლოგინში ავტომატით დამადგა და მეუბნება, რა იყო, რა მოწყვეტით წახვედით სოფლიდანო“, – იხსენებს ელზა ტილაშვილი კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში. ის და მისი თანასოფლელები 9 სექტემბერს, თელავში, „ქართული ოცნების“ აქციაზე იმყოფებოდნენ. „ჩემი ქმარი ლოგინიდან ააყენეს. პოლიციიდან ვართ, ადექით, თქვენი დედაო. მე ვუთხარი, მაცალეთ, ავდგე მეთქი და არც მაცალეს. მოშვერილი ჰქონდა იარაღი, ორლულიანი იყო რალაცა. იწექი მანდ... დღეს რა ხდებოდაო? რა უნდა ხდებოდეს, ივანიშვილის აქციაზე ვიყავით, რა გინდათ მეთქი? რა გვინდა და შორენას ვეძებთო. ვინ შორენას, აქ რა უნდა მეთქი. მეზობლებთან შესულან კიდევ, იქ ელზას ვეძებთო, იქ თემოს ვეძებთო. იქაც შეიარაღებულები შევიდნენ დაშინების მიზნით. ცხოვრებაში არ მომხდარა ასეთი რამ და რაღა აქციაზე რომ ვიყავით მაშინ მოხდა? იარაღი ყველას ჰქონდა ერთის გარდა. რა იყო, დღეს რა მოწყვეტით წახვედით სოფელიო. ყველა ვიყავით აქციაზე, ასაკოვანი ხალხი არ წამოსულა მარტო, სამი მარშუტკა ვიყავით, ფეხზეც ვიდექით მარშუტკაში“, – ამბობს ელზა ტილაშვილი. „როცა შემოვარდნენ, ბავშვიც აქ იყო. ბავშვი ამიწიოკდა, ყვირილი დაიწყო. მეც ყვირილი დავიწყე, თქვე არაკაცებო, რა გინდათ, ჩემს ხმას ვისაც მინდა იმას მივცემ მეთქი. ჩვენ ხმის ამბავზე არა ვართ მოსულები, შორენა გვაინტერესებსო. რაღაცეებს კითხულობდნენ, დადიოდნენ, მთელი სოფელი შეაღონეს. ერთი მე ვარ, რომ ვლაპარაკობ, ხალხს ემინია, ვერ ლაპარაკობენ. რომ დავინახო, მე ამოვიცნობ იმას, ვინც ავტომატს მიშვერდა, პატარა ბიჭი იყო. რა ხდება მეთქი? რა ხდება და შენ ქმარს ეხლა დაბრედავენო. უნდა ავდგე მეთქი და ვერ ადგები, შენი დედაო“, – აღნიშნავს ელზა ტილაშვილი. თხილისწყაროში, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სახლებში 10 სექტემბერს, გვიან ღამით, შეიარაღებული პირები რომ შევიდნენ, ამ ფაქტს ელზა ტილაშვილის მეზობელი ქეთევან გაგნიძეც ადასტურებს. „ქართული ოცნების“ მომხრეები ვართ და შეგვეშინდა, ხომ იცით რა ხდება ამ არჩევნებზე. ჩემმა ამეუღლემ გამოიხედა, წნევადარტყმულია, 4 თვეა ვერ ლაპარაკობს. ავტომატიანი ეუბნება, უფროსო, რა გვარი ხარო. არაფერი არ დაუშავებიათ, შეგვეშალა, შეცდომით მოვედითო. ელზას სახლი რომელიაო. ამ უბანში სხვაგანაც ყოფილან. დილით ისევ

მოვიდნენ, ყავა მოგვიდულე თუ შეიძლებაო. დავალევი და წავიდნენ, გამართული ქართულით ლაპარაკობდნენ“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ქეთევან გაგნიძემ. სოფელში გავრცელებული ინფორმაციით, შეიარაღებული პირები ვინმე შორენას ეძებდნენ, თუმცა კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ შეიარაღებული პირები არ შესულან იმ სახლებში, სადაც მცხოვრებნი თელავში „ქართული ოცნების“ აქციაზე არ ყოფილან. მომხდართან დაკავშირებით ყვარლის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის და შესაბამისად, არც გამოძიება მიმდინარეობს.⁸⁸

44. ქვემო მაღაროში „ქართული ოცნების“ აქტივისტებს პლაკატები წაართვეს – 6 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაღაროში „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ნინო გუგაშვილს და გიორგი მჭედლიშვილს სააგიტაციო პლაკატების დარიგების დროს, შეურაცხყოფა მიაყენეს, დაარტყეს და პლაკატები წაართვეს. ინციდენტში ქვემო მაღაროდან საკრებულოს წევრი გიორგი ბაბაკიშვილი მონაწილეობდა. „ოთხნი ვიყავით და პლაკატებს ვარიგებდით, უცებ ორი მანქანა მოვიდა, იქიდან რამდენიმე ადამიანი გადმოვიდა და გვკითხეს საიდან ხართო. ვუთხარით, რომ არავის არაფერს არ ვაძალებთ და მოსახლეობას ვაცნობთ, რომ 9 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილი თელავში აქცის მართავს. პლაკატები წაგვართვეს, ერთ ბიჭს სახეში ხელი გაართყეს, მე თავში პლაკატები დამართყეს და მაგინებდნენ. გვითხრეს, რომ აქ მეორედ აღარ მოხვიდეთო და წავიდნენ“, – აღნიშნა „ქართული ოცნების“ აქტივისტმა ნინო გუგაშვილმა. მისივე თქმით, შემთხვევის ადგილიდან მისთვის უცნობი პირები სოფლის დეპუტატის გიორგი ბაბაკიშვილის მანქანით მიიმალნენ. „ქართული ოცნების“ აქტივისტების ბრალდებები უარყო სოფლის დეპუტატმა გიორგი ბაბაკიშვილმა. „მე არავინ არ მიცემია. ვინ იყო არ ვიცი, მე არ ვყოფილვარ“, – განაცხადა ბაბაკიშვილმა. ინციდენტი ერთ–ერთმა თვითმხილველმა

⁸⁸ http://www.youtube.com/watch?v=eCEMWA3NuJA&feature=player_embedded

გალინა არაბულმა დაადასტურა. „წყალს ვიღებდი ქუჩაში. ბავშვები მოდიოდნენ პლაკატებით. გააჩერა მანქანა და პლაკატები წაართვა. მე ვუთხარი, რა უფლებით ართმევ მეთქი პლაკატებს. არ მიპასუხა. საბარგულში ჩადო ეს პლაკატები და წავიდა“, – განაცხადა არაბულმა.⁸⁹

45. გურჯაანის რაიონში „ქართული ოცნების“ საინფორმაციო პლაკატები ჩამოხიეს – 9

სექტემბერს, თელავში, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქცია იყო დაგეგმილი. ამასთან დაკავშირებით, 8 სექტემბერს, კოალიციის ახალგაზრდა აქტივისტებმა რეგიონში საინფორმაციო შინაარსის პლაკატები გააკრეს, რომლითაც ხალხს აქციაზე იწვევდნენ. იმავე საღამოს, გურჯაანის რაიონის სოფლებში თითქმის ყველა პლაკატი ჩამოხეული იყო. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ჭანდრის მაცხოვრებლებმა განუცხადეს, პლაკატები „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა ჩამოხიეს. „გუშინ, გვიან საღამოს, ახალგაზრდები დადიოდნენ და „ოცნების“ პლაკატებს ხევდნენ. ყველგან ჩამოხიეს. ვიცი, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები არიან, პირადად ვიცნობ. „ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატები რამდენიმე დღით ადრე მათ გააკრეს“, – აღნიშნა თვითმხილველმა.

46. გურჯაანში ბენზინგასამართი სადგურები არ მუშაობდა – 9 სექტემბერს, თელავში,

„ქართული ოცნების“ აქციაზე წასვლის მსურველებს პრობლემები შეექმნათ ტრანსპორტის საწვავით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. დილიდან გურჯაანში ბენზინგასამართი სადგურები, მათ შორის კომპანია „ლუკოილის“ სადგურიც არ მუშაობდა. ოპერატორების განმარტებით, ბენზინგასამართ სადგურებს საკმარისი სიმძლავრის ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა, სინამდვილეში რაიონს ელექტროენერგია 9 სექტემბერს უწყვეტ რეჟიმში ჰქონდა და ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციაში“ გადამოწმებული ინფორმაციით, არც ძაბვის ვარდნა არ

⁸⁹ http://www.youtube.com/watchv=Nr7Zys3b83Q&feature=player_embedded

მომხდარა.⁹⁰

47. ხელშეშლის მცდელობა რეაბილიტაციის მიზეზით – არათანაბარი წინასაარჩევნო პირობები თელავში – 8 სექტემბერს, შაბათს, თელავში, ერეკლე მეორეს გამზირზე „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გაიმართა. ქალაქში, სადაც უკვე 2 თვეა სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობამდე ქუჩები სამშენებლო მასალებისგან გაწმინდეს, გზებზე მოძრაობა მთელი დღის განმავლობაში თავისუფალი იყო. 9 სექტემბერს, კვირას, როცა იმავე ადგილზე აქცია „ქართულმა ოცნებამ“ გამართა, ერეკლე მეორეს გამზირზე სამშენებლო სპეცტექნიკა ჩააყენეს, გზებზე კი სამშენებლო მასალები დაყარეს. „ფასადზე ვმუშაობთ, მაგრამ ეხლა გაჩერებულები ვართ, ეხლა არ ვმუშაობთ. რა ვიცი, გაგვაჩერეს რა. აქ არის ჩვენი სამსახური“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ–ერთი მანქანის მძღოლმა. „უფროსობამ მიბრძანა. ჩემი სამუშაო საათები მორჩა უკვე, მე შემიძლია წავიდე, მაგრამ როგორ გავიდე? 2–3 საათია გაჩერებულები ვართ“, – განაცხადა მეორე მძღოლმა. „ქართული ოცნებიდან“ თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გელა სამხარაულის განცხადებით, წინა დღეს, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი აქცია ჩაატარა, თელავში გახსნილი იყო ცენტრთან მისასვლელი ყველა გზა, კვირას კი მათ განაახლეს სამუშაოები. „მიზანი ის არის, რომ ჩვენს მომხრეებს შეუქმნან დისკომფორტი და ხელი შეგვიშალონ აქციის ჩატარებაში“, – განაცხადა დეპუტატობის კანდიდატმა.⁹¹

48. თელავში „ქართული ოცნების“ აქციას შსს–ს და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებიც იღებდნენ – 9 სექტემბერს, თელავში გამართულ „ქართული ოცნების“ აქციას შს და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლებიც იღებდნენ. უახლესი აპარატურით აღჭურვილი პირები საკუთარ ვინაობას არ ამჟღავნებდნენ.

⁹⁰ http://www.youtube.com/watch?v=2etVPGypYkY&feature=player_embedded

⁹¹ http://www.youtube.com/watch?v=Gj3lXIEg1M0&feature=player_embedded

ისინი განსაკუთრებით აქციის მონაწილეებს აღბეჭდავდნენ. ერთ–ერთი ოპერატორი მამუკა ღაღანიძე, რომელიც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელია, მითითებებს პირადად კახეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლისგან გიორგი სიბაშვილისგან იღებდა. აქციაზე დიდი რაოდენობით იყვნენ „info9.com“-ის წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, აღნიშნული გამოცემა პროოპოზიციური სააგენტო „Info9.ge“-ის პარალელურად შეიქმნა და მისი წარმომადგენლები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მითითებებით მუშაობენ.⁹²

49. ყვარელში „ქართული ოცნების“ წევრები დააკავეს – 4 სექტემბერს, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები ლევან ხუციშვილი და ზაზა როსტიაშვილი დააკავეს. „სადამოს, მეგობართან ზაზა როსტიაშვილთან ვიყავი, პურს ვჭამდით. აივანზე ვისხედით, ქუჩიდან ბიჭმა მოგვაცენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზეც ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფით ვუპასუხეთ. ეს ადამიანი არის ბაჩო ნიკოლოზიშვილი, რომელსაც ნათესაური კავშირი აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან. მას პოლიცია გამოუძახებია. უცბად შემოვარდა 4 პოლიციელი და დაგვაკავეს. სასამართლოზე მოსამართლემ 2 მუხლით წაგვიყენა ბრალდება, წვრილმანი ხულიგნობა და დაუმორჩილებლობა, თუმცა დაუმორჩილებლობა არ ყოფილა, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, როგორც შემოვიდნენ, მაშინვე გავყევით. სანქცია ასეთი იყო ან 90 დღე პატიმრობა, ან 400 ლარი ჯარიმა, ჩვენ ჯარიმა ვარჩიეთ და 400 ლარიანი ჯარიმით გაგვათავისუფლეს,“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლევან ხუციშვილმა.⁹³

50. თელავში „თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული ოფისი გაქურდეს – 3 სექტემბერს, თელავში, ქალაქის ცენტრში, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული ორგანიზაციის ოფისი გაქურდეს. როგორც კახეთის საინფორმაციო

⁹² http://www.youtube.com/watch?v=58fnuZpRjZI&feature=player_embedded

⁹³ http://www.youtube.com/watch?v=wuV8MIJv978&feature=player_embedded

ცენტრს პარტიის რეგიონულმა კოორდინატორმა გიორგი მოსიაშვილმა განუცხადა, ოფისიდან წაღებულია კომპიუტერი, რომელშიც მთელი სამუშაო ინფორმაცია ინახებოდა. საქმეს თელავის პოლიცია იძიებს. სამართალდამცავებს ჯერ არავინ დაუკავებიათ.⁹⁴

51. ინციდენტი ლაგოდეხში – ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონაში „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის ინციდენტი მოხდა. „ქართული ოცნების“ წევრების თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე მივიდა, მმართველი პარტიის მტკიცებით კი, შეხვედრა მათ მიერ იყო ორგანიზებული და ხელი კოალიციის წარმომადგენლებმა შეუშალეს. „აი, ამ ხალხით, მაიკა რომ აცვია, მოდის ძალა, რომელსაც უნდა მიგაბრუნოთ ისევ ავტომატიან ხალხად, ძველ სისტემაში დაბრუნება უნდათ, რომ აღარც პენსია გაიცეს, აღარც ხელფასები გაიცეს, აღარც დახმარებები, მტრები ხართ, აბა რა ხართ,“ – მიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გია გოზალიაშვილმა კოალიციის წევრებს. „მე დაგიმტკიცებთ, რომ მტრები ხართ. ეს ხალხი, „ქართული ოცნება“ არის საქართველოს დამოუკიდებლობის მტერი რა, იცოდეთ. უკვე ყველანაირ ზღვარს გადადიხართ“ – განაცხადა ლაგოდეხის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ კაკალაშვილმა. „გაიგეს, რომ ჩვენი შეხვედრა იყო დანიშნული, სასწრაფოდ ჩამოვიდნენ და შეხვდნენ ხალხს. ჩვენი ზონის უფროსი, კოორდინატორები აქ არიან, ამათ გააკეთეს ხალხის მობილიზაცია, მაგრამ აღარ დავძაბეთ სიტუაცია და გამოვერიდეთ,“ – აღნიშნა „ქართული ოცნების“ წევრმა გაგა ლამბაშიძემ.⁹⁵

⁹⁴ http://www.youtube.com/watch?v=UULDowjhY4&feature=player_embedded

⁹⁵ http://www.youtube.com/watch?v=MU7JE3YLZ4&feature=player_embedded

52. ყვარლის გამგებელს ზეწოლაში ადანაშაულებს – ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანში მცხოვრები კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ბერდია გეზელიშვილი ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბესიკ ზანდარაშვილს და სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს თემურ ოსიაშვილს ზეწოლაში ადანაშაულებს. „გამგებელი ბესიკ ზანდარაშვილი მანქანიდან გადმომიხტა და მითხრა, „ქართული ოცნების“ ბუკლეტებს რატომ არიგებო. ვუთხარი, ხომ შეიძლება, რომ ჩემი განსხვავებული აზრი, თუნდაც არ მოგწონდეს, საზოგადოებას გავაცნო მეთქი. რამდენიმე წლის წინ ტყის პატარა ნაწილი გასათბობად გამოიყენეს და შემახსენა, რომ ეს საქმე მკვდარი არ იყო და ჯარიმა ჩემი გადასახდელი გახდებოდა. ბესიკ ზანდარაშვილი სამსახურიდან გათავისუფლებით ჩემს ახლობელსაც დაემუქრა, რომელიც ერთ–ერთ სამინისტროში მუშაობს. მაჟორიტარობის კანდიდატი დავით ქვეხიშვილი მოსახლეობას ხვდებოდა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ სოფლის რწმუნებულმა თემურ ოსიაშვილმა მითხრა, არ გამეკეთებინა ისეთი რაღაც, რომ არჩევნების შემდეგ ბოდიშიც ვერ მიშველიდა. ამის შემდეგ ჩემმა თანასოფელელმა გურამ გეზელიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაცენა და დამემუქრა, რომ ღამე სახლიდან გამომათრევდნენ. ნაციონალებმა მამამისს ძებნილის სტატუსი მოუხსნეს, რომ არჩევნებისთვის ხმები მიუტანოთ“, – აღნიშნა ბერდია გეზელიშვილმა. ინციდენტის ერთ–ერთი ნაწილი თვითმხილველმა დაადასტურა. „გურამ გეზელიშვილი მას დედას აგინებდა და ემუქრებოდა, ამდამ შენ არ გაცოცხლებო“, – აღნიშნა ჭიკაანის მკვიდრმა გულიკო ქვაჭრელიშვილმა. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ზანდარაშვილმა განმარტება არ გააკეთა.

53. „ქართული ოცნებიდან“ თელავის მაჟორიტარობის კანდიდატს საპატრულო პოლიციამ მანქანა ჩამოართვა – „ქართული ოცნებიდან“ თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გელა სამხარაულს საპატრულო პოლიციამ მანქანა ჩამოართვა. ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში, 11 სექტემბერს, საღამოს მოხდა. საგზაო – სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, სამხარაულის მანქანა მსუბუქად დაზიანდა, მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ ჰქონდათ, თუმცა პოლიციამ

მანქანა საჯარიმო სადგომზე მაინც გადაიტანა. გელა სამხარაულის განაცხადებით, სანამ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მის საბუთებს შეამოწმებდნენ, უთხრეს, რომ ჯარიმასაც არ დაუწერდნენ, მას შემდეგ კი რაც მისი ვინაობა გაიგეს, მანქანა საჯარიმო სადგომზე გადაიტანეს. შეგახსენებთ, რომ 10 აგვისტოს, „ქართული ოცნების“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზურაბ ზვიადაურის ძმის სპარტაკ ზვიადაურის მანქანა დაუმორჩილებლობის მოტივით თელავის საჯარიმო სადგურზე გადაიტანეს. მანამდე, გორის საჯარიმო სადგურზე ზურაბ ზვიადაურის მანქანის ძრავში უცნობმა პირებმა ქვიშა ჩაყარეს, რის გამოც მანქანა დაზიანდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში „ქართული ოცნების“ აქტივისტებსა და მხარდამჭერებს საპატრულო პოლიცია მასობრივად აჯარიმებს. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა რამდენიმე ფაქტი გამოიკვლია, რომელიც ლაგოდეხის რაიონში მოხდა და აღმოჩნდა, რომ მძღოლებს საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევიათ, თუმცა პოლიციამ ისინი მაინც დააჯარიმა.⁹⁶

54. „ქართული ოცნებიდან“ დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის N25 საუბნო – საარჩევნო კომისიის წევრი ლედი ნათაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. ნათაძე ოძისის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. „სკოლის პედაგოგებთან ხელშეკრულებები სექტემბერში უნდა გააგრძელებულიყო. მე უკვე გამომიციხადეს, რომ ჩემთან ხელშეკრულებას აღარ გააგრძელებენ. სამსახურიდან მარტო მე გამათავისუფლეს. ყველა დანარჩენ მასწავლებელთან ხელშეკრულება ისევ გრძელდება. სამსახურიდან ჩემი გაათავისუფლება ჩემს პოლიტიკურ პოზიციას უკავშირდება. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 26 აგვისტოს ოძისის N25 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად წარმადგინა. ალბათ, ამიტომ გამათავისუფლეს. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს? გამოცდილი პედაგოგი ვარ, სკოლაში მუშაობის 40–წლიანი სტაჟი მაქვს, საყვედური და შენიშვნა არასოდეს მიმიღია. მართალია, 69 წლის ვარ, მაგრამ სკოლაში ჩემზე უფრო ასაკოვანი მასწავლებლებიც

⁹⁶ http://www.youtube.com/watch?v=dQWBirWKEt8&feature=player_embedded

არიან და ისინი სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ“, – განუცხადა ლედი ნათაძემ მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს. „ჯერჯერობით, არცერთ მასწავლებელთან ახალი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. არ ვიცი, რა იქნება. შემოდის დანამდვილებით გითხრათ, რომ მე და ლედი ნათაძე ან ერთდროულად დავრჩებით სკოლაში სამუშაოდ, ან სამსახურიდან ერთდროულად წავალთ,“ – განმარტა ოძისის საჯარო სკოლის დირექტორმა როენა კვიციანიმა.⁹⁷

55. პედაგოგს სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ – დუშეთის რაიონის სოფელ არღუნის საჯარო სკოლის მასწავლებელს იზო ხუციშვილს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებთან შეხვედრის გამო სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ. „12 აგვისტოს სოფელში „ქართული ოცნების“ დუშეთის შტაბის ხელმძღვანელი თედო კარიაული და კოალიციის სხვა ლიდერები ამოვიდნენ. თანასოფლელებთან ერთად შეხვედრაზე მეც მივედი. იმ შეხვედრაზე ბევრი ხალხი მოვიდა. მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებიც იყვნენ. საუბარს მოჰყვა და თედო კარიაულმა თქვა, მასწავლებლებს კომუნისტების დროს ახლანდელთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალი ხელფასი ჰქონდათ, თქვენს შორის თუ არის ვინმე პედაგოგი, ალბათ, დამეთანხმებაო. იმას, რაც იმ შეხვედრაზე ვთქვი, ახლაც გავიმეორებ: ვთქვი, რომ დღევანდელზე ბევრად მაღალი ხელფასი არც კომუნისტების დროს გვქონდა, მაგრამ გვქონდა სხვადასხვა შეღავათები: ხელფასთან ერთად შემის შესაძენად თვეში 50 ლარს გვაძლევდნენ და თუ ვინმე ქირით ცხოვრობდა, მას ქირის ფულსაც უმატებდნენ. ამ შეხვედრიდან მეორე დღეს არღუნის სკოლის დირექტორი ნანა მჭედლიშვილი ჩემთან სახლში მოვიდა და მკითხა, გუშინ სად იყავი, დუშეთის გამგეობიდან დამირეკეს და მითხრეს, შენი მასწავლებელი გააფრთხილეს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან შეხვედრებს მოეშვას, აგიტაციას თავი დაანებოს და გაჩუმდეს, თორემ შეიძლება სამსახურის გარეშე დარჩესო. არანაირი აგიტაცია არ გამიწევია. რაც იქ ვთქვი, თქვენც მოგახსენეთ. ასეა

⁹⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15571&lang=geo>

მთელი სოფელი დაშინებული. ფაქტობრივად, ხმის ამოღების უფლება არა გვაქვს. რამდენიმე დღის წინ ფოსტალიონმა მითხრა, დუშეთის გამგეობაში, ზურაბ ოტიაშვილთან ვარ დაბარებული. შენზეც მკითხეს, ვინ არის, ვის უჭერს მხარსო. (ზურაბ ოტიაშვილი ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის“ დუშეთის საარჩევო შტაბის უფროსია). 47 წელია სკოლაში ვმუშაობ. დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვარ. მართალია, სკოლაში უკვე გამოვცხადდით, მაგრამ ახალი ხელშეკრულებები ჯერ არ არის გაფორმებული“, – განაცხადა იზო ხუციშვილმა.⁹⁸

56. „მეცხრე არხის“ ჟურნალისტის დედა სამსახურიდან გაათავისუფლეს – ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ კახეთის კორესპონდენტის თეა ალავერდაშვილის დედა ესმა ალავერდაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ესმა ალავერდაშვილი გურჯაანის სამხატვრო სკოლის დირექტორად მუშაობდა. ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, სამხატვრო სკოლის რეორგანიზაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის 57–ე განკარგულების საფუძველზე განხორციელდა. საკრებულომ სამხატვრო სკოლას რეგისტრაცია გაუქმა და ის სამუსიკო სკოლების გაერთიანებას შეუერთა. განკარგულებაში არ არის მითითებული, რატომ გახდა აუცილებელი სამხატვრო სკოლისთვის რეგისტრაციის გაუქმება. 2012 წლის 7 სექტემბერს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა განკარგულება N59, რომლითაც ესმა ალავერდაშვილი სამხატვრო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა. განკარგულებებს ხელს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე სირბილაშვილი აწერს. 2012 წლის 17 აგვისტოდან საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია იაგანაშვილი შვებულებაშია და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს. ესმა ალავერდაშვილის თქმით, სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მისი შვილი თეა ალავერდაშვილი ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ კორესპონდენტია. „სამხატვრო სკოლაში 9 ადამიანი

⁹⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15571&lang=geo>

ვმუშაობდით. დირექტორის გარდა მე პედაგოგადაც ვმუშაობდი. რეორგანიზაციის შედეგად მხოლოდ მე გამათავისუფლეს“, – განუცხადა ესმა ალავერდაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს. სამხატვრო სკოლიდან ის ხელფასის სახით ყოველთვიურად 230 ლარს იღებდა და შრომითი ხელშეკრულება 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით ჰქონდა გაფორმებული. აღსანიშნავია, რომ ესმა ალავერდაშვილი 25 ივლისიდან კუთვნილ შვებულებაში იმყოფებოდა, 29 ივლისს ის შვებულებიდან გამოიძახეს და რეორგანიზაციის დაწყების და სამსახურიდან შესაძლო გაათავისუფლების თაობაზე გააფრთხილეს.⁹⁹

57.16 – 17 სექტემბერს, დედოფლისწყაროში, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან უცნობმა პირებმა იარაღიდან ოთხჯერ გაისროლეს. ირაკლი ღარიბაშვილის მშობლებმა პოლიციას იმ ავტომობილების ნომრებიც მიაწოდეს, საიდანაც გასროლა მოხდა, თუმცა სამართალდამცავებს ამ დრომდე არავინ დაუკავებიათ. „16 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე შემომესმა დაახლოებით 4 გასროლის ხმა. მაშინვე გამოვედი აივანზე და დავინახე მანქანა, რომელიც წავიდა ქალაქის მიმართულებით. მძღოლის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ბიჭი დავინახე. მანქანა მწვანე ფერის იყო, ნომერი LEL – 188. პოლიცია გამოვიძახეთ, მოვიდნენ, ტერიტორია დათვალიერეს, მაგრამ „გილზეები“ ვერ იპოვეს. ახსნა–განმარტება მივეცი, მეზობელმა მიხეილ ბახუტაშვილმაც დაუდასტურა, რომ მასაც შემოესმა სროლის ხმა, მაგრამ გარეთ არ გამოუხედავს. მეორე დღეს, 16:50 საათზე 4 გასროლის ხმა როგორც შემომესმა, მაშინვე გამოვედი გარეთ და დავინახე ყვითელი მარშუტკა, თეთრი თავსახური ჰქონდა, საკმაოდ ახალი იყო ვიზუალურად. დიდი სიჩქარით გაიქცა და ნომერი ვერ დავინახე,“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი ღარიბაშვილის დედამ მარინა ყორანაშვილმა. ტარიელ ღარიბაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სოფელ წითელწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად

⁹⁹ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

მუშაობდა, საიდანაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ გაათავისუფლეს. ამჟამად ტარიელ ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.¹⁰⁰

58. ყაზბეგში 2 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადადგა – 3 სექტემბერს მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სტეფანწმინდის N1 და სტეფანწმინდის რაიონის სოფელ ახალციხის N4 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა, გივი ხუციშვილმა და ნონა გუჯარაიძემ პირადი განცხადების საფუძველზე თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადეს. უარის თქმის მიზეზად მათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაასახელეს. „სტეფანწმინდის N 1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა გამირთულდა. გამოკვლევაზე უნდა წავიდე. ყოველდღიურად ჩემი კომისიაში ყოფნა და დატვირთვა შეიძლება არ ყოფილიყო კარგი. ამიტომ, მივიღე გადაწყვეტილება, რომ კომისიის თავმჯდომარეობიდან გადავმდგარიყავი,“ – განაცხადა გივი ხუციშვილმა. კომისიის თავმჯდომარეობაზე უარის თქმის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაასახელა ახალციხის N4 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნონა გუჯარაიძემაც. გივი ხუციშვილი და ნონა გუჯარაიძე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებად 26 აგვისტოს აირჩიეს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებად არჩევის დროს არცერთ მათგანს არ უთქვამს, რომ მათ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა ჰქონდათ. მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, კომისიის თავმჯდომარეებმა ხელისუფლებისგან მიღებული დავალებების შესრულებაზე უარი თქვეს და კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა ამიტომ დატოვეს.¹⁰¹

¹⁰⁰ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹⁰¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15571&lang=geo>

59. სტეფანწმინდაში „ქართული ოცნების“ პლაკატები გადაღებეს – 5 სექტემბერს სტეფანწმინდაში დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა „ქართული ოცნების“ პლაკატები გადაღებეს. ამის შესახებ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ სტეფანწმინდის შტაბის უფროსმა შალვა ელოშვილმა განუცხადა. „დაბა სტეფანწმინდაში „ქართული ოცნების“ ყველა ის პლაკატი, რომელიც თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული, თეთრად გადაღებეს. უშუალოდ ჩვენ ამ ფაქტს არ შევსწრებივართ, მაგრამ ვიცით, რომ პლაკატები დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა გადაღებეს,“ – აღნიშნა ელოშვილმა. „პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლაკატები გაკრული იყო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოყოფილ ადგილებში. კანონით, საარჩევნო პლაკატების დაზიანება დაუშვებელია. ეს არის საარჩევნო კანონის 46-ე მუხლის დარღვევა,“ – განაცხადა „ქართული ოცნების“ სტეფანწმინდის შტაბის იურისტმა მანანა მარსაგიშვილმა. მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს სამმა თვითმხილველმა დაუდასტურა, რომ „ქართული ოცნების“ პლაკატები ნამდვილად დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა გადაღებეს. სტეფანწმინდის დასუფთავების სამსახურის უფროსმა ელგუჯა ალიბეგაშვილმა განმარტება არ გააკეთა.¹⁰²

60. წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლის მცდელობა – თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა, „ქართული ოცნებიდან“ თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზაქარია ქუცნაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლა სცადეს. შეხვედრაზე სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურებით მივიდნენ. მათთან ერთად იმყოფებოდა პოლიციის ყოფილი თანამშრომელი ალიკა ფიცხელაურიც, რომელიც ზაქარია ქუცნაშვილს არ აძლევდა საშუალებას, ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პროგრამა გაეცნო. „დაჩის ზღაპრების პირველი ტომი დაამთავრა. რას ჰქვია გავჩერდე, შენ ვინა

¹⁰² http://www.youtube.com/watchfeature=player_embedded&v=VYPuVZKliwk

გკითხავს. მე არავის ნერვებს არ ვუშლი. შენა გკითხო მე სად მოვიდე და წავიდე? საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყველას აქვს უფლება თავისი აზრი გამოხატოს. მე არც ვჩხუბობ და არც არავის ზედმეტ სიტყვას არ ვაკადრებ“, – მიმართა ალიკა ფიცხელაურმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს. „უკვე კადრულობთ აქ ისეთი სიტუაცია შექმენით. მოგვეცი საშუალება, რომ მოვუსმინოთ მაჟორიტარობის კანდიდატს. შენს რეპლიკებს ვუსმინოთ?“, – აღნიშნეს ამომრჩევლებმა. ცნობისათვის, სამართალდამცავი ორგანოები ამ დრომდე არ დაინტერესებულან აგტვისტოში, თიანეთის რაიონის სოფელ დულუზაურებში მომხდარი ხულიგნობის ფაქტით. ბადურ ფოლადიშვილმა, რომელიც სავარაუდოდ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტია, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და სააგენტო „ინფო9“-ის ჟურნალისტები უცენზურო სიტყვებით აგინა. ფოლადიშვილი ერთ-ერთ უბანში, სადაც „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩევლებს უნდა შეხვედროდა, ისეთი სისწრაფით მოძრაობდა, იყო საშიშროება, რომ მანქანა ვინმესთვის დაეჯახებინა. ბადურ ფოლადიშვილი სოფელ დულუზაურებში ორ პირთან ერთად იმყოფებოდა. მისი გაღიზიანება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ „ინფო 9“-ის კამერამ დააფიქსირა. „რას მიღებ, გინდა ჩავიხადო და განახო ეხლა მართლა? შე ნაგლო შენა, ახვარო,“ – მიმართა ფოლადიშვილმა „ინფო 9“-ის ჟურნალისტებს.¹⁰³

61. „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შეურაცხყოფა მიაყენეს – 7 სექტემბერს, ინციდენტი მოხდა დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურში. სოფლის ცენტრში შეკრებილ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს წითელი ფერის „ჯიპში“ მყოფმა ახალგაზრდებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მანქანა, რომლითაც ახალგაზრდები გადაადგილდებოდნენ, დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის გამგებელს ნუგზარ ლაფანაშვილს ეკუთვნის. „ჩვენი აქტივისტები ბულაჩაურის ცენტრში, მაღაზიის წინ იდგნენ. იმის გამო, რომ „ქართული ოცნების“ მაისურები ეცვათ, ელდარ იარაჯულს და ლადო ზურაბაშვილს წითელი ფერის ავტომობილში

¹⁰³ http://www.youtube.com/watchfeature=player_embedded&v=goa7qeRqDb4

მსხდომმა ახალგაზრდებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მანქანაში მსხდომი ახალგაზრდები ამოიცივნეს. სამივე მათგანი ჭოპორტში ცხოვრობს. წითელი ფერის მანქანა კი, რომლითაც ახალგაზრდები გადაადგილდებოდნენ, დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის გამგებელს ნუგზარ ლაფანაშვილს ეკუთვნის“ – განაცხადა „ქართული ოცნების“ კოორდინატორმა ნინო ხარანაულმა. მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ნუგზარ ლაფანაშვილმა ბრალდება უარყო.¹⁰⁴

62. „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის უფროსმა „ინფო 9“-ის ოპერატორს დაარტყა – ყაზბეგში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროსმა გურამ ჯამარჯაშვილმა, სააგენტო „ინფო9“-ის ოპერატორს ავთო სუჯაშვილს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაარტყა. „ინფო9“-ის ოპერატორი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 9 სექტემბერს, მცხეთაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყრიობაზე ხალხის გაგზავნას იღებდა. „რატომ უშლი ხალხს ნერვებს“, – მიმართა „ინფო9“-ის ოპერატორს გურამ ჯამარჯაშვილმა და ოპერატორს სახეში დაარტყა. გურამ ჯამარჯაშვილი კომენტარს არ აკეთებს.¹⁰⁵

63. პარლამენტის წევრმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ცემა – 22 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სიღნაღის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუგზარ აბულაშვილმა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გელა და ვახტანგ დარჩიაშვილები ცემა. ნუგზარ აბულაშვილი ამ დროისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ სიღნაღის მაჟორიტარობის კანდიდატის ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს. ცემის შედეგად გელა დარჩიაშვილმა სხეულის დაზიანებები მიიღო. მას სამედიცინო დახმარება წნორში, „არქიმედეს“ კლინიკაში აღმოუჩინეს. „ქართული ოცნების“ ოფისში მივდიოდი. პოლიციის შენობის გვერდზე იდგა ნუგზარ აბულაშვილი რამდენიმე კაცთან ერთად.

¹⁰⁴<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15571&lang=geo>

¹⁰⁵<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15571&lang=geo>

დამიძახა, აბა ერთი წუთით მოდიო. მივტრიალდი, რა ხდება მეთქი და ახლოს მოდიო. მივედი, რა არის მეთქი და შენო 5 000 ხომ ჩაგირიცხეს ლეროვანი უჯრედის გადანერგვა რომ გაიკეთეო? კი მეთქი და მერე მე შენო, გინება დამიწყო. ეხლა ოცნების მაიკა უნდა გეცვასო? ამის შემდეგ დამარტყა. ჯერ ჩემს ძმას დაარტყეს, იქით გაათრიეს, მერე მე დამარტყეს. თვითონ ნუგზარმა დამარტყა. წამაქციეს და სულ წიხლები მირტყეს, ღვიძლი გამოგისწორეთო და ღვიძლი უნდა ჩაგიშალოთო, ისევ წიხლებს მირტყამდნენ. მერე ჩვენი ბიჭები დაინახეს, ზემოდან მოდიოდნენ, ჩასხდნენ მანქანაში და გაიქცნენ. ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, ვეღარ დავთვალე“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გელა დარჩიაშვილმა. „არქიმედეს“ კლინიკის ხელმძღვანელის ნუკრი ყარალაშვილის თქმით, გელა დარჩიაშვილს გამოკვლევები ჩაუტარდა. მას რამდენიმე ადგილზე მსუბუქი დაჟეჟილობა აქვს. დარჩიაშვილი კლინიკიდან იმავე დღეს გაწერეს. პარლამენტის წევრმა ნუგზარ აბულაშვილმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. განმარტების გაკეთებაზე უარი თქვა „ნაციონალური მოძრაობის“ კახეთის კოორდინატორმა გიორგი ბოტკოველმაც. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას სიღნაღის პოლიცია აწარმოებს. სამართალდამცავებს ფაქტთან დაკავშირებით არავინ დაუკავებიათ.¹⁰⁶

64. გურჯაანში 6 ახალგაზრდა ცემეს – 23 სექტემბერს, ღამით, გურჯაანში ცემეს კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დაჩი დათუაშვილი, გიორგი კახიძე, ნიკა ჯოხაძე, ვიტალი ხატიაშვილი და გიორგი გერგიძე. „დაახლოებით 24:00 საათისთვის, გურჯაანის ერთ–ერთ უბანში, კოტეხში ვამოწმებდით „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის საარჩევნო პლაკატებს, რომელიც წინა დღეს ჩამოხიეს. ჩვენ ჩამოხეული პლაკატები უნდა გამოგვეცვალა და ამავე დროს უნდა გამოგვევლინა ის პირები, ვინც პლაკატებს ხევდნენ. ამ დროს გაჩერდა თეთრი ფერის მიკროავტობუსი სახელმწიფო ნომრით DIT-022 და ორი მსუბუქი ავტომანქანა,

¹⁰⁶ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

საიდანაც გადმოვიდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ჯემალ სეფიაშვილი, მიშო ღვინიაშვილი, თორნიკე სიბაშვილი და სხვები, სახელი არ ვიცით, თუმცა ამოცნობა შეგვიძლია. მათ დაგვიწყეს ცემა, ლანძღვა – გინება, რაც ჩვენ კამერით დავაფიქსირეთ. მათ თან ჰქონდათ ე.წ. ბეისბოლის ჯოხები. იძულებულები გავხდით იქაურობა დაგვეტოვებინა. „ქართული ოცნების“ ოფისში რომ მივედით, ოფისის წინ მოძრაობდნენ ავტომანქანები BUM-100 და ასევე BMW–ს მარკის ავტომანქანა, საიდანაც გვაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის შემდეგაც ჩვენს ავტომანქანას „ფორდ ტრანზიტს“ სახელმწიფო ნომრით GVG-304 დაუზიანეს ორი საბურავი, დანით დაჭრეს“, – განაცხადა „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის ახალგაზრდული მოძრაობის ხელმძღვანელმა დაჩი დათუაშვილმა. ცემის შედეგად ახალგაზრდებს სხეულის დაზიანებები არ მიუღიათ.

24 სექტემბერს, დაახლოებით 12:00 საათზე, გურჯაანში, კურორტ „ახტალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხნენ „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის ახალგაზრდული მოძრაობის წევრს ნიკა პატარქლიშვილს. თავდასხმის შედეგად ნიკა პატარქლიშვილმა თავის ტვინის შერყევა მიიღო. გურჯაანის სამედიცინო ცენტრში ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა. დაზარალებული მკურნალობის კურსს გადის. „ქართული ოცნებიდან“ გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მანანა ბერიკაშვილის განცხადებით, ახალგაზრდები, რომლებმაც „ქართული ოცნების მხარდამჭერები ცემეს, ჩინოვნიკების ნათესავები და საჯარო მოსამსახურეები არიან. „ესენი არიან ოთარ იმერლიშვილი – გურჯაანის გამგეობის თანამშრომელი, გურჯაანის კომუნალური სამსახურის უფროსის დავით აბაზაშვილის შვილი; მიშიკო ღვინიაშვილი („ნაციონალური მოძრაობიდან გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის ბიძაშვილის შვილი), ჯემალ სეფიაშვილი, თემურ ბუწაშვილი – გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების სპეციალისტი და თორნიკე სიბაშვილი, რომელიც კახეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი სიბაშვილის ძმის შვილი და გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილის

გოჩა სიბაშვილის შვილია“, – განაცხადა მანანა ბერიკაშვილმა. ახალგაზრდების ცემის ფაქტზე გამოძიება გურჯაანის პოლიციამ დაიწყო. გამომძიებელმა დაკითხა მანანა ბერიკაშვილი და „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის უფროსი გიგა ბერაძე. არ დაუკითხავთ დაზარალებული ახალგაზრდები.¹⁰⁷

65. 28.09.2012 - ოზურგეთის სასამართლომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი თამარ მაღაზონია 2000 ლარით დაუსწრებლად დააჯარიმა. მოსამართლე ლევან ნუცუბიძემ მაღაზონია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის 45 მუხლით და საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად დააჯარიმა.

ჯარიმა მაღაზონიამ 30 დღის ვადაში უნდა გაიხადოს. იგი აცხადებს, რომ ეს ჯარიმა მისი, როგორც საჯარო მოხელის მხრიდან პოლიტიკური აგიტაციის გაწევას მოჰყვა: „ჩემს მიერ „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ოფისში გამართული ბრიფინგი ჩათვალეს საჯარო მოხელის მხრიდან აგიტაციის გაწევად და დამაჯარიმეს ისე, რომ სასამართლო პროცესს არც დავსწრებივარ“.¹⁰⁸

66. არათანაბარი პირობები პარტიებისთვის - ოპოზიციური პარტიის ოფისი რეგიონში პრობლემასთან ასოცირდება. მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნოდ რუსთავში 10 ახალი ოფისი გახსნა. ქალაქის ყველა უბანში პარტიის სახელწოდებით, დროშებით და ხუთაინებით გაფორმებული შტაბები ამუშავდა.

როგორც მოგვეხსენება, სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საარჩევნო მართონში ჩართული პარტიებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემაა. ის, რომ ეს პრინციპები რეგიონებში (და არა მარტო რეგიონებში) ირღვევა, სხვადასხვა საკითხებში ჩანს. ერთ-ერთი ასეთი თემა სწორედ, პარტიული ოფისებია.

¹⁰⁷ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹⁰⁸ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15622&lang=geo>

ოპოზიციისთვის ოფისების დაქირავება აბსოლუტურად ყველა რეგიონში პრობლემად იქცა. მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ერთბაშად 10 ოფისს ხსნის, კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდაბნის შტაბი საუბრობს იმ მიზეზებზე, რის გამოც გარდაბნელებმა მათ სახლი არ მიაქირავეს.¹⁰⁹

67. პოლიცია კახეთში „ქართული ოცნების“ წევრებს მასობრივად აჯარიმებს. პოლიციის თანამშრომლები კახეთში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებს მასობრივად აჯარიმებენ. ლაგოდეხში მცხოვრები მერაბ ივანაშვილი სამართალდამცავებმა ორი დღის განმავლობაში სამჯერ, სულ 340 ლარით დააჯარიმეს.

„ლაგოდეხიდან სოფელ ულიანოვკაში მივდიოდით სამი – ოთხი მანქანით, სულ ბოლოს მე მივდიოდი. სარკეში ვხედავდი, რომ უკან პოლიციის მანქანა მომყვებოდა. არაფერი დამიშავებია. 60-ით მივდიოდი. უცებ პოლიციის მანქანამ გადამისწრო და გაჩერება მომთხოვეს. პოლიციის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ ღერძულა ხაზი გადავკვეთე, რაც არ გამიკეთებია. მანქანაში 5 ადამიანი იჯდა. ყველა დამემოწმა, რომ მოძრაობის წესები არ დამირღვევია, მაგრამ 200 ლარიანი ჯარიმა მაინც დამიწერეს. 7 აგვისტოს, სოფელ კავშირში, ბენზინგასამართ სადგურთან ისევ გამაჩერეს და ისევ ჯარიმა დამიწერეს, 100 ლარიანი. ღერძულა ხაზი გადავკვეთეო. არც ამჯერად გადამიკვეთავს, რადგან ვხედავდი, რომ პოლიციის მანქანა მომყვებოდა. მეორე დღეს ლაგოდეხში ვიყავი, „ქართული ოცნების“ ოფისში. იქიდან რომ გამოვედი, დავჯექი მანქანაზე და სოფელში წამოვედი. პოლიცია ამედევნა, გამაჩერეს. მანქანაში სხვა მგზავრებიც იყვნენ. უსაფრთხოების ღვედი გადაჭერილი გვქონდა, მაგრამ პოლიციამ, არ გქონდათო. 40 ლარიანი ჯარიმა დამიწერეს“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მერაბ ივანაშვილმა.

პოლიციის თანამშრომლებმა ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წევრი კახაბერ კველიშვილი 400 ლარით დააჯარიმეს. კველიშვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არასწორი გასწრების მიზეზით ორჯერ შეუდგინეს.

¹⁰⁹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15459&lang=geo>

„პოლიციის თანამშრომლებს ვუთხარი, გასწრება არ გამიკეთებია საერთოდ და უკანონოდ მაჯარიმებთ მეთქი. ჩვენ ოქმს შევადგენთ და შენ სადაც გინდა იქ იდავეო, მითხრეს“, – აღნიშნა კახაბერ კველიშვილმა.

ლაგოდებში 100 ლარით დააჯარიმეს „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წევრი გია ბიწაძე. „ღერძულა ხაზის გადაკვეთაში დამადანაშაულეს, არადა არ გადამიკვეთავს, მაგრამ როგორ დავუმტკიცებ?“, – ამბობს ბიწაძე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლებმა 5 და 9 აგვისტოს, კოალიცია „ქართული ოცნების“ თელავის შტაბის წევრი ლევან ხვისტიანიც დააჯარიმეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მას ავტომანქანის ბუნებრივ აირზე გადაყვანის საბუთის არქონის და მოძრაობის წესების დარღვევის მიზეზით შეუდგინეს.

„ქართული ოცნების“ წევრების მასობრივ დაჯარიმებასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოში და შსს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში კომენტარს არ აკეთებენ.

არც ერთ დაჯარიმებულს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სასამართლოში არ გაუსაჩივრებია. მათი თქმით, გასაჩივრებას აზრი არ აქვს, რადგან არაფერი იცვლება.

სტატისტიკური მონაცემებით, 2010 – 2011 წლებში, თელავის, გურჯაანის და ყვარლის რაიონულ სასამართლოებს პოლიციის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით შედგენილი არცერთი ოქმი არ გაუუქმებია.¹¹⁰

68. „ქართული ოცნების“ კოორდინატორებს ახლა უკვე პოლიციაში იბარებენ. იმ დროს, როდესაც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ მოუწოდებენ, „ქართული ოცნების“ წევრებზე ზეწოლა გრძელდება. For.ge-ს კოალიციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი ვარლამ

¹¹⁰ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15318&lang=geo>

ხათრიძე დაუკავშირდა, რომელმაც კოალიციის წევრების დაშინებისა და ზეწოლის კონკრეტული ფაქტების შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია.

ხათრიძის თქმით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გარდა, კოალიციის წევრებსა და მხარდამჭერებს ახლა უკვე პოლიციის სამმართველოებში იბარებენ დასაკითხად და იქ მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას ცდილობენ. For.ge ვარლამ ხათრიძეს ესაუბრა.¹¹¹

69. მმართველ პარტიას - „ნაციონალურ მოძრაობას“ უპოვარი ადამიანებიც კი რამდენიმეათეულათასობით ლარს სწირავენ და ამაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყურსაც არ იბერტყავს. სამაგიეროდ, სხვა პარტიების შემომწირულობებს გამადიდებელი შუშით აკვირდება და სანქციებსაც მაშინვე მიმართავს.

განსაკუთრებული სიმძაფრით სახელმწიფო აუდიტის სამსახური კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველებს ებრძვის და მათი ქონების დაყადაღება და გაყიდვა უკვე წესად ექცა. ქონებას უყადაღებენ არა მხოლოდ დიდი თანხის, არამედ მცირედის შემომწირველ მოქალაქეებსაც. ასე დაემართა ფოთში „ქართული ოცნების“ საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბესო ჯოჯუას.

ბესო ჯოჯუამ საკაბელო ტელევიზიაში შეუკვეთა მორბენალი სტრიქონი, რომლითაც ფოთელებს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ეკა ბესელიას წარდგენის დროსა და ადგილს აცნობდა. მან ამ რეკლამაში ათი ლარი გადაიხადა, რამაც აუდიტის სამსახურის მიერ მისი პერსონით დაინტერესება გამოიწვია და თანხის წარმომავლობის გასარკვევად ჯოჯუა მოწმის სახით დაიბარეს.¹¹²

70. საქველმოქმედო ფონდი „ქომაგი“, განცხადებების საფუძველზე, მოქალაქეებს შუამდგომლობდა, მიეღოთ ფინანსური დახმარება ქართველი ემიგრანტებისგან.

მოქალაქეები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, ან ითვლებიან სიღარიბის ზღვარს მიღმა, მიმართავდნენ ფონდ „ქომაგს“, რომელიც,

¹¹¹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15491&lang=geo>

¹¹² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15498&lang=geo>

თავის მხრივ, უკავშირდებოდა საზღვარგარეთ მყოფ შეძლებულ ემიგრანტებს. ემიგრანტები თანხას რიცხავდნენ მოქალაქეების ანგარიშებზე, რომლებმაც „ქომაგს“ მიმართეს. აღსანიშნავია, რომ იმ პირებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, მხოლოდ ხელფასის ოდენობის თანხა ერიცხებოდათ. ივნისში ჩარიცხული თანხა მაშინვე დაყადალდა და ანგარიშის მფლობელები შსს-ს სხვადასხვა სამმართველოში დაიბარეს დასაკითხად. მათ კითხავდნენ მოწმის სტატუსით სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით, რაც ფულის გათეთრებას ეხებოდა.

ფონდ „ქომაგის“ იურისტის, შალვა შავგულიძის თქმით, დასაკითხად დაბარებულთა შორის ისეთი მოქალაქეებიც აღმოჩნდნენ, რომელთა ანგარიშზე თანხა არც ჩარიცხულა და მიუხედავად ამისა, ანგარიშები მაინც დაყადალდა. მათ შორის ერთ-ერთი მოხუცებულის საპენსიო ანგარიშიც მოხვდა.

მოქალაქეებმა, რომლებსაც არ მიეცათ საშუალება, გამოეყენებინათ დახმარება, დაკითხვის შემდეგ თხოვნით მიმართეს ახლობლებს, რათა ამჟამად მათ ანგარიშებზე ჩარიცხულიყო თანხა. მართალია, მოსალოდნელი იყო, რომ ამ პირების ანგარიშებიც დაყადალდებოდა, მაგრამ გასაჭირში მყოფი მოქალაქეები რისკზე წავიდნენ.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ალექსანდრე მშვიდლობაძე 7 სექტემბერს დაიბარეს დასაკითხად. მის უფლებებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი ნესტან ლონდარიძე იცავს. ალექსანდრე მშვიდლობაძე პენსიონერია, ჰყავს მოხუცი მშობლები, ასევე - და, რომელიც ოჯახის ერთადერთი ფინანსური წყაროა. რამდენიმე თვის წინ მის დას დაუყადალეს ანგარიში „ქომაგთან“ კავშირის გამო. ამჟამად საქველმოქმედო ფონდს დახმარებისათვის ძმამ მიმართა. 7 სექტემბერს ჩარიცხული თანხა იმ დღესვე დაყადალდა იმავე ბრალდებით - ფულის გათეთრების მცდელობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი ნესტან ლონდარიძე აცხადებს, რომ ამ საქმეში ფულის გათეთრების არანაირ მცდელობას არა აქვს ადგილი. იურისტის განმარტებით, ფულის გათეთრება ნიშნავს გადმორიცხული თანხის სხვაგან გადარიცხვას პროცენტის დატოვებით. შესაბამისად, ეს ბრალდება სრულიად

უსაფუძვლოა, რადგან დაყადაღებული ანგარიშების მფლობელებს ეს თანხა საკუთარი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სჭირდებოდათ. ამავე დროს, მათ ეს თანხა არსად არ გადაურიცხავთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ანგარიშები დაყადაღებული ჰქონდათ. გარდა ამისა, ქველმოქმედება კანონს არ ეწინააღმდეგება. *„ყველაზე დიდი დარღვევა ის არის, რომ მოქალაქეები უკიდურესი გაჭირვების ზღვარზე არიან და მათ ეხმარება გარკვეული კატეგორიის ხალხი. ხელისუფლება კი დახმარებას ამ ადამიანებამდე არ უშვებს“*, – აცხადებს ნესტან ლონდარიძე.

იურისტის თქმით, დარღვევა კიდევ ის არის, რომ მოქალაქეებს დაკითხვის შესახებ არანაირი წინასწარი შეტყობინება არ მიუღიათ.

ამ დროისათვის ფონდ „ქომაგთან“ დაკავშირებული მოქალაქეების ყველა ანგარიში დაყადაღებულია.¹¹³

71. კოალიცია „არჩვენის თავისუფლებისთვის“ განცხადება - პოლიცია პოლიტიზებულია. „31.07.2012 - კოალიცია „არჩვენის თავისუფლებისთვის“ წევრებმა მოვიპოვეთ ლანჩხუთის პოლიციის თანამშრომლის, შმაგი ურატაძის კუთვნილი ჩიპი, რომელშიც ჩაწერილი სხვადასხვა ინფორმაცია და მოხსენებითი ბარათები ადასტურებს, რომ პოლიცია უხეშად და უკანონოდ ერევა წინასაარჩევნო პროცესში.

ამ მასალებით ირკვევა, რომ პოლიცია სასამართლოს სანქციის გარეშე აწარმოებს თვალთვალს და აგროვებს ინფორმაციას სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების პოლიტიკური შეხედულებების, ოპოზიციის ადგილობრივი ლიდერების, საჯარო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების, მათ შორის, ამ ადამიანების პერსონალური მონაცემების (პირადი ნომრები, ტელეფონის ნომრები) თაობაზე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ პოლიციის მიერ შეგროვებულ ინფორმაციაში ცალკეა გამოყოფილი იმ ადამიანთა მონაცემები, რომელთაც უყენიათ სატელიტური თევშები, ოპოზიციის ადგილობრივი ლიდერი, რომელიც

¹¹³ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15507&lang=geo>

„ხელმძღვანელობს ანტენების შემოტანას“, აგრეთვე, ერთ-ერთი ოპოზიციური გაერთიანების, „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ”კომპანიაში დასაქმებული პირების” ვინაობა. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პოლიციელი ურატაძე ამ „შრომატევად“ სამუშაოს ასრულებდა არა საკუთარი ინიციატივით, არამედ თავისი ხელმძღვანელობის დავალებით. თუკი აღნიშნული ფაქტი დადასტურდება, ეს იქნება მტკიცებულება იმისა, რომ ძალოვანი უწყება ეწევა ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას და, ფაქტობრივად, ასრულებს პოლიტიკური პოლიციის ფუნქციას, რომელიც ემსახურება არა კანონის დაცვას, არამედ მმართველი პარტიის ინტერესებს.

ჩვენ გადავამოწმეთ პოლიციელ შმაგი ურატაძის მიერ მოგროვებული ინფორმაციის ნაწილი, რის შედეგადაც დადასტურდა პოლიციელის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ნამდვილობა. კოალიციას არ გაგვაჩნია არც შესაძლებლობა და არც უფლებამოსილება, ჩავატაროთ სრულფასოვანი გამოძიება პოლიციელის ქმედებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს მასალა ვერ ჩაითვლება პოლიციის უკანონო საქმიანობის უტყუარ მტკიცებულებად. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობიდან, საქართველოში არსებული წინასაარჩევნო გარემოს თაობაზე ქართული და საერთაშორისო საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ჩავთვალეთ საჭიროდ, ჩვენამდე მოსული მასალა თითქმის უცვლელი სახით (გარდა ჩიპში არსებული მოქალაქეების პერსონალური ინფორმაციისა) გაგვეხადა საჯარო.

მივმართავთ უშიშროების საბჭოს უწყებათაშორის კომისიას: მასალაში არსებული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი სასწრაფო შესწავლა. ბუნებრივია, შეუძლებლად მიგვაჩნია, ასეთი გამოძიების ჩატარება დაევალოს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, რადგანაც ზემოაღნიშნულ ინფორმაციაში საუბარია სწორედ მათ უკანონო, ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაზე. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ საგამოძიებო ორგანოებისთვის ელექტრონული ჩიპის გადაცემის შემთხვევაში არ მოხდება მასზე არსებული ინფორმაციის

განადგურება ან შეცვლა. ამიტომ მოგმართავთ წინადადებით, უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის და დადებს აღნიშნულ საკითხზე თავის დასკვნას. ხოლო ჩვენ მზად ვართ, ასეთ კომისიას გადავცეთ აღნიშნული ჩივი და ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.“¹¹⁴

72. „ამომრჩეველთა ლიგის“ წინააღმდეგ განხორციელებულ შეზღუდვები. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე 2012 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმად, ააიპ „*მოდრაობა ამომრჩეველთა ლიგა*“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ცნო „*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ*“ საქართველოს ორგანული კანონის 261 მუხლით განსაზღვრული მონიტორინგის სუბიექტად. შესაბამისად, მასზე გავრცელდა ორგანული კანონით დადგენილი შეზღუდვები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეს გადაწყვეტილება, როგორც განცხადებიდან ირკვევა, გამომდინარეობს „ააიპ „*მოდრაობა ამომრჩეველთა ლიგის*“ საქმიანობიდან, ასევე საჯაროდ გაცხადებული მიზნებიდან და ამოცანებიდან...“ როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებაშია აღნიშნული, ააიპ „*მოდრაობა ამომრჩეველთა ლიგის*“ „*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ*“ საქართველოს ორგანული კანონის 261 მუხლით განსაზღვრული მონიტორინგის სუბიექტად ცნობის ძირითად მოტივს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი მიზნები და ამოცანებია: „*გაერთიანდნენ სახელისუფლო მონოპოლიისაგან, უსამართლობითა და სიცრუით გამოწვეული უიმედობისგან გასათავისუფლებლად... გაერთიანდნენ, რათა შეაჩერონ ხელისუფლების ბატონობა პიროვნებაზე, დაიცვან საკუთარი ღირსება, თავისუფლება და მომავალი*“. აგრეთვე, ის, რომ „*ამომრჩეველთა სიების დაზუსტების ეგიდით მიმდინარე აქტივობას, რისთვისაც ორგანიზაცია*

¹¹⁴ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15289&lang=geo>

ფინანსურ რესურსებს იყენებს, თან ახლავს მკაფიოდ პოლიტიკური შინაარის განცხადებები, რაც ქმნის ფონდის მიზნებისა და ამოცანების პირდაპირ მიმართებას პოლიტიკურ და საარჩევნო მიზნებთან და საქმიანობასთან. ამასვე მიუთითებს ფონდის ხელმძღვანელი პოლიტიკურად აქტიური პირების საჯარო გამოსვლები, რომლებიც თავიანთ ქმედებებში ცდილობენ, მოახდინონ საკუთარი პოლიტიკური და საარჩევნო მიზნების კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რაც იწვევს ორგანიზაციის საქმიანობის პოლიტიკური ნიშნით აღქმადობას“.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 261 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „პარტიისთვის ამ თავით დადგენილი შეზღუდვები ვრცელდება პირზე, რომელსაც აქვს გაცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს“.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგიიდან ირკვევა, რომ „გაცხადებული საარჩევნო მიზანი... შეიძლება განიმარტოს, როგორც პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის განზრახვა, პოლიტიკური რეალობის შეცვლის ან შენარჩუნებისაკენ მისწრაფება, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების, ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი“.

ამრიგად, იმისათვის, რათა კონკრეტულ პირს ჰქონდეს ე.წ. „გაცხადებული საარჩევნო მიზანი“, მისი მოქმედება მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენისაკენ, არამედ, აგრეთვე, უნდა იკვეთებოდეს კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების, ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებაში აღნიშნული არც ერთი მიზეზი არ განეკუთვნება ორგანული კანონის 261 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სფეროს.

ჩვენ მოვუწოდებთ სახელწიფო აუდიტის სამსახურს, რათა უფრო დამაჯერებლად წარმოადგინოს სამართლებრივი დასაბუთება და კონკრეტული ფაქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეწყვიტოს „*მოდრაობა ამომრჩეველთა ლიგის*“ წინააღმდეგ განხორციელებული, ან მომავალში განსახორციელებელი მოქმედებები.

ეს ფაქტი, ასევე მოხვდება ადამიანის უფლებათა ცენტრის, როგორც არჩევნებზე დამკვირვებელი ადგილობრივი ორგანიზაციის შესაბამის ანგარიშში და ეს ინფორმაცია მიეწოდება საერთაშორისო დამკვირვებლებსა და საზღვარგარეთის საელჩოებს.¹¹⁵

73. ოპოზიციური აქტივისტების დაკავებები. არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე, კერძოდ 21 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, პოლიციის მიერ განხორციელდა ძირითადი ოპოზიციური კოალიციის - „ქართული ოცნების“ აქტივისტების მასიური დაკავებები, ძირითდად ერთმანეთი ანალოგიური შინაარსის - წვრილმანი ხულიგნობის მოტივით.

შმაგი ბერიძე – 21 სექტემბერს, საგარეჯოში დააკავეს. „ქართული ოცნებიდან“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, სოფელ კოჭლაანში ამომრჩეველთან შეხვედრაზე რამდენიმე ახალგაზრდა იმყოფებოდა, რომელთაგან ერთ-ერთმა „ნაციონალური მოძრაობის“ მაისური გაიხადა და სანაცვლოდ „ქართული ოცნების“ მაისური ჩაიცვა. „პოლიცია კი დღეს აცხადებს, რომ ახალგაზრდას მსგავსი საქციელი შმაგი ბერიძე იმყოფებოდა. სინამდვილეში, არავითარ იძულებას ადგილი არ ჰქონია“, - განაცხადა ხიდაშელმა. სასამართლომ ბერიძე იმყოფებოდა ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.¹¹⁶

74. გურჯაანში მომხდარი ინციდენტის შემდეგ პოლიციამ „ქართული ოცნების“ წევრი დააკავა.

¹¹⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15496&lang=geo>

¹¹⁶ <http://medianews.ge/ge/politsiamtinakhidashelissaarchevnoishtabistsevishmagiberidzishvilidaakava/17106>

შინაგან საქმეთა გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, სოფელ ვაჩნაძეანში მცხოვრები გიორგი ნატროშვილი დააკავეს. ნატროშვილს ბრალად გურჯაანის გამგეობის თანამშრომლის მავო ჩითინაშვილის ცემა ედება.¹¹⁷

75. „ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციის წევრი გელა გოშაძე სამართალდამცავებმა 1 სექტემბერს, დაკავებიდან რამდენიმე საათში, 3000-ლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. მას ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედება.

საუბარია რამდენიმე წლის წინანდელ ფაქტზე, როცა „ქართული ოცნების“ წევრი შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო განყოფილების უფროს ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობდა. მას ოცწლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს.¹¹⁸

76. „ქართული ოცნების“ სამ აქტივისტს ხონის სასამართლომ 70-დღიანი პატიმრობა შეუფარდა. 21 აგვისტოს ხონის პოლიციამ „ქართული ოცნების“ ხონის ორგანიზაციის ორი აქტივისტი დააკავა. სოსო სულავას და კობა კუბლაშვილს ბრალი რომან ლიპარტელიანის სიტყვიერ შეურაცხყოფაში ედებათ.

რომან ლიპარტელიანი ხონის მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურში მუშაობს და მას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების კეთილმოწყობა ევალება. როგორც „ქართული ოცნების“ ხონის ოფისში აცხადებენ, ლიპარტელიანი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ზეწოლაში იყო შემჩნეული. ამის გამო სულავა და კუბლაშვილი მასთან სამსახურში მივიდნენ და მიუთითეს, რომ მათ მხარდამჭერებზე ზეწოლა შეეწყვიტა.

ეს ამბავი პარასკევს, 17 აგვისტოს მოხდა. სასამართლო პროცესზე დაზარალებულად ცნობილმა რომან ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საჩივარი მას არ დაუწერია. თუმცა, ხონის რაიონულმა სასამართლომ დაკავებულებს ადმინისტრაციული

¹¹⁷ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15219&lang=geo>

¹¹⁸ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15458&lang=geo>

სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთა 70-70 დღით შეუფარდეს.¹¹⁹

77. 19 აგვისტოს დილის 11 საათზე სამტრედიის რაიონული განყოფილების პოლიციის თანამშრომლებმა 22 წლის სერგო კილურაძე დააკავეს. კილურაძე მოძრაობა „შვიდი ნოემბრის“ წევრია. ამჟამად იგი კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია და კოალიცია „ქართული ოცნების“ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახი კალაძის წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული.

სერგო კილურაძე 2003-2008 წლების საქართველოს ჩემპიონია თავისუფალი სტილისა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

კილურაძის დაკავება სამტრედიის ბიძის და ბიცოლას სახლში მოხდა. პოლიციამ დაკავების დროს ფიზიკური ძალა გამოიყენა, რასაც სერგო კილურაძის ოჯახის წევრების ცემაც ახლდა თან.¹²⁰

78. 7 აგვისტოს ღამით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა დააკავეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს შპს „ელიტა ბურჯის“ ადვოკატი იმედა ნიკურაძე. შპს „ელიტა ბურჯი“ დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის სახელთან. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, იგი დაკავებული ყოფილა და იმყოფებოდა თბილისის პოლიციის მთავარი სამართველოს შენობაში. 8 აგვისტოს, იმედა ნიკურაძეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეეფარდა 20-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, 6 აგვისტოს ღამით შპს „ელიტა ბურჯში“ განვითარებული მოვლენების დროს, სასამართლო აღმასრულებლისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო.¹²¹

¹¹⁹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15397&lang=geo>

¹²⁰ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15361&lang=geo>

¹²¹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15324&lang=geo>

79. პოლიციის მიერ დაკავებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი რეანიმაციაში მოხვდა. პოლიციის მიერ დუშეთის რაიონის სოფელ არღუნში დაკავებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, ქრისტეფორე ჯანგირაშვილი მცხეთის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ჯანგირაშვილი ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

„დუშეთის პოლიციის თანამშრომლებმა ქრისტეფორე ჯანგირაშვილი ჩვენთან შეხვედრიდან მეორე დღეს დააკავეს. ჯანგირაშვილი დუშეთის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებოდა. საავადმყოფოში ის პოლიციამ გადაიყვანა. ამ ფაქტს საავადმყოფოში ადასტურებენ. ქრისტეფორე ჯანგირაშვილი ამჟამად რეანიმაციაში იმყოფება. პალატას ბადრაგი იცავს. ჩვენ მისი ნახვის უფლება არ მოგვცეს. როგორც მკურნალმა ექიმმა გვითხრა, მას მაღალი წნევა აღენიშნება. 150–100–ზე არ არის ისეთი მაღალი წნევა, რომლის გამოც ავადმყოფი რეანიმაციაში გადაჰყავთ. შესაძლოა, მასზე ფიზიკური ძალა იხმარეს. ვერაფერს ვერც გამოვრიცხავთ და ვერც დავადასტურებთ, რადგან ავადმყოფის ნახვის უფლება არ მოგვცეს. რაც შეეხება მეორე დაკავებულს, ჯანგული ჯანგირაშვილს, ის წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით არის დაკავებული. დაკავებული უკვე ესაუბრა ადვოკატს. ჯანგულ ჯანგირაშვილი აცხადებს, რომ ის პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული და დანაშაულს არ აღიარებს“, – განუცხადა მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ დუშეთის შტაბის ხელმძღვანელმა თევდორე კარიაულმა.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები – ქრისტეფორე და ჯანგულ ჯანგირაშვილები შსს–ს პოლიციის დუშეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დუშეთის რაიონის სოფელ არღუნში 12 აგვისტოს დააკავეს.¹²²

80. ადვოკატ ირმა ჭკადუას შვილი დედის საქმიანობის გამო, პოლიტიკური ნიშნით დააკავეს, - ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატთა

¹²² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15325&lang=geo>

ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა და ასოციაციის წევრმა, ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადეს.

როგორც გელა ნიკოლაიშვილმა და ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნეს, ირმა ჭკადუა მონაწილეობდა გახმაურებულ საქმეებში, მათ შორის ის იცავდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველებისა და ფონდ „ქართუს“ ინტერესებს და სწორედ ეს გახდა მისი შვილის, 21 წლის ანრი ჯოხაძის დაკავების მიზეზი.

როგორც პრესკონფერენციაზე გელა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, ირმა ჭკადუას შვილი საკუთარ სახლთან სამართალდამცველებმა 26 აგვისტოს, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ბრალდებით დააკავეს, რაც გულისხმობს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას.¹²³

81. ყვარელში „ქართული ოცნების“ წევრები დააკავეს. 4 სექტემბერს ყვარელში, გვიან ღამით, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები - ლევან ხუციშვილი და ზაზა როსტიაშვილი დააკავეს. პოლიცია მათ წვრილმან ხულიგნობაში ადანაშაულებს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლევან ხუციშვილის დამ, სააგენტო „ინფო“-ს ჟურნალისტმა ნინო ხუციშვილმა განუცხადა, „ქართული ოცნების“ ორივე წევრი უსაფუძვლოდ, პოლიტიკური ნიშნით დააკავეს.¹²⁴

82. ჩხოროწყუს სასამართლომ „ქართული ოცნების“ აქტივისტს 35-დღიანი პატიმრობა შეუფარდა. 8 სექტემბერს ჩხოროწყუს სასამართლომ „ქართული ოცნების“ აქტივისტ ედემ კვარაცხელიას 35-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. საქმე ედემ კვარაცხელიას მიმართ ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) არის აღძრული.¹²⁵

¹²³ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15523&lang=geo>

¹²⁴ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15468&lang=geo>

¹²⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15511&lang=geo>

83. ლევან ნუსხელიძე – 21 სექტემბერს, თელავის რაიონში დააკავეს. „ლევანს პოლიციაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტმა უჩივლა. თანატოლი ბიჭები არიან. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტს შეუგინია, ვინც „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცესო. ამან ვერ მოითმინა და გაარტყა, ნუ იგინებო. წავიდა და უჩივლა, ფიზიკური შეურაცხყოფა მომაცენაო. მაშინვე დააკავეს. სასამართლო პროცესი ისე ჩაატარეს, რომ არავის გააგებინეს. შეიძლებოდა, რომ 400 ლარით დაეჯარიმებინათ, მაგრამ 20 დღით დააკატიმრეს“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ ზონის კოორდინატორმა ზურაბ ნუსხელიძემ.¹²⁶

84. გივი ნანობაშვილი – 22 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში დააკავეს. „გივი ნანობაშვილი ორ ახალგაზრდასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა, რა დროსაც პოლიციის მანქანა დაეწია და მას მანქანაში ჩაჯდომა მოსთხოვეს. ახალგაზრდებმა გაქცევა მოახერხეს, ხოლო გივი ნანობაშვილი კი ძალით ჩატენეს მანქანაში“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ სიღნაღის შტაბის უფროსმა ზვიად ჯანყარაშვილმა. სიღნაღის სასამართლომ გივი ნანობაშვილი წვრილმან ხულიგნობაში ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 100 ლარით დააჯარიმა.¹²⁷

85. უშანგი ნაპირელი – 22 სექტემბერს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში დააკავეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ნიკოლოზ საზანიშვილის განცხადებით, რომელმაც სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა, უშანგი ნაპირელი ქუჩაში უწყალოდ სიტყვებით იგინებოდა და საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდა, რის გამოც იძულებული გახდა, დაეკავებინა. გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნანა ჩალათაშვილმა 22 სექტემბერს, „ქართული ოცნების“ წევრი უშანგი

¹²⁶ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹²⁷ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

ნაპირელი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 40 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹²⁸

86. შამილ რასულოვი – 24 სექტემბერს, ყვარლის რაიონის სოფელ ჩანთლისყურეში დააკავეს. „ჩემი მეუღლე მეზობლის სახლის წინ პატრულმა დაკავა. მიზეზი არ აუხსნიათ. ჯერ გვიმაღავდნენ, მერე გვითხრეს, რომ ყვარლის პოლიციაშია გადაყვანილი. ის იმიტომ დააკავეს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, მას არაფერი ჩაუდენია“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს დაკავებულის მეუღლემ ხალისა მაგამედოვმა. ყვარლის სასამართლომ შამილ რასულოვი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 60 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹²⁹

87. დომენტი ზუროშვილი – 24 სექტემბერს თელავის რაიონის სოფელ ნასამხრალში დააკავეს. „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატები გააკრა სოფელში, რის შემდეგაც მეგობრებთან ერთად სოფლის ცენტრში იჯდა. უცბად მივიდნენ უბნის რწმუნებული გრემელაშვილი და კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი, სტაცეს ხელი და წაიყვანეს. ზუროშვილი ეკითხებოდა რის გამო აკავებდნენ, მაგრამ მათ არაფერი განუმარტეს. ადვოკატი მთელი დღის განმავლობაში ეძებდა სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ყველგან აცხადებდნენ, რომ მათთან არ იყო შეყვანილი. ამასობაში ფარულად სასამართლო პროცესიც ჩაატარეს ისე, რომ ადვოკატი არ დასწრებია“, – განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ თელავის შტაბში. თელავის რაიონულმა სასამართლომ „ქართული ოცნების“ წევრი, 29 წლის დომენტი ზუროშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 60 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹³⁰

88. შოთა ხუციშვილი – 24 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში დააკავეს. პოლიციამ ის წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში დაადანაშაულა. რაში გამოიხატა

¹²⁸ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹²⁹ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹³⁰ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

წვრილმა ხულიგნობა, შს სიღნაღის სამმართველოში კახეთის საინფორმაციო ცენტრს ინფორმაცია არ მიაწოდეს. სასამართლომ შოთა ხუციშვილს 40 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.¹³¹

89. შინაგან საქმეთა სამინისტრო ქარელსა და ხაშურში რამდენიმე პირის დაკავების შესახებ იუწყება. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზეა აღნიშნული, ზვიად იმერლიშვილი და ილია ქელეხსაშვილი პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით არიან დაკავებული.

ზვიად იმერლიშვილი ავტომანქანას უსაფრთხოების ღვედის გარეშე მართავდა. ის პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს და აღნიშნული სამართალდარღვევის და შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის შესახებ აცნობეს. ჯარიმის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ ზვიად იმერლიშვილმა და ილია ქელეხსაშვილმა პოლიციელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის შემდეგ ისინი ადმინისტრაციული წესით დააკავეს.

ამასთან, შსს-ს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია იაგო ქიტიაშვილი და გიორგი ნოზაძე.

„იაგო ქიტიაშვილი და გიორგი ნოზაძე პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით არიან დაკავებული. გომი-საჩხერის საავტომობილო გზის მე-10 კილომეტრზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის პოლიციამ "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა, რომელსაც იაგო ქიტიაშვილი მართავდა, გააჩერა. მძღოლმა და მისმა მგზავრმა არ წარმოადგინეს საბუთები და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებს. ამის შემდეგ მათი ადმინისტრაციული წესით დაკავება მოხდა“, - აცხადებენ შსს-ში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ასევე აღნიშნულია რამდენიმე დაკავების შესახებ, რომელიც შიდა ქართლის რეგიონში განხორციელდა.¹³²

¹³¹ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

90. დააკავეს „ქართული ოცნების“ აქტივისტი, სამზოში მსოფლიოს ჩემპიონი მამუკა ჯანანაშვილი. კასპის რაიონში, სოფელ ხოვლეში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტი და მობილური ჯგუფების უფროსი მამუკა ჯანანაშვილი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ჯანანაშვილი საკუთარ საცხოვრებელ სახლში აიყვანეს. როგორც მისი მამა, პავლე ჯანანაშვილი აცხადებს, 23 სექტემბერს დილის 06:00, დაახლოებით თხუთმეტამდე პოლიციელი შეიჭრა მათ საცხოვრებელ სახლში და ჩხრეკა დაიწყო.¹³³

91. ნიკოლოზ კიკილაშვილი – 24 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში დააკავეს. პოლიციაში მას „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ მყოფი სააგენტოს „info9.com.ge“-ის წარმომადგენელმა ნათია მირიანაშვილმა უჩივლა, რომელმაც განაცხადა, რომ გადაღების დროს ნიკოლოზ კიკილაშვილმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ხელი ატკინა. სასამართლომ ნიკოლოზ კიკილაშვილი წვრილმან ხულიგნობაში სამართალდამრღვევად სცნო და 40 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹³⁴

92. ნიკა გოგილაშვილი – 25 სექტემბერს, გურჯაანის რაიონში დააკავეს. „გურჯაანში მიდიოდა „ქართული ოცნების“ აქციაზე, პოლიციამ გააჩერა და დააკავეს. „აყვანის დროს დაზიანება მიიღო, მხარი ამოვარდა. ჯერ გურჯაანის სამედიცინო ცენტრში მიიყვანეს, მხარი ჩაუსვეს და ისე გადაიყვანეს პოლიციაში“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის წევრმა ზურა ჩიკვაიძემ. გურჯაანის სასამართლომ 25 წლის ნიკა გოგილაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და მას 50 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹³⁵

93. ვალერიან თამაზაშვილი – 25 სექტემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში დააკავეს. „სოფელში დააკავეს, აქციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის

¹³² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15580&lang=geo>

¹³³ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15581&lang=geo>

¹³⁴ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹³⁵ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

წევრმა ზურა ჩიკვაიძემ. გურჯაანის სასამართლომ 27 წლის ვალერიან თამაზაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და მას 40 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹³⁶

94. ნათიკ რასულოვი – 25 სექტემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმულანლოში დააკავეს. რასულოვი „ქართული ოცნებიდან“ სოფელში საუბნო – საარჩევნო კომისიის წევრია. პოლიციამ ის დაუმორჩილებლობაში დაადანაშაულა. შს საგარეჯოს სამმართველოში არ განმარტეს, დაუმორჩილებლობა რაში გამოიხატა. სასამართლომ ნათიკ რასულოვი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 40 დღით პატიმრობა შეუფარდა. პოლიციას რასულოვი აგვისტოშიც ჰყავდა დაკავებული, მაშინ რასულოვმა 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მოიხადა. იზოლატორში გადაყვანამდე რასულოვი სოფელ მელაანის ტყეში სასტიკად ცემეს.¹³⁷

95. ზაქარია გაგნიაშვილი – 25 სექტემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში დააკავეს. პოლიციამ მას ბრალად წვრილმანი ხულიგნობის ჩადენა წაუყენა. „24 სექტემბერს, ზაქარია მთელი დღე ჩემთან ერთად იყო თბილისში, ცესკოს წინ, აქციაზე. 25 სექტემბერს, დილით ათ საათზე დააკავეს ბენზინგასამართ სადგურზე, გუშინ საღამოს გვაგინებდით და ძალიან მაინტერესებს სად აგინებდათ? ყველა ტელევიზიას აქვს გადაღებული, კადრებში ჩანს, რომ თბილისში მთელი დღე იყო ცესკოს წინ, ჩემს გვერდით“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნებიდან“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თინათინ ხიდაშელმა. ზაქარია გაგნიაშვილს სასამართლომ 40 დღით პატიმრობა შეუფარდა.¹³⁸

96. ნუგზარ კაპანაძე – ლაგოდეხის პოლიციის თანამშრომლებმა 25 სექტემბერს დააკავეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ ლაგოდეხის შტაბის ხელმძღვანელმა გაგა ღამბაშიძემ განუცხადა, სამართალდამცავებმა ნუგზარ კაპანაძე იმის გამო დააკავეს, რომ აფენის მაცხოვრებლები პრემიერ – მინისტრ ვანო

¹³⁶ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹³⁷ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹³⁸ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

მერაბიშვილს შეძახილებით დახვდნენ. „მერაბიშვილის კოლონამ გაიარა და აფენში მცხოვრები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები შეძახილებით დახვდნენ. კაპანაძე ამ ზონის კოორდინატორია, მეორე დღეს დაუმორჩილებლობის მოტივით დააკავეს“, – განაცხადა ლამბაშიძემ. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ნუგზარ კაპანაძეს 60 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ნუგზარ კაპანაძე ყვარლის იზოლატორშია მოთავსებული.¹³⁹

97. ილია სულიაშვილი – 26 სექტემბერს, სოფელ ჩალაუბანში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლაკატების გაკვრის გამო დააკავეს. როგორც სულიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ის დაკავებიდან რამდენიმე წუთში გაათავისუფლეს. პოლიციამ „ქართული ოცნების“ პროგრამა „კარდაკარის“ რეგისტრატორი ილია სულიაშვილი 1-ელ ივლისსაც დააკავა. ის წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში დაადანაშაულეს და სასამართლომ 35 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ილია სულიაშვილს სხეულის დაზიანებები აღენიშნებოდა. მას პოლიციაში სოფელ ჩალაუბანში მცხოვრებმა გიორგი და ლალი ფრიდონაშვილებმა უჩივლეს, რომლებიც კახეთის ყოფილი გუბერნატორის, ამჟამად კი „ნაციონალური მოძრაობიდან“ გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის ახლობლები არიან. ილია სულიაშვილს პატიმრობის ვადა 5 აგვისტოს დაუმთავრდა. პატიმრობის პერიოდში ნერვიულობის ნიადაგზე მას მამა გარდაეცვალა. ილია სულიაშვილი დაკრძალვაზე ბორკილდადებული რამდენიმე წუთით მიიყვანეს.¹⁴⁰

98. 23 სექტემბერს ფოთში „ქართული ოცნების“ ორი აქტივისტი - გიზო ცაცუა და გოდერძი შონია პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ბრალდებით დააკავა. დაკავების ფაქტთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ფოთის

¹³⁹ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

¹⁴⁰ <http://www.ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

მაჟორიტარობის კანდიდატმა, ეკა ბესელიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციებზე ისაუბრა.

99. მესტიის საოლქო კომისიაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ კახა ჟორჟოლიანს ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ 40-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მისმა მეუღლემ, უფლებადამცველმა ნინა ხატისკაცმა განუცხადა, სასამართლო პროცესი 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და ისე დასრულდა, რომ მასზე მოსამართლე დავით კეკენაძეს არც მოწმეები დაუკითხავს და არც დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა განუხილავს.

ხატისკაცის განმარტებით, მის მეუღლეს საოლქო კომისიაში ცესკოს წარმომადგენლისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, გინება ედება ბრალად, თუმცა, აღნიშნულს ჟორჟოლიანი უარყოფს. „აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ზუგდიდის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკურია. მას ჩვენ ხვალ სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ“, - აღნიშნა ხატისკაცმა.

სამართალდამცველებმა მესტიის საოლქო კომისიაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი კახა ჟორჟოლიანი 23 სექტემბერს დააკავეს. რაც შეეხება დაკავების მოტივს, ხატისკაცის თქმით, კახა ჟორჟოლიანი ამავე საოლქო კომისიაში ცესკოს წარმომადგენლის, გვარად სოფრომაძის საჩივრის საფუძველზე აიყვანეს, რომელთანაც მის მეუღლეს რამდენიმე დღის წინ შელაპარაკება მოუვიდა.

„კახა მესტიის საოლქო კომისიაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია. რამდენიმე დღის წინ მას შელაპარაკება მოუვიდა ცესკოს წარმომადგენელ სოფრომაძესთან იმის გამო, რომ მესტიაში 200-კაციანი სპეცუბანი მიამაგრეს მაშინ, როცა იქ სამხედრო ნაწილები ბაზირებული არასდროს ყოფილა. ეს იყო მცდელობა, რომ დამატებით 200 ხმა შეეტანათ მესტიაში სამხედრო უბნის სახით. სხვათა შორის, ცესკოს სამართლიანი გადაწყვეტილებით, ამ უბნის გაუქმება მოხერხდა. სწორედ ამ თემაზე მოხდა კახასა და სოფრომაძეს შორის შელაპარაკება. იქ იყო ცოტა ცხელი საუბარი, მაგრამ ფიზიკური შეხება და დაპირისპირება არ ყოფილა. როგორც

აღმოჩნდა, ამ ფაქტთან დაკავშირებით სოფრომაძემ საჩივარი დაწერა, სადაც კახას სხდომის ჩატარების ხელშეშლაში ადანაშაულებს“, - განაცხადა ნინა ხატისკაცმა.¹⁴¹

დაკავებულ პირებს თითქმის ყოველთვის წარედგინებათ ერთმანეთის ანალოგიური ბრალდებები, წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის დაუმორჩილებლობა. ამასთან, მათ სასამართლო უპირობოდ უფარდებს თავისუფლების აღკვეთას - ე.წ. ადმინისტრაციულ პატიმრობას, რომელიც ხშირად რამდენიმე ათეულ დღეს შეადგენს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სასამართლო ყოველთვის და უპირობოდ იზიარებს, მხოლოდ პოლიციის შესაბამის თანამშრომელთა ჩვენებებს და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ ითვალისწინებს დაცვის მხარის მოთხოვნებს. აღნიშნული სასამართლო პროცესები ტარდება წარმოუდგენლად მოკლე დროში, რა დროსაც სრულებით უგულვებელყოფილია დაკავებულთა დაცვის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებები. ამგვარი ადმინისტრაციული სანქციების შეფარდებისას, მათი სიმძიმიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვაც უნდა იყოს ადეკვატური და პასუხობდეს სისხლის სამართლის პროცესისათვის დადგენილ მაღალ სტანდარტებს. აღნიშნული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ამ დაკავებებს, რომლებიც აშკარად ხორციელდება სათანადო სამართლებრივი პროცედურების გარეშე, გააჩნიათ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პოლიტიკური დევნის ფორმა.

აღსანიშნავია ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იგი არ გამორიცხავს, ამ დაკავებების პოლიტიკურ საფუძველს.

როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნულ ექვებს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ განხორციელებული დაკავებები მყარ და უტყუარ მტკიცებულებებს არ ეფუძნება.

¹⁴¹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15578&lang=geo>

„მოკლე დროის პერიოდში რამდენიმე ადამიანის საექვო დაკავება წარმოშობს ვარაუდის საფუძველს, რომ მიზანმიმართულად ხდება პოლიტიკურად აქტიური პირების მიმდინარე საარჩევნო პროცესებისგან ჩამოშორება. საექვო დაკავების შემთხვევები მოიცავს შემდეგ ფაქტებს - 21 სექტემბერს თბილისში ადმინისტრაციული სამართალდაღვევის ჩადენისთვის დაკავებულია ოთხი პირი – დავით ფაცაცია, ზურაბ მესხია, შოთა ბაზერაშვილი და კონსტანტინე ლაბარტყავა. ოთხივე დაკავებულს პოლიციამ ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით წაუყენა. ფაცაციასა და მესხიას უკვე შეეფარდათ 40-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა; 22 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამოქალაქო აქტივისტები დაჩივებულა და ბექარ ალადოშვილი დააკავა. მათ 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ. საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ ცაგურია აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდების საპროტესტო აქციების ორგანიზებაში, მისი დაკავების ფაქტი დამატებით ეჭვებს წარმოშობს. ვფიქრობთ, წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი ქმედება ცალსახად პოლიტიკურად იყო მოტივირებული“, - აცხადებენ ორგანიზაციაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მესტიის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ კახა ჟორჯოლიანის დაკავებაზეც საუბრობს. როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, იგი ცესკო-ს წარმომადგენლის, არჩილ სოფრომაძის საჩივრის საფუძველზე დააკავეს, რომელმაც ჟორჯოლიანს ბრალი კომისიის მუშაობის ხელშეშლაში დასდო.

„თუმცა, კომისიის სხდომის ოთხი წევრისა და ზოგიერთი თვითმხილველის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჩხუბისა და ხულიგნობის ფაქტი არ მომხდარა. მათი განცხადებით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ სიტყვიერ შელაპარაკებას და ხმამალ კამათს. ჩვენი ინფორმაციით, ადმინისტრაციული დაკავების საფუძველი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი, წვრილმანი ხულიგნობაა, რაც ითვალისწინებს სახდელს 100 ლარის

ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღის ვადით. ამ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას, საქართველოს საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის ზომებს, მათ შორის, კომისიის კოლეგიური გადაწყვეტილების საფუძველზე ხელშემშლელი ან წესრიგის დამრღვევი პირის სხდომიდან გაძევებას. შესაბამისად, მიუღებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენება, როდესაც შემთხვევა დარეგულირებულია იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი და სპეციალური კანონით, როგორცაა ორგანული კანონი – საარჩევნო კოდექსი“, - აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში.¹⁴²

ბოლო დროს დაკავებული უფლებადამცველებისა და აქტივისტების თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა 24.09.2012 გაავრცელა შესაბამისი განცხადება:

„ადამიანის უფლებათა ცენტრი გმობს ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, უფლებადამცველების დაჩივებისა და ბეჯა ალადოშვილის, აგრეთვე - პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ წევრების მიმართ დაკავებებს.

მიგვაჩნია, რომ უფლებადამცველებისა და პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რეპრესიები, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ადგილი აქვს აშკარა პოლიტიკურ კრიზისს, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ნაცვლად იმისა, რომ შექმნილი ჩიხური პოლიტიკური მდგომარეობიდან ხელისუფლებამ საზოგადოებას სამართლებრივად მისაღები გამოსავალი შესთავაზოს, რაც აუცილებლად გულისხმობს 1 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, იგი კიდევ უფრო მეტად მახავს ისედაც მძიმე პოლიტიკურ ფონს.

მშვიდობიანი მოქალაქეების დაკავებისა და ფიზიკური ძალადობის ბოლოდროინდელ ფაქტებს, ჩვენ განვიხილავთ ხელისუფლების იმ პოლიტიკის გაგრძელებად, რამაც გამოიწვია პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი მძიმე

¹⁴² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15583&lang=geo>

და აუტანელი მდგომარეობა. ბოლოდროინდელი გახშირებული ძალადობის შემთხვევები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმ შოკისმომგვრელი ვიდეოკადრების მნიშვნელობას და არ აპირებს ქვეყანაში არსებული უკანონობის გამოსწორებას.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი აღნიშნავს, რომ თუკი აქამდე წინასაარჩევნო პროცესები უსამართლობის ზღვარზე მიმდინარეობდა, ამ ბოლო შემთხვევების შემდეგ, არსებობს რეალური საფრთხე, რომ მან მიიღოს შეუქცევადი უსამართლო ფორმა და არჩევნების ჩატარებამ საერთოდ დაკარგოს აზრი.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვიბიძგებს ეჭვი შევიტანოთ ხელისუფლების სურვილში, არჩევნები ჩაატაროს დანიშნულ დროზე, მშვიდობიან და სამართლიან გარემოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული პირები და საარჩევნო პროცესი დააბრუნოს სამართლებრივ ჩარჩოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, როგორც არჩევნებზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მივმართავთ პროტესტის კანონით დაშვებულ ყველა ფორმას, ასევე დეტალურ ინფორმაციას და შესაბამის საჩივრებს მივაწოდებთ როგორც უცხოურ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს.“¹⁴³

ხელისუფლების მიერ მედია-რესურსის გამოყენება

მედია რესურსთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა წინასაარჩევნო გარემოს სპეციალური მედია-მონიტორინგი და გამოაქვეყნა შესაბამისი ანგარიში, რომელიც შესაძლებელია იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე.¹⁴⁴

¹⁴³ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=15620&lang=geo>

¹⁴⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=5&lang=geo>

კენჭისყრისა და შედეგების შეჯამების დროს გამოვლენილი დარღვევები

ადამიანის უფლებათა ცენტრმა კენჭისყრის დღეს მობილიზება გაუკეთა 100 დამკვირვებელს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში აკვირდებოდნენ ხმის მიცემისა და შედეგების დათვლის პროცესს. ცენტრის დამკვირვებელთა მიერ იქნა გამოვლენილი არაერთი დარღვევა, რომლებიც, ძირითადად ხმის მიცემის დროს ამომრჩეველზე ზეწოლისა, საარჩევნო სუბიექტების სასარგებლოდ ხმის მიცემის მოწოდებას და ხმის მიცემის ფარულობის ფაქტებს შეეხებოდა.

1. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები რამდენიმე უბანზე არჩევნების მასობრივ გაყალბებას ვარაუდობენ. **01.10.2012** ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ იმ უბნებში, სადაც ამომრჩეველთა აქტიურობა დაბალია, მოსალოდნელია ბიულტენების ჩაყრა და არჩევნების გაყალბება. განსაკუთრებით ასეთი საშიშროება გამოიკვეთა ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში, სადაც საარჩევნო უბნების წინ მობილიზებული იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალჩინოსნები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ზეწოლას ახდენენ ამომრჩეველებზე.

კერძოდ, გარდაბნისა და საგარეჯოს სოფლებში, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეები ცხოვრობენ, საარჩევნო უბნებზე შედიან გაურკვეველი სტატუსის პირები (სავარაუდოდ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები) და აქტიურად ეწევიან აგიტაციას. ეს პირები რამდენჯერმე დაემუქრნენ გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის 49-ე საარჩევნო უბანზე მყოფ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს, ნინო ღვედაშვილს და არ მისცეს საჩივრის დაწერის საშუალება. ადამიანის უფლებათა ცენტრმა დღის განმავლობაში ხუთჯერ დარეკა ცესკოს ცხელ ხაზზე, აცნობა ცესკოს, რომ დამკვირვებელს ემუქრებოდნენ და მოითხოვა რეაგირება. მხოლოდ მეხუთე დარეკვიდან ერთი საათის შემდეგ ცესკოდან დაუკავშირდნენ

საუბნო კომისიის თავმჯდომარეს და სთხოვეს მიეღო საჩივარი, რაც იყო სრულიად არაადეკვატური რეაგირება. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოითხოვს გაუქმდეს არჩევნების შედეგები გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის 49-ე საარჩევნო უბანზე, სადაც არ იყო დაცული ამომრჩეველთა ხმის ფარულობა და ღიად ზემოქმედებდნენ მათ ნებაზე.¹⁴⁵

2. **„ქართული ოცნების“ კოორდინატორები და კომისიის წევრები არჩევნების მეორე დღეს პოლიციაში დაიბარეს. 01.10.2012. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა წყალტუბოს #58 საარჩევნო ოლქში, პაატა ზაქარეიშვილმა ადამიანის უფლებათა ცენტრს „ქართული ოცნების“ ადგილობრივ კოორდინატორებზე მასობრივი ზეწოლის ფაქტების თაობაზე შეატყობინა.**

პაატა ზაქარეიშვილის ინფორმაციით, წყალტუბოს #58 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, 30 სექტემბრის 22:00 საათიდან განხორციელდა მასირებული ფსიქოლოგიური ზემოქმედება პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო უბნების კოორდინატორებზე და ქვეკოორდინატორებზე. აღნიშნულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახორციელებდნენ პოლიციის თანამშრომლები სატელეფონო ზარების საშუალებით.

პაატა ზაქარეიშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში 13 პირია დასახელებული, ვისზეც ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა:

„სალიის, ფარცხანაყანების, მუხიანის პოლიციის უფროსმა თემურ მყავიამ დაურეკა ქვემოთ ჩამოთვლილ # გზების კოორდინატორებს - მამუკა ფხაკაძეს, შალვა გოდუაძეს და თემურ იამანიძეს, რომ თითქოს მათ აიღეს „ქართული ოცნებიდან“ 250 ლარი და დაიბარა პოლიციაში სამშაბთს 10:00 საათზე.

ოფურჩხეთის პოლიციის უფროსმა დაფარული სატელეფონო ნომრიდან დაურეკა #17 საარჩევნო უბნის კოორდინატორს, გიორგი კახიძეს და დაიბარა ოფურჩხეთის პოლიციაში სამშაბათს 12:00 საათზე.

¹⁴⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15648&lang=geo>

წყალტუბოს პოლიციის გამომძიებელმა მალხაზ ბასილაძემ დაურეკა #1 უბნის კოორდინატორს ნანა ქუთათელძეს, უთხრა, რომ მას აღებული ჰქონდა 250 ლარი და ამის გამო დაიბარა წყალტუბოს პოლიციაში სამშაბათს.

#4 საარჩევნო უბნის კოორდინატორ ნინო ნემსიწვერიძეს დაურეკეს პოლიციიდან და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს 12:00 საათზე.

#21 საარჩევნო უბნის კოორდინატორ გელა ნიჟარაძეს დაურეკეს პოლიციიდან და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს 12:00 საათზე.

#36 საარჩევნო უბნის კოორდინატორს, მერაბ კოსტავას დაურეკეს ოფურჩხეთის პოლიციიდან და დაიბარეს ოფურჩხეთის პოლიციაში.

#22 -ე საარჩევნო უბნის კოორდინატორს კონსტანტინე ტყემელაშვილს დაურეკეს პოლიციიდან და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს.

#44-ე საარჩევნო უბანზე კოორდინატორს მირზა ნუცუბიძეს დაურეკეს პოლიციიდან და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს.

#31 საარჩევნო უბანზე კოორდინატორს ვანო სიმსივეს დაურეკეს ოფურჩხეთის პოლიციიდან და დაიბარეს პოლიციაში.

#42 საარჩევნო უბნის კოორდინატორს ლადო ბაზაძეს პოლიციიდან დაურეკა თემურ მჭავიამ და დაიბარა პოლიციაში სამშაბათს.

#43 საარჩევნო უბნის კოორდინატორს ლაშა ციბაძეს დაურეკეს და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს.

#12 საარჩევნო უბნის კოორდინატორს კახა ფანცხავას დაურეკეს და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს.

#32 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრს თეა გველეზიანს დაურეკეს და დაიბარეს პოლიციაში სამშაბათს“.

პაატა ზაქარეიშვილის მიერ მოწოდებული დოკუმენტის დედანში ასევე მითითებულია ის სატელეფონო ნომრები, საიდანაც კოორდინატორებს ურეკავდნენ და პოლიციაში იბარებდნენ.

პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ ყველა ის პირი, ვისაც გუშინ ღამით დაურეკეს და არჩევნების მეორე დღეს პოლიციაში დაიბარეს, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტია: „ისინი არჩევნების დღეს უნდა იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნებზე და ახორციელებდნენ მათზე კანონით დაკისრებულ მოვალეობებს. მათთან განხორციელებული სატელეფონო ზარები მკაფიოდ შეიძლება შეფასდეს, როგორც ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფორმა, რათა ხვალისთვის პოლიციაში დაბარებულმა პირებმა დღეს (არჩევნების დღეს) თავიანთი მოვალეობის შესრულებისას კორექტირება გაუკეთონ თავიანთ მოქმედებებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ კოორდინატორებისათვის არანაირი ფორმით არანაირი თანხა არ გადაუცია. აქედან გამომდინარე, 30 სექტემბრის ღამით პოლიციის მასირებული შეტევა განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებზე ზემოქმედების მოტივით და მას აქვს პოლიტიკური დატვირთვა“.¹⁴⁶

3. 01.10.2012 ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი, ექსპერტი საარჩევნო საკითხებში, ნინა ხატისკაცი თბილისში ვაკის მე-2 საარჩევნო ოლქზე აკვირდებოდა სამ საარჩევნო უბანს: მე-11, მე-12, და 76-ე უბნებს, სადაც ფაქტობრივად, ერთნაირი ტიპის დარღვევები დააფიქსირა.

საარჩევნო უბნის გარეთ იდგნენ ავტომანქანები და მასში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საარჩევნო უბნიდან გამოსულ ამომრჩევლებს ართმევდნენ გაურკვეველ ფურცლებს, ასევე ეკითხებოდნენ რაღაც ნომერს და ამომრჩევლის გვარს. ამომრჩევლები მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებდნენ საარჩევნო უბანის ტერიტორიას.

ნინა ხატისკაცის შეფასებით, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ნაციონალური მოძრაობა გავლენას ახდენს ამომრჩეველთა ნებაზე. მისივე ინფორმაციით, დამკვირვებლებს ასევე ხელი ეშლებათ საარჩევნო პროცესის მონიტორინგში, რადგან თითქმის ყველა რეგისტრატორის მაგიდა დგას კედელთან

¹⁴⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15646&lang=geo>

ახლოს და 5 რეგისტრატორის შემთხვევაში, რთულდება შუაში მდგომი რეგისტრატორების დაკვირვება და საარჩევნო სიის კონტროლი, სადაც შეიძლება დაფიქსირდეს სიებთან დაკავშირებული დარღვევები.

დამკვირვებლებმა მაგიდების გაცალკეება მოითხოვეს, მაგრამ კომისიამ მაინც არ მოახდინა რეაგირება, რითაც დღის განმავლობაში გართულებული იყო დაკვირვების პროცედურა დამკვირვებლებისათვის.

კამერებს სთხოვდნენ გადაეღოთ მხოლოდ საარჩევნო ყუთი, რაც მხოლოდ ნინა ხატისკაცის დაჟინებული მოთხოვნის და საოლქო საარჩევნო კომისიიდან დასტურის შემდგომ აღმოიფხვრა.

მე-12 და მიმდებარე უბნებზე დამკვირვებლის სტატუსით მყოფი ირაკლი კვარაცხელია, რომელიც წარმოადგენდა ორგანიზაციას - „მომავლის არჩევანი“, მკვეთრად აჭარბებდა თავის უფლება-მოვალეობებს და ითვისებდა საარჩევნო კომისიის წევრების ფუნქციებს. კერძოდ, ნინა ხატისკაცის მიერ შედგენილ საჩივრებზე, კვარაცხელია პასუხობდა კომისიის წევრების ნაცვლად და კამათობდა მასთან, უფრო მეტიც - ხელითაც კი შეეხო.

„ეს ადამიანი აქტიურად ერეოდა საარჩევნო პროცესში და გამოკვეთილად წარმოადგებდა მხარეს ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ. ერთ-ერთ ამომრჩეველს მან გამოართვა პირადობის მოწმობა და საარჩევნო ბარათი, რაზეც მე მივუთითე მას და რომ ამის უფლება არ ჰქონდა. ჩემს შენიშვნებზე, რასაც გამოვთქვამდი კომისიის წევრების მისამართით, იგი მეპასუხებოდა, რაზეც მას კორექტულად მივმართე, რომ თავი შეეკავებინა ისეთ თემებზე პასუხებისგან, რაც მის კომპეტენციას სცილდებოდა. ამაზე მითხრა - წესიერად ილაპარაკეო, ჩემსკენ გამოიწია და ხელით შემეხო. ამ ინციდენტის თაობაზე მე საჩივარიც დავწერე და ორ მოწმეს მოვაწერინე ხელი“, - ამბობს ნინა ხატისკაცი.

შემდგომში ირაკლი კვარაცხელია ასევე იდგა გარეთ მყოფ მანქანასთანაც, სადაც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილი და უბნიდან გამოსულ ამომრჩეველს ნომერს და გვარს ეკითხებოდნენ. ხატისკაცის შეკითხვაზე - თუ რა

ნომრებზე იყო საუბარი და რატომ ხდებოდა უბნის ტერიტორიაზე ამომრჩეველთა გვარების აღწერა, მათ უპასუხეს: ეგ „ნაციონალური მოძრაობის ოფისში გაარკვიეთო! ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა გაურკვეველი წარმოშობის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კიდევ სხვა ბევრ უბანზე დააფიქსირეს. ადამიანის უფლებათა ცენტრს აქვს ეჭვი, რომ მსგავსი რამდენიმე ორგანიზაცია სპეციალურად შეიქმნა არჩევნების დღისთვის, რათა მათ საარჩევნო უბნებზე მხარი დაუჭირონ არჩევნების გაყალბებას ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ.

დარღვევა ასევე დაფიქსირდა ქ. თბილისში, საბურთალოს #65 უბანზე. როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი გიორგი ნანუაშვილი ამბობს, უბანზე დილიდან ხალხმრავლობა იყო. ოთახში განლაგებულ მაგიდებიდან 4 სრულიად თავისუფალი იყო. მიუხედავად ამისა, კართან მდგომი კომისიის წევრი ამომრჩეველს უფლებას არ აძლევდა, შესულიყო უბანზე, რაც, დამკვირვებლის აზრით, ხელოვნურად აფერხებს საარჩევნო პროცესს.¹⁴⁷

4. 01.10.2012. გარდაბნის საარჩევნო ოლქის ყარაჯალის #58 საარჩევნო უბანზე, რომელიც გახსნილია საშუალო სკოლის შენობაში, ნაკადის მომწესრიგებელი იდგა არა ოთახის შესასვლელში, არამედ დერეფანში. მან ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს განუცხადა, რომ არ იცოდა, სად უნდა დამდგარიყო. ამ დროს ოთახის შესასვლელში იდგა ზედახორა და ამომრჩეველთა ნაწილი მარკირების გარეშე შედიოდა უბანში.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაკადის მომწესრიგებელთან დერეფანშივე, გვერდით, იყო პატარა ადგილი გამოყოფილი, სადაც ეყარა საბუთები. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შეისწავლა ეს საბუთები და აღმოჩნდა, რომ ეს იყო მოქალაქეთა საიდენტიფიკაციო ბაზა.

¹⁴⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15644&lang=geo>

„ასეთი დოკუმენტები, პირადობის მოწმობის მონაცემებით (ფოტოსურათის გამოკლებით) ხელთ შეიძლება ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საარჩევნო უბანზე ამ საბუთების ადგილი არ არის. გაურკვეველია, რისთვის სჭირდებათ ასეთი მონაცემები. შესაძლოა, ეს სჭირდებოდეთ კარუსელებისთვის“, - იტყობინება ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი ნესტან ლონდარიძე ყარაჯალადან.

მისი თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანული მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში, ჭირს შედგენილი საჩივრების დარეგისტრირება და მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა ჩარევის შემდეგ ხერხდება მათი დარეგისტრირება.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიები აღმოჩნდა პანკისის ხეობაშიც, საიდანაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი, ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი გვატყობინებს, რომ დუისის მე-5 საარჩევნო უბანზე კომისიის ერთ-ერთ წევრს და ასევე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, შალვა ცათიაშვილს ეკავათ მსგავსი სიები.

„მე შევძელი და 22 ცალი ასეთი დოკუმენტი წამოვიღე და მივიტანე საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც ამჟამად ვწერ საჩივარს და თან ვურთავ ამ სიებს. სიები ამოებჭდილია 15 სექტემბერს შსს-ს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან. სიაში სავარაუდოდ არიან პანკისის ხეობის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები მოქალაქეები. რატომ ჰქონდა ეს დოკუმენტები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, გაუგებარია, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ეს არ არის საჯარო ინფორმაცია და მოქალაქეთა ასეთ პირად მონაცემებზე ხელი მხოლოდ გამომძიებლებს მიუწვდებათ“.¹⁴⁸

5. 01.10.2012. თბილისში საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩევლის მასობრივი აღრიცხვა მიმდინარეობს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი საბურთალოს ოლქის #29 საარჩევნო უბნიდან იუწყება, უბნის ეზოში რამდენიმე

¹⁴⁸ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15643&lang=geo>

ახალგაზრდა ქალი, სიებით ხელში დგას და უბანზე მისულ ამომრჩეველს აკონტროლებს.

ჟურნალისტის კითხვას, რა სიებით სარგებლობენ და ვინ არიან, მათ თავი აარიდეს, ვინაობაც არ დაასახელეს და უბნის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უბანზე მისულმა ამომრჩეველმა განუმარტა, ახალგაზრდა ქალები ამომრჩევლის აღრიცხვას აწარმოებენ, თუმცა მათი ვინაობა მოსახლეობისთვის უცნობია.

#29 საარჩევნო უბნის ახლოს მდებარე საარჩევნო უბანთან, რომელიც სკოლის შენობაშია, ავტომანქანებით „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორები დგანან და ამომრჩევლის აღრიცხვას აწარმოებენ. კითხვაზე, რატომ იქცვიან ასე, პარტიის კოორდინატორებმა აღნიშნეს, რომ უკანონოს არაფერს აკეთებენ. „ინტერპრესნიუსმა“ შესაბამისი ფოტოები სწორედ ამ ორ უბანზე გადაიღო. ასეთივე შეთხვევები იყო დღეს სხვა საარჩევნო უბნებზეც.

საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის აღრიცხვასთან დაკავშირებით განმარტებებისთვის "ინტერპრესნიუსს" "ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერი ჩიორა თაქთაქიშვილი დაუკავშირდა. მისი განმარტებით, პარტია დღესაც, ისევე როგორც ყველა სხვა არჩევნებზე, ამომრჩევლის მოწვევის კამპანიას ახორციელებს.

„ჩვენ, კარდაკარისას, წინასწარ იდენტიფიცირებული გვყავს ჩვენი მხარდამჭერები, ამიტომ საარჩევნო უბნებთან მათი მოწვევის კამპანიას. ვახორციელებთ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ინციდენტები „ქართული ოცნების“ მხრიდან, მოწვევის კამპანიის მონაწილეებს მივეცით მითითება, რომ ისინი უნდა იდგნენ საარჩევნო უბნიდან გონივრულ დისტანციაზე, ამავდროულად არ უნდა ეცვათ პარტიის სიმბოლიკიანი მაისურები, რათა ეს ამომრჩეველზე ზემოქმედების მცდელობად არ ჩაითვალოს და ასევე, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების პროვოცირება არ გამოიწვიოს“, - განმარტა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ამომრჩეველთა მოწვევის კამპანია კანონის სრული დაცვით და გამჭვირვალედ ხორციელდება.

ამასთან, ჩიორა თავთაქიშვილი მედიას მოუწოდებს, მოწვევის კამპანიაში ჩართული პირების მხრიდან კამპანიის წესების დარღვევების შემთხვევაში აცნობონ, რაზეც პარტია სათანადო რეაგირებას მოახდენს.

ამავე დროს ჩიორა თავთაქიშვილმა კომენტარი გააკეთა ამომრჩეველთა ტრანსპორტირების შემთხვევებზე რეგიონებში და აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ წინასწარ იდენტიფიცირებული ამომრჩევლის ტრანსპორტირებას ახორციელებს მხოლოდ იმ რეგიონებში, სადაც საარჩევნო უბნამდე მისვლა პრობლემებთან არის დაკავშირებული.

„ეს საქმიანობა დაფინანსებულია „ნაციონალური მოძრაობის“ კამპანიის ფონდის მიერ, რომელიც არის გამჭვირვალე. 3 კვირაში ერთხელ აუდიტის სამსახურს ჩვენ ვაწვდით ანგარიშებს და კამპანიის ეს ნაწილიც აისახება "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიის საერთო ანგარიშში“, - განაცხადა ჩიორა თავთაქიშვილმა.

მისი თქმით, ტრანსპორტით უზრუნველყოფა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებისთვის ხდება იმ მაღალმთიან რეგიონებში, სადაც საარჩევნო უბნამდე მისვლა ამომრჩევლისთვის პრობლემას წარმოადგენს და ეს არ ვრცელდება ყველა რეგიონზე.¹⁴⁹

6. 01.10.2012. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის 28-ე საარჩევნო უბანზე სხვადასხვა სახის დარღვევის ფაქტები დააფიქსირა.

ამ უბანზე რეგისტრირებულია 1123 ამომრჩეველი, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა კი მხოლოდ 900 იყო. ამის თაობაზე, გადამოწმების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა კომისიის თავმჯდომარე ნანა გვაზავას მოსთხოვა მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, რაზეც მიიღო ხისტი უარი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი მხოლოდ მისი „საკუთრება“ იყო.

¹⁴⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15640&lang=geo>

ასევე, საარჩევნო ყუთს აკონტროლებს (ამომრჩეველს კონვერტებს აწვდის) არა საუბნო კომისიის რომელიმე წევრი, არამედ „საარჩევნო სისტემის კვლევითი ცენტრის“ დამკვირვებელი - მამედ ირზაკულიევი. საარჩევნო ყუთზე არ იყო დაფარებული ფურცელი და ეს დარღვევა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლის მოთხოვნის შემდეგ გამოსწორდა.

ნაკადის მომწესრიგებლის განკარგულებაში მყოფი მარკირების შემოწმების აპარატი არ მუშაობს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მარკირების პროცედურა თვითონაც გაიარა და ცოტა ხნის შემდეგ აპარატმა ვერ დააფიქსირა სითხის არსებობა.

კომისიის თავმჯდომარე, ნანა გვაზავა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს მობილური ტელეფონით ფოტომასალის გადაღება შეუზღუდა. „შენ უკვე საკმარისად გადაიღე, გეყოფა“, - უთხრა მან.

აღნიშნულ უბანზე ამომრჩეველზე ზეწოლის უბეში ფაქტები ფიქსირდება. კერძოდ - უბანზე მისული თითქმის ყველა ამომრჩეველი ითხოვს დახმარებას კაბინაში, რა დროსაც დამხმარე პერსონა (სხვა ამომრჩეველი) მას აშკარად მიუთითებს, რომ ბიულეტენში შემოხაზოს 5 ნომერი.

ზეწოლის ფაქტები დაფიქსირდა არა მხოლოდ ამომრჩეველზე, არამედ კომისიის ერთ-ერთ წევრზე - ნათელა ჩანქსელიანზეც, რომელსაც აქვს რეგისტრატორის ფუნქცია მინიჭებული. ჩანქსელიანი შეეწინააღმდეგა და დამკვირვებლებთან ერთად, ხმა აიმაღლა იმ ფაქტზე, რომ საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველებს პირდაპირ მოუწოდებენ ხუთიანის შემოხაზვას. ამის გამო მან კომისიის სხვა წევრებისგან და განსაკუთრებით - თავმჯდომარისაგან, მიიღო გაფრთხილება. ხოლო როდესაც რეგისტრატორმა კვლავ გააპროტესტა დარღვევები, უბანზე მივიდა ცესკოს წარმომადგენელი საოლქო კომისიიდან და შემდეგი სიტყვებით დაემუქრა: „შენ ჩემი დანიშნული ხარ აქ და თუ არ გაჩუმდები - მოგხსნი“!

ამჟამადაც უბანზე ქაოსია შექმნილი და პროცესი მიმდინარეობს მრავალი დარღვევის ფონზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის 28-ე საარჩევნო უბნის კომისიას შესაბამისი საჩივრებით მიმართა.¹⁵⁰

7. 02.10.2012. 1 ოქტომბრის გარიჟრაჟზე, მ ცხეთა უცნაურად ჩაჩუმებული და მოლოდინით სავსე დაგვხვდა. საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე დასაკვირვებლად ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარგზავნილი ხუთი დამკვირვებელი გზაში ერთმანეთს გამოვუტყდით, რომ ყველას შედარებით ხალხმრავალ უბანზე გვინდოდა მოხვედრა, სადაც უფრო კარგად ჩანს მოქალაქეთა განწყობა და აქტიურობა.

არჩევნებზე დაკვირვება დილიდან მცხეთის 27-ე ოლქის, მეხუთე უბანზე მომიწია, რომელიც მცხეთის ე.წ. ძველ ფოსტაში იყო განთავსებული. ხმის მისაცემად საარჩევნო უბანზე მოსული ამომრჩევლების ერთი ნაწილი საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაგდების შემდეგ, იქვე, კედელზე დაკიდებული ხატების წინ პირჯვარს იწერდა. მცხეთის 27-ე ოლქის მეხუთე უბანზე მყოფ დამკვირვებელთაგან ერთადერთი აღმოვჩნდი, ვინც არჩევნების დროს, რელიგიური დანიშნულების ნივთების (კედელზე დაკიდებული ხატების) არსებობა გავაპროტესტე.

საარჩევნო უბანი საჯარო ადგილია, სადაც რომელიმე რელიგიის პროპაგანდას შესაძლებელი იყო, გარკვეული გავლენა არჩევნების შედეგებზეც მოეხდინა. მით უმეტეს, რომ არჩევნებში მონაწილეთაგან, ერთ-ერთი პარტიის დასახელებაში, სიტყვა „ქრისტიანობა“ ფიგურირებდა. ჩემს პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია და კომისიის წევრების ერთი ნაწილისა და დამკვირვებლების მხრიდან, მხოლოდ ირონიულ-ცინიკური დამოკიდებულება დავიმსახურე. რას ვიზამთ, ჩვენში რელიგია ხომ ხშირად „კანონზე მაღლა“ დგას.

არჩევნების მიმდინარეობისას, ჩვენს უბანზე ძირითადად ტექნიკური ხასიათის და მარტივად მოგვარებადი დარღვევები დაფიქსირდა. ერთ-ერთი ყველაზე

¹⁵⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15635&lang=geo>

მნიშვნელოვანი დარღვევა, დღის 11.30 საათზე დაფიქსირდა. საარჩევნო უბანში მოსულმა ამომრჩეველმა, თემურ მარტოლეკმა მის მიერ შემოხაზულ ბიულეტენებს კაბინაში ფოტო გადაუღო. ტელეფონის აპარატის ჩხაკუნის ხმაზე მივხვდით, რომ ხმის მიცემის კაბინაში შესული კაცი ფოტოს იღებდა, რაც თვითონ მარტოლეკმაც დაადასტურა. როგორც მერე თვითონ ამბობდა, ეს „ისტორიული ფაქტის დასაფიქსირებლად“ გააკეთა. თემურ მარტოლეკის ბიულეტენი ბათილად ვცანით.

შუადღის 13:00 საათზე, საარჩევნო უბნების შემოვლის დროს, მცხეთის მესამე (ლათიკარის) საარჩევნო უბანში ყოფნისას, შევამჩნიე, რომ საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების“ დამკვირვებელს, ბადრი მერაბიშვილს, ხელში დიდი ზომის ჟურნალი ეჭირა, რომელზეც „ქართული ოცნების“ ლოგო იყო გამოსახული. საარჩევნო უბანზე პარტიული ლოგოებისა და დროშების გამომზეურება კანონით იკრძალება. ჩემი პროტესტის შემდეგ, ბადრი მერაბიშვილმა ჟურნალი უბნიდან გაიტანა და ბოდიშიც მოიხადა – არ ვიცოდი, თუ ასეთი რამ აკრძალული იყო.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მობილურ ჯგუფთან ერთად მცხეთის საარჩევნო უბნების შემოვლისას გამოჩნდა, რომ უცხოელი დამკვირვებლების უმრავლესობა, ძირითადად, ისეთ საარჩევნო უბნებზე მიდიოდა, რომლებიც მცხეთის ცენტრალურ და ადვილად მისადგომ ადგილებში მდებარეობდა. უცხოელები თითქმის ყველა უბანზე იყვნენ, მაგრამ ნარეკვავისა (მეოთხე) და ლათიკარის (მესამე) საარჩევნო უბნებზე პირველად 14:00 საათზე გამოჩნდნენ. მცხეთის ცენტრში მდებარე მე-5-ე და პირველ საარჩევნო უბნებზე კი მთელი დღის განმავლობაში 70-ზე მეტი დამკვირვებელი შევიდა. მათგან 20-ზე მეტი უცხოური სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები იყვნენ.

შემოვლის დროს, ასევე, შევამჩნიეთ, რომ როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ასევე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ახალგაზრდები საარჩევნო უბნებთან შორიახლოს ტრიალებდნენ და ერთმანეთს ცინიკური სიტყვებით მიმართავდნენ. მცხეთელი ახალგაზრდების საქებრად უნდა ითქვას, რომ მათი პოლიტიკური მტრობა ცინიზმს არ გასცდენია და სერიოზული შეხლა-შემოხლა მცხეთაში არსად გვინახავს.

სადამოს, ხმის მიცემის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მე-6 საარჩევნო უბანზე 3 წუთით შუქი ჩაქრა. მართალია, დამკვირვებლები საარჩევნო ყუთს თავზე დაადგნენ და ამ ფაქტს არჩევნების შედეგებზეც გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ საყურადღებოა, რომ 90-იანი „ბნელი“ წლებიდან მოყოლებული, ხმის მიცემის პროცედურის დასრულების წინ საარჩევნო უბანზე შუქი ჯერ კიდევ ქრება.

დღის ბოლოს ისევ იმ უბანზე (ფოსტის შენობაში) დავბრუნდი, სადაც დილით არჩევნებზე დაკვირვება დავიწყე. ამომრჩევლის რაოდენობა საკმაოდ იყო მომატებული და საარჩევნო კომისიის წევრები დაღლილ-დაქანცული სახეებით სულ საათებზე იყურებოდნენ. ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა ნანატრი რვა საათი და როდის დასრულდებოდა ხმის მიცემის მომქანცველი პროცედურა.

მეხუთე უბანზე მყოფი კომისიის 12 წევრიდან, მხოლოდ ერთი ზაზა მაჩხანელი გავიდა საარჩევნო უბნიდან. ჩემი მხრიდან ამ ფაქტზე რეაგირების შემდეგ, კომისიის მდივანმა, გიორგი პაპუაშვილმა საჩივრის დაწერა მირჩია, რაც რასაკვირველია გავაკეთე კიდევ. როგორც შემდეგ გაირკვა, მაჩხანელი (მისი სიტყვებით) ძალიან დაღალა საარჩევნო პროცესმა და გარეთ, სუფთა ჰაერზეც იმიტომ გავიდა. დაბრუნების შემდეგ, მაჩხანელს კოლეგების მხრიდან საყვედურების მოსმენა მოუწია. მან თავი ორიგინალურად იმართლა: „რა ვქნა აბა? მე მცხეთელი ვარ და ისე ვცხოვრობ, როგორც მცხეთელი. სხვანაირად არ შემიძლია“, - გვითხრა მან.

ნანატრი 20:00 საათის დადგომის შემდეგ, საარჩევნო უბნის კარი დახურეს და დათვლის პროცესის დაწყების დასტურად, ხელი ყველა იქ მყოფ ადამიანს მოგვაწერინეს. დამოუკიდებელ დამკვირვებლებს გვიხაროდა, რომ ჩვენთან ერთად, ამ პროცესს ეუთოს სადამკვირვებლო ჯგუფის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

მთვლელები თავიდან გახსნილი კონვერტიდან ამოღებულ ბიულეტენებზე დაწერილ პარტიის დასახელებებსა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების გვარებს რიხით ამზობდნენ. შემდეგ ხმების დათვლამ დამღლელი საქმის სახე მიიღო და იმაზე უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე წარმოვიდგენდით. საარჩევნო უბნის წინ შეკრებილი „ქართული ოცნების“ აქტივისტები პერიოდულად ოთახის შემოღებულ

ფანჯარაში თავს ყოფდნენ და გვაქეზებდნენ: ჰა, დროზე დათვალეთ, გელოდებითო! ამას კომისიის წევრების მხრიდან თავიდან პროტესტი მოჰყვა. შემდეგ კი, საერთოდ აღარ აქცევდნენ ყურადღებას ფანჯარაში თავშემოყოფილ აქტივისტებს.

ჩვენს უბანზე, პარტიებს შორის პირველ ადგილზე, „ქართული ოცნება“ გავიდა, რომელმაც უბანზე ხმის მისაცემად მისული 911 ამომრჩევლიდან ხმა 791-მა მისცა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი მხოლოდ 84 ხმა მიიღო. სხვა პარტიებმა ძალიან მცირე რაოდენობის ხმები მიიღეს. ზოგს საერთოდ არ მიუღია არც ერთი ხმა (ნეტავ, რისი იმედი ჰქონდათ?!). მაჟორიტარობის კანდიდატთაგან ერთმანეთს მცხეთაში მცხოვრები ორი გურული - „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, დიმიტრი ხუნდაძე და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, ანდრო კალანდაძე ეპაექრებოდნენ. მცხეთის 27-ე საარჩევნო ოლქის, მეხუთე საარჩევნო უბანზე ხუნდაძემ - 776, კალანდაძემ კი 106 ხმა მიიღო.

როდესაც საარჩევნო უბანზე ყოველგვარი პროცედურა მორჩა, საარჩევნო ატრიბუტიკა დალუქეს და ბიულეტენები სპეც-ტომრებში ჩააწყეს, ფოსტიდან გამოსვლისას უბანზე მყოფებს მთელი მცხეთა ქუჩაში დაგვხვდა გამოსული. იყო დიდი ჟრიამული და ავტომობილების სიგნალის გამუდმებული ჭყვიტინი. მცხეთელები ზეიმობდნენ. იმედია, საზეიმოდ არჩევნების შემდეგაც ექნებათ საქმე.¹⁵¹

8. ხაშურში არჩევნები სპეცრაზმმა გააყალბა. 02.10.2012. ტელეკომპანია „მესტროს“ ცნობით, ხაშურში, მესამე საარჩევნო უბანზე სპეცრაზმმა მხუთავი გაზი გაუშვა და რეზინის ტყვიები გამოიყენა. სპეცრაზმმა ასევე გაიტაცა საარჩევნო ყუთი. მოსახლეობა აცხადებს, რომ სპეცრაზმმა რეზინის ტყვიები გაისროლა. მას შემდეგ რაც სპეცრაზმელებმა შენობა დატოვეს, მოსახლეობა სკანდირებდა: „ფაშისტებო!“ იქვე იმყოფებოდნენ სასულიერო პირებიც.

როგორც ტელეკომპანია „მესტროს“ ეთერში ადგილობრივი მოქალაქეები აცხადებდნენ, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სპეცრაზმი იყო მობილიზებული.

¹⁵¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15654&lang=geo>

„მოვითხოვთ, სპეცრაზმმა სასწრაფოდ დატოვოს ხაშური“, - აცხადებენ ადგილობრივები.

„ქართული ოცნების“ წევრის, გოგი თოფაძის თქმით კი, ხაშურში კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატმა ვალერი გელაშვილმა გაიმარჯვა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს ასე არ მოხდეს.

„აქ ყაჩაღობა დაიწყო. ყველაფერს აკეთებენ, რომ ვალერიმ არ გაიმარჯვოს. მთელი ხაშური ფეხზე დგას. ცენტრში მთელი ჯარია ჩამოსული“, - აცხადებს გოგი თოფაძე. ხაშურის რაიონში შემავალ უბნებზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც უბნები დაიხურა და ხმის დათვლა დაიწყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინფორმაციით, ხაშურში სპეცდანიშნულების რაზმი არჩევნების შედეგებს აყალბებს.

ხაშურის საარჩევნო ოლქში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ორგანიზაცია განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მათი ინფორმაციით, სპეცრაზმელები რამდენიმე უბანზე შევიდნენ და შემაჯამებელი ოქმები გადააკეთეს.

„46-ე უბანზე მყოფი ჩვენი დამკვირვებლის თქმით, ხმების დათვლის დროს შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე მეტი ხმა მიიღო. თუმცა, მცირე ხნის შემდეგ უბანზე გამოჩნდნენ შეირაღებული პირები, რომლებმაც ყველა დამკვირვებელი შენობიდან გაყარეს. შემდეგ დაიწერა ახალი შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც უკვე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა. საოლქო კომისიამ სწორედ ეს ოქმი ჩაიბარა. ჩვენი კიდევ ერთი დამკვირვებლის ცნობით, სპეცდანიშნულების რაზმი ასევე შეიჭრა მე-19 უბანზე, სადაც დამკვირვებლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ და უბნიდან გამოაძევეს“, - ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადებაში.

ორგანიზაციის ცნობით, ხაშურში მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაცია მათ ეუთოს სადამკვირვებლო მისიამაც მიაწოდა, რომელმაც აცნობა, რომ „მე-5 და 45-ე უბანშიც სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა“.

„მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, მყისიერი რეაგირება მოახდინონ აღნიშნულ დარღვევებზე და მიიღონ შესაბამისი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მთლიანი ოლქის შედეგები“, - ნათქვამია განცხადებაში.

ხაშურში, მეათე საარჩევნო უბანზეც სპეცრაზმი იყო მობილიზებული. ხაშურში დამაბული ვითარება მთელი დღის განმავლობაში ფიქსირდებოდა. ღამით კი ხაშურის ქუჩებში სასულიერო პირებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად საპროტესტო მსვლელობა გამართეს. მშვიდობიანი აქციის გამართვა მას შემდეგ გადაწყდა, რაც სპეცრაზმის წარმომადგენლებმა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე რამდენჯერმე გაისროლეს.

„გაყალბების ძალიან ბევრი მცდელობა იყო, თუმცა, ძალიან დაბალი პროცენტი მოახერხეს, რომ გაეყალბებინათ. გაყალბებაში მონაწილეობას ყველა იღებდა, ვინც ხელისუფლებაშია და არა მხოლოდ რაიონიდან, არამედ თბილისიდანაც იყვნენ ჩამოსულები. ჩვენდა საკეთილდღეოდ ადამიანებს ეყოთ ვაჟკაცობა, გამბედაობა, ისინი გმირები გახდნენ, ვისაც გაყალბება დაავალეს, მოვიდნენ და გვერდში დაგვიდგნენ“, - განაცხადა აქციის მონაწილე სასულიერო პირმა.

„ინტერპრესნიუსის“ ცნობით, მსვლელობის პერიოდში მშვიდობიანი აქციის მონაწილეები საოლქო საარჩევნო კომისიასთან ცოტა ხნით შეჩერდნენ.

ხაშურში არსებული ვითარების თაობაზე პოზიცია გამოხატა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. საიამ საჩივრით მიმართა ხაშურის #35-ე საოლქო საარჩევნო კომისიას და ხაშურის #3, #5, #10, #19, #45 და #46 უბნების შედეგების ბათილობას მოითხოვა.

საიას განცხადებაშია აღნიშნულია, რომ ამ მოთხოვნის მიზეზია გავრცელებული ინფორმაცია დასახელებულ უბნებზე სპეცდანიშნულების რაზმების შესვლისა და შემაჯამებელი ოქმების გადაკეთების შესახებ. საია ასევე ითხოვს #26-ე უბნის შედეგების ბათილობას, საიდანაც დამკვირვებლები გამოაძევეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციის მიერ საარჩევნო უბნების მიმდებარედ ცეცხლის გახსნას არ ადასტურებს. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ

განცხადებაშია ნათქვამი, რამდენიმე საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს პოლიციის ქვედანაყოფებმა საარჩევნო უბნების მიდამოებში ძალა გამოიყენეს და ცეცხლი გახსნეს, არის სიცრუე.

„პოლიციელები ახორციელებდნენ იმ უბნების გარე პერიმეტრების დაცვას, სადაც დაფიქსირდა გარკვეული პრობლემები. ადგილი არ ჰქონია არავითარი იარაღის და სპეცსაშუალებების გამოყენებას. ყველა უბანზე, საიდანაც შემოვიდა პოლიციაში განაცხადი და, შესაბამისად, მოხდა მობილიზება, შეკრებილი აქტივისტები დაიშლნენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე“, - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

„ინტეპრესნიუსის“ ცნობით, შუალამისას ხაშურის საავადმყოფოში ცრემლსადენი გაზით ინტოქსიკაციით რამდენიმე პაციენტი მიიყვანეს. როგორც მორიგე თერაპევტი აცხადებს, მათგანს ერთს სტაციონარული მკურნალობა დასჭირდა. 29 წლის მამაკაცი კი დარჩება ხაშურის საავადმყოფოში, რომელსაც აქვს შედარებით მძიმე ფორმა მხუთავი გაზით ინტოქსიკაციისა. თუმცა, როგორც საავადმყოფოში განაცხადეს, მასაც სავარაუდოდ მალევე გაწერდნენ.¹⁵²

9. არასაკმარისი ბიულეტენები და ამომრჩეველი „ნაციონალური მოძრაობის“ მოსაწვევებით. 03.10.2012.

1 ოქტომბერს წყალტუბოს #58 საარჩევნო ოლქში რვა საარჩევნო სუბიექტი იყო რეგისტრირებული. ამომრჩეველთა რაოდენობა 53 846 შეადგენდა და სულ 68 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი. აქედან ექვს უბანზე დევნილები იღებდნენ მონაწილეობას, სადაც 3 389 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. კიდევ ერთი საარჩევნო უბანი, 488 ამომრჩეველზე, გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაიხსნა.

წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიამ 53 846 ამომრჩეველზე ცესკოდან მიღება-ჩაბარების ხელშეკრულებით 48 100 ბიულეტენი მიიღო, ანუ - საჭიროზე 5746 ბიულეტენით ნაკლები. „ჩვენ დალუქულ ბიულეტენებს არ შევხებივართ.

¹⁵² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15649&lang=geo>

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ეს რაოდენობა მოგვცა. ყველა უბნის ბიულეტენი რაოდენობის მიხედვით დალუქული და დათვლილი იყო და ჩვენც უბნებს იგივე ფორმით მიღება-ჩაბარების აქტით გადავეცით. თუკი რომელიმე უბანზე გამოცხადება მიღებულ ბიულეტენებზე მეტი იქნება, ჩვენ ცესკოს დაუყონებლივ შევატყობინებთ და ინსტრუქციის მიხედვით ვიმოქმედებთ“, - განაცხადა ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას #58 საოლქო კომისიის თავჯდომარე ზოია ფანცულაიამ არჩევნების მიმდინარეობისას.

ბიულეტენების არასრულ რაოდენობასთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჩივარი საოლქო კომისიაში დაწერა. თუმცა, მასზე რეაგირება საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას არ მომხდარა.

წყალტუბოს #58 საარჩევნო ოლქის #21 საარჩევნო უბანზე „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გელა ნიჟარაძემ არასაკმარისი ბიულეტენების გამო საჩივარი დაწერა.

„ჩვენ ეს ფაქტი საოლქო კომისიასაც შევატყობინეთ და კოალიციაშიც დავრეკეთ. ანალოგიური ვითარებაა წყალტუბოს ყველა უბანზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობაზე გაცილებით ნაკლები ბიულეტენია მიღებული. გარდა ამისა, რამდენიმე ამომრჩეველი „ნაციონალური მოძრაობის“ მოსაწვევებით მოვიდა, რომელიც დღეს ამავე პარტიის კოორდინატორებმა უბნებზე დაარიგეს. მინდა ვუთხრა ამ ხელისუფლებას, რომ მოსახლეობას არჩევნებზე დაპატიჟება არ სჭირდება - ისინი საარჩევნო უბანზე მათ გარეშეც მოვლენ და თავიანთ პოზიციასაც დააფიქსირებენ“, - განაცხადა გელა ნიჟარაძემ.

წყალტუბოს #67 საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩეველი ზუსტად 8:00 წუთზე დაფიქსირდა. ბიულეტენების რაოდენობა 1 216 ამომრჩეველზე 1 050 იყო. ამ უბანზე ვიდეოგადაღებას ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი აწარმოებდა. უბანი ხუთსართულიანი სახლის პირველი სართულის ერთოთახიან ბინაში იყო განთავსებული. ფართი არასაკმარისი იყო. „სხვა ალტერნატიული ადგილი საარჩევნო უბნისთვის ვერ

მოიძებნა. გეთანხმებით, რომ აქ ძალიან სივიწროვება და დამკვირვებლები და წარმომადგენლები ვერ ეტევიან კენჭისყრის ოთახში, მაგრამ რა ვქნათ?!“ - განაცხადა #67 საარჩევნო უბნის კომისიის თავჯდომარე ირმა კილასონიამ humanrigts.ge-სთან საუბრისას.

სივიწროვის პრობლემის გარდა, აღნიშნული უბანი პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის წინ იყო გახსნილი. პარტიის აქტივისტები ხმის მისაცემად მისულ ამომრჩევლებს პირდაპირ შტაბიდან ინიშნავდნენ.

14 წუთის დაგვიანებით გაიხსნა წყალტუბოს #13 საარჩევნო უბანი. კომისიის თავჯდომარე მურმან გაზდელიანი ამ ფაქტს ადასტურებს: „საარჩევნო ხმის მიცემის დაგვიანება მოსამზადებელი სამუშაოების გაჭიანურებამ გამოიწვია, რადგან ერთი საათი ამ სამუშაოს შესრულებისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მიკროავტობუსი ნომრით LBL-611 დააფიქსირეს, რო მელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო პლაკატები ჰქონდა გაკრული და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლები მოყავდა.

„ამ დარღვევებს წინ უძღოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ამომრჩევლების მოსყიდვა, რაც 30 სექტემბერს დავაფიქსირეთ. ჩვენ ამ ფაქტებთან დაკავშირებით რეაგირება მოვახდინეთ, შემდგომ ეტაპზე კი სასამართლოს მივმართავთ“, - განაცხადა კოალიცია „ქართული ოცნების“ წყალტუბოს შტაბის ხელმძღვანელმა ნატო ქათამაძემ.¹⁵³

10. 03.10.2012 გურიაში არჩევნები ძირითადად მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. რამდენიმე დარღვევას არჩევნების შედეგზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. ცესკოს პირველადი მონაცემებით, გურიის ყველა საარჩევნო ოლქში პროპორციულ და მაჟორიტარულ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ლიდერობს.

¹⁵³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15656&lang=geo>

ჩოხატაურის 62-ე საოლქო საარჩევნო კომისიის ჩაისუბნის საარჩევნო უბანზე გადასატანი ყუთის მოთხოვნაზე, ძირითადად, ერთი ხელით ნაწერი განცხადებებია შესული. როგორც გვითხრეს, ამომრჩეველთა განცხადებებზე პასუხისმგებელი პირი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტია.

ოზურგეთში, ანასეულის უბანზე დაფიქსირდა ფაქტი, როცა ერთ-ერთ უბანზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, შუქრი გაბრიჩიძეს მანქანაში დამალული სია ჰქონდა. გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ მეგობრების სია აქვს. აღნიშნული უბნის კომისიის თავმჯდომარე კი თავად შუქრი გაბრიჩიძის მეუღლე, მაია გოცირიძე იყო.

ლანჩხუთში, გვიმბალაურის #9 საარჩევნო უბანზე 1009 ამომრჩეველია დარეგისტრირებული. მათგან გადასატანი ყუთი 37 ამომრჩეველთან მივიდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მალხაზ იმნაძის მოთხოვნით, კანონში აღნიშნული „განსაზღვრული რაოდენობის“ ნაცვლად, უნარშეზღუდულ ამომრჩეველებთან 40 ბიულეტენი წავიდა, რის გამოც უბანზე დაიწერა საჩივარი. სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველთა დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები არიან, რომელთაც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ერთჯერადი დახმარებები დაურიგეს ან სხვა ფორმით მოახდინეს მათზე ზეწოლა. ისინი, ან მათი ოჯახის წევრები, ფაქტობრივად, ღიად აფიქსირებდნენ, რომ ხმას მმართველ პარტიას აძლევდნენ.

გვიმბალაურის უბანზევე დაფიქსირდა კონვერტების ნაკლები ოდენობა. ამ უბანზე დაფიქსირებულია 1009 ამომრჩეველი, კონვერტი კი მხოლოდ 900 მივიდა. კომისიის თავმჯდომარემ ასეთი კომენტარი გააკეთა: თუ ათასი ამომრჩეველი მოვიდა, მოვითხოვთ ოლქიდან კონვერტების შევსებასო. ქალაქ ლანჩხუთის #2 უბანზე გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, რომელიც ოლქში დამკვირვებლის სტატუსითაა, კაბინაში შეიყვანა ხანდაზმული ამომრჩეველი. ირმა მგელაძემ ეს ფაქტი ამგვარად ახსნა: „დედაჩემია და მხოლოდ ხელით ვიკავებ“.

შუხუთში საარჩევნო უბნის გვერდით ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის, გიორგი გოგუაძის შტაბში დღის 3 საათისათვის შედიოდნენ შუხუთის

საჯარო სკოლის პედაგოგები და საჯარო მოხელეები. იქვე შევნიშნეთ საკრებულოს თავმჯდომარე, გოგუაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, რევაზ ჩიტბე, კითხვაზე, რატომ იყვნენ შტაბში პედაგოგები და საჯარო მოხელეები, ჩიტბემ გვიპასუხა: „ესენი არ არიან საჯარო მოხელეები და პედაგოგები, ჩემი აქტივისტები არიან“.

პოლიციამ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული შტაბის წევრი, რომელიც ავტომანქანით გადაადგილდებოდა, 300 ლარით დააჯარიმა. სოსო ორგაველიძის თქმით, მას წესები არ დაურღვევია და დოკუმენტებიც წესრიგში ჰქონდა: „სიგნალი მოგვცით, განიშნეთ, რომ გაჩერებულიყავი და არ გაჩერდიო, მითხრეს. არადა, არაფერი გამაფრთხილებელი სიგნალი მე არ გამიგონია, არც რუპორით დაუყვირიათ, თორემ გავიგონებდი და სამასლარიან ჯარიმას არ ავიკიდებდი“.

გურიაში დაფიქსირდა ზეწოლა „ქართული ოცნების“ კოორდინატორებზე. მათ ურეკავდნენ პოლიციელები და ეუბნებოდნენ, რომ აიღეს 250-250 ლარი და სამშაბათისთვის დაკითხვაზე იბარებდნენ.¹⁵⁴

11. ვალერი გელაშვილი: „ხაშურის მაჟორიტარულ ოლქს არ დავთმობთ“. 04.10.2012.
ხაშურში ისევ რთული ვითარებაა და ჩვენ ამ მაჟორიტარული ოლქის დათმობას არ ვაპირებთ, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატმა ვალერი გელაშვილმა განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, საოლქო კომისია მათი 10 საჩივრის განხილვას აჭიანურებს და სხდომას არ ატარებს.

„ჩვენ ხაშურის მაჟორიტარულ ოლქს არ დავთმობთ, რადგან ჩემს რაიონში უკვე მესამედ გავიმარჯვე. კომისიების წევრები ღიად აცხადებენ, რომ ყალბ ოქმებზე ხელმოწერა სპეცრაზმმა აიძულა. საოლქო კომისიის თავმჯდომარემ კი კრიმინალი ჩაიდინა, როდესაც გაყალბებული ოქმები დაარეგისტრირა. მოვითხოვთ იმ უბნების

¹⁵⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15655&lang=geo>

ბათილად ცნობას, რომლებზეც სპეცრაზმი იყო შესული ან რეალური შედეგების დაწერას, რაც სინამდვილეში დაფიქსირდა“, - აღნიშნა გელაშვილმა.

მისივე განმარტებით, სიტუაციის არევა არ სურს, მაგრამ ხალხის შეჩერება არ შეუძლია, რადგან მათი მოთხოვნები სამართლიანია.

„ხალხი რომ გავაჩერო, ხვალ მე გადამივლიან. ჩვენ უნდა დავიცვათ ის მხარდაჭერა, რაც ამ ოლქში გამოგვიცხადეს“, - აღნიშნა ვალერი გელაშვილმა.

მისივე თქმით, საოლქო კომისიის თავმჯდომარე ცესკოს თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის მითითებით, სახლიდან არ გამოდის და კომისიის სხდომას არ ატარებს.

ამასთან, საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევები ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივ წინასწარი დასკვნაშიც აისახა.

კერძოდ, წინასწარი დასკვნის თანახმად, საერთაშორისო დამკვირვებლებმა პროცედურული პრობლემის იდენტიფიცირება შეძლეს.

„საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ ამომრჩევლები თავიანთ არჩევანს ყოველთვის საიდუმლოდ არ აკეთებდნენ, დამკვირვებლებმა მონახულებული საარჩევნო უბნების 5%-ში ჯგუფურად ხმის მიცემის ფაქტები დააფიქსირეს. გარკვეული არათანმიმდევრულობა ასევე დაფიქსირდა მარკირებისთვის გამოყენებული მელნის გამოყენებისას და შემოწმებისას, მარკირება ერთი ადამიანის მიერ ხმის მრავალჯერ მიცემის აღკვეთისთვის გამოიყენება (მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები მონახულებული უბნების 7%-ში იქნა დაფიქსირებული). ამომრჩეველთა იდენტიფიცირების პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო. მონახულებული საარჩევნო უბნების 7.5%-ში გარკვეული რაოდენობის ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრეს რადგან მათი გვარები არ აღმოჩნდა შესაბამის ამომრჩეველთა სიებში. მართალია, ხმის დათვლის პროცედურები მთლიანობაში შესრულებული იყო, მაგრამ საერთაშორისო

დამკვირვებლებმა დათვლის პროცესი ხმის მიცემის პროცესთან შედარებით ნაკლებად პოზიტიურად შეაფასეს. მონახულებული საარჩევნო უბნების თითქმის ერთ მეექვსედში ხმის დათვლის პროცესი ნეგატიურად იქნა შეფასებული. მონახულებული 135 საარჩევნო უბნების ერთ მესამედში საუბნო საარჩევნო კომისიას შედეგების ოქმის შედგენა გაუჭირდა, რამაც პროცედურული შეცდომები გამოიწვია, მათ შორის მონახულებული საარჩევნო უბნების ერთ მეათედში ოქმებზე ხელის წინასწარ მოწერა იქნა დაფიქსირებული. შედეგების ოქმები ყოველთვის გამოკრული არ იყო, რაც კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგება და გამჭირვალეობის პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენს. იყო იმის ნიშნები რომ მანამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით 7 შემთხვევაში საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრა მოხდა, მათ შორის ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ხაშურში სადაც ხმის დათვლის პროცესი მოგვიანებით ჩაიშალა. ცესკომ განაცხადა რომ რამოდენიმე საარჩევნო უბანზე არჩევნების შედეგების გაუქმების შესაძლებლობა განიხილება. ხმების შეჯამების პროცესი ძირითადად გამჭირვალედ მიმდინარეობდა, ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში ზედმეტი ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. საერთაშორისო დამკვირვებლების მონაცემებით რვა შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიების მასალები წესიერად დალუქული არ ყოფილა და შეჯამების პროცესზე დაკვირვებისას (87-ე უბანზე) 9 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმში დაფიქსირებული ციფრები სწორად შეჯამებული არ ყოფილა. თეთრიწყაროში სულ ცოტა ორმა საუბნო საარჩევნო კომისიამ მათი ბიულეტენები და ოქმები პირდაპირ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გააგზავნა რადგან ხალხმრავლობის გამო მათ ამ დოკუმენტების საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანა ვერ მოახერხეს“, - ნათქვამია დასკვნაში.¹⁵⁵

12. 04.10.2012. ამომრჩევლის მისყიდვა, ხალხის ტრანსპორტირება საარჩევნო უბნებზე, მუქარა ამომრჩეველზე: „არ გაბედო 41-ის შემოხაზვა, თორემ ინანებ!“ ამომრჩეველთა რაოდენობაზე ნაკლები ბიულეტენები და ზოგადად, არასათანადო

¹⁵⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15670&lang=geo>

პირობები საარჩევნო უბნებზე - ამ ვითარების მიუხედავად, ქუთაისში 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩევლის უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა.

ზეწოლის მიუხედავად, რომელზეც ქუთაისელები როგორც არჩევნების დღეს, ისე წინასაარჩევნო პერიოდშიც ჩიოდნენ, ქუთაისში არჩევნები კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდა.

„ზეწოლაა, აბა რა არის. ხალხი საარჩევნო უბნებზე „ნაცმოდრობის“ ფლაერებით მოდის. ამის გარდა, მათი კოორდინატორები უბანზე მოსულ ხალხს კატეგორიულად თხოვენ, ხუთიანი შემოხაზონ. ხელჩართული ჩხუბებია ქუჩებში, საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე. გაიგეთ, „ნაციონალებო“, რომ ეს ქვეყანა აღარაა ვანოსი. ჩვენი შვილებისაა და არავის მივცემთ უფლებას, მათ მომავალი წაართვან“, - ამომრჩევლის ეს პათოსი უკვე წარსულში დარჩა. ისევე, როგორც არჩევნებში 54.13%-ით გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის საუბარი „არნახულ ზეწოლაზე“.

„არნახული ზეწოლა იყო ხელისუფლების მხრიდან. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველმა გაიმარჯვა. მინდა, ქუთაისს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის და ვთხოვო ყველას, გამოვიდნენ და დადგნენ საარჩევნო უბნებთან საკუთარი ხმების დასაცავად. რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ მარცხის გამო მზად არის გაიტაცოს საარჩევნო ყუთები და ისინი სხვა ყუთებით ჩაანაცვლოს. ცოტა ხნის წინ კოალიციის ერთ-ერთ წევრს გელა გომამეს უცნობმა პიროვნებამ დაურეკა და ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრა“, - ასე მიმართა ქუთაისელ ამომრჩეველს 1 ოქტომბერს, დღის მ ეორე ნახევარში, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა კოალიცია „ქართული ოცნებიდან“.

„ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციის წევრი გელა გომამე 1 სექტემბერს დააკავეს. იგი დაკავებიდან რამდენიმე საათში, 3-ათას ლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ, გაათავისუფლეს. 20-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე ყოფილ პოლიციელს, რომელიც ოთხი წლის წინ წარმატებული მუშაობისთვის შსს-ს მიერ

სათანადოდ დაჯილდოვდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება დასდეს ბრალად.

„ასეთი ფაქტი არაერთია. ხალხის მოსყიდვის ბრალდებით დაკავებული აქტივისტების საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 26 სექტემბერს მეოთხედ გადაიდო. ჯერაც დაკავებული არიან უდანაშაულო ბავშვები, რომლებიც მხოლოდ საინფორმაციო მასალას არიგებდნენ. აღარაფერს ვამბობთ ცემის ფაქტებზე და იმაზე, რომ ჩვენი აქტივისტები მძიმე ტრამვებით დღეების განმავლობაში საავადმყოფოებში რჩებოდნენ“, - აცხადებენ კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციაში, სადაც მოპოვებული ხმების 58% - სთვის ამომრჩეველს მაღლობას უხდიან.

„დადიოდნენ ყველგან, ყველა უბანში, მარკეტებში, სალონებში, სკოლებში, საავადმყოფოებში და ხალხს პირდაპირ ავალებდნენ, ხმა მათთვის მიეცათ. იყო მუქარები, ზეწოლის ფაქტები და ბევრი უსირცხვილობები. არიგებდნენ თანხასაც: 20, 25, 20 ლარს (დაკისრებული დავალებების მიხედვით). მოკლედ, ყველაფერზე მიდიოდნენ და ამ რეჟიმით იმუშავეს 1 ოქტომბერსაც. საარჩევნო უბნებთან მარშუტკებით მიყავდათ „კარგად დამუშავებული“ ხალხი. თავისი ფეხით მისულებს კი, ვითომ სხვათაშორის ეუბნებოდნენ, 5 ნომერი შემოეხაზათ“, - აცხადებენ ქუთაისელი ამომრჩევლები.

ქუთაისის 59-ე საოლქო კომისიის მონაცემებით, ამომრჩევლის უმრავლესობამ ხმა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა. ხმათა 35% მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ.“ პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატს გიორგი თევდორაძეს კი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ პროპორციული სიის მე-5 ნომერია, ხმათა 36% ხვდა წილად.¹⁵⁶

13. ადამიანის უფლებათა ცენტრი არჩევნების გაყალბების ფაქტზე პროკურატურას საჩივრით მიმართავს. 04.10.2012. ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებდა, პროკურატურაში სიღნაღის საოლქო-

¹⁵⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15669&lang=geo>

საარჩევნო კომისიის წევრების და თანამშრომლების მიმართ არჩევნების გაყალბების ფაქტზე საჩივრის შეტანას გეგმავს.

4 ოქტომბერს სოფელ ვაქირის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბიჭიკო ჯებირაშვილმა და კომისიის წევრებმა, საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე დაადასტურეს, რომ მაჟორიტარული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი, რომლითაც სიღნაღში არჩევნებს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ლევან ბეჟაშვილი იგებს, გაყალბებულია. კომისიის წევრებმა გამყალბებლებიც დაასახელეს. ცესკო-ს მონაცემებით, საპარლამენტო მაჟორიტარულ არჩევნებში, სიღნაღის საარჩევნო ოლქში „ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა“ ლევან ბეჟაშვილმა გაიმარჯვა 48,7%-ით (10 124 ხმა). „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატს გელა გელაშვილს 47,19% (9 811 ხმა) აქვს. ცესკოს-ს მონაცემებით, ბეჟაშვილი გელაშვილს 313 ხმით უსწრებს.

„ქართული ოცნება“ სადავოდ ხდის N5 ვაქირის საარჩევნო უბნის მაჟორიტარული არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ცესკო-ს ვებგვერდზე ატვირთული აღნიშნული უბნის ოქმის მიხედვით, ლევან ბეჟაშვილს 436 ხმა აქვს მიღებული, გელა გელაშვილს კი 146. ოქმი 2 ოქტომბრით, 01:25 საათით არის დათაღირებული, თუმცა მას კომისიის 5 წევრის ხელმოწერა არ აქვს.

არსებობს ვაქირის მე-5 საარჩევნო უბანზე მაჟორიტარული არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი მეორე ოქმიც, რომელსაც კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა აქვს, ბეჭდითაც დამოწმებულია და რომლის მიხედვითაც ლევან ბეჟაშვილს 207 ხმა აქვს მიღებული, ხოლო გელა გელაშვილს 377 ხმა. არჩევნების შედეგების ამ ოქმით შეჯამების შემთხვევაში, საერთო ჯამში ლევან ბეჟაშვილი 9 895 ხმას იღებს, ხოლო გელა გელაშვილი 10 042 ხმას.

კოალიციის წარმომადგენელი ზვიად გოგალაძე სიღნაღის საოლქო – საარჩევნო კომისიაში შეტანილ საჩივარში აღნიშნავს: „N5 ვაქირის საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი „ყალბი“ შემაჯამებელი ოქმი, შედგენილია არარეალური

მონაცემების დაფიქსირებისათვის, კერძოდ - ამ ოქმის მიხედვით, მაჟორიტარ კანდიდატს გელა გელაშვილს დაკლებული აქვს 231 ხმა დეპუდატობის კანდიდატის, ლევან ბეჟაშვილის სასარგებლოდ. აქტის დამოწმება შეუძლიათ არჩევნების დღეს ხმების დათვლისას №5 საარჩევნო უბანში მყოფ პირებს: საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებიდან მყოფ დამკვირვებლებს. უფრო მეტიც თვით კომისიის წევრებს“. საჩივრის ავტორი ცესკოს ვებგვერდზე ატვირთული ოქმის არარად აღიარებას და არჩევნების შეჯამებას მათ მიერ წარდგენილი ოქმის მიხედვით ითხოვდა.

სიღნაღის საოლქო – საარჩევნო კომისიამ საჩივარი 3 ოქტომბერს განიხილა. სხდომა ხმაურით წარიმართა. კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებში ცესკოს– წარმომადგენელი ერეოდა და პრაქტიკულად სხდომას ის წარმართავდა. სხდომის მიმდინარეობის პარალელურად, შენობის წინ, სადაც კომისიის ოფისია, ასობით ადამიანი იყო შეკრებილი. ისინი სკანდირებდნენ, რომ კომისიას ობიექტური გადაწყვეტილება მიეღო. საოლქო კომისიის თავმჯდომარემ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ზვიად გოგალაძის წარდგენილ ოქმს გაურკვეველი წარმოშობის ოქმი უწოდა. ამის შემდეგ კომისიის წევრებს ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ირინა იმერლიშვილმა იგივე ოქმი წარუდგინა, ოღონდ კომისიის ბეჭდის ორიგინალით დამოწმებული.¹⁵⁷

სხდომაზე ახსნა–განმარტება მისცა ვაქირის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბიჭიკო ჯებირაშვილმა. მისი თქმით, კენჭისყრის შედეგად ვაქირში 377 ხმა მიიღო გელა გელაშვილმა და 207 ლევან ბეჟაშვილმა. მისივე განცხადებით, ოქმი, რომელიც საოლქო კომისიაში წარადგინეს, გაყალბებულია თვით საოლქო კომისიის მიერ. „არჩევნები ჩვეულებრივად ჩავატარეთ. სადამოს ჩვეულებრივ გავხსენით ყუთები, დაითვალა ხმები. მთვლელები დავაყენეთ ცალკე, 2 მეტრის მოცილებით დავაყენე დამკვირვებლები, როგორც წესია. დაითვალა ხმები 1, მე– 2, მე–3 გადანაწილ და, მათ შორის ამოვიდა ხმათა რაოდენობა ასეთი. 207 იყო

¹⁵⁷ http://www.youtube.com/watchfeature=player_embedded&v=E2cNaV8TUvI

ნაციონალებისა, ორივე მაჟორიტარულიც და პროპორციული. 377 იყო ოცნებისა. არჩევნების დასრულების შემდეგ დავურივე კომისიის ყველა წევრს ოქმი, ყველაფერი ეწერა რა როგორ იყო“, – განაცხადა ბიჭიკო ჯებირაშვილმა.¹⁵⁸

კახეთის საინფორმაციო ცენტრის სტატიის სრული ვერსია, ასევე ფოტო და ვიდეომასალები იხ. ლინკზე: <http://ick.ge/ka/articles/12620--photos-videos.html>

14. სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა ჯარისკაცებმა ხმა გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატს მისცეს. 04.10.2012. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, როგორც მაჟორიტარული ასევე პროპორციული სიით „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს. კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდაბნის შტაბში ამბობენ, რომ არჩევნების შედეგებზე კერძოდ კი მაჟორიტარის არჩევაზე, დიდი გავლენა მოახდინა ვაზიანის სამხედრო ბაზის შედეგებმა.

„ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა ვაზიანის სამხედრო ბაზის ჯარისკაცებმა ხმა გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატს მისცეს, რაც კანონის დარღვევაა.

Humanrights.ge საკითხის გასარკვევად გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიას ესტუმრა. ადგილზე ოლქის მდივანმა აგვიხსნა, რომ სამხედროებმა მართლაც არჩევნებზე ორი ბიულეტენი მიიღეს და შესაბამისად, ხმა გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატსაც მისცეს. გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიაჩნიათ, რომ სამხედროებს ამის უფლებას საარჩევნო კოდექსი აძლევთ.

საარჩევნო კოდექსის მე-5 პუნქტში კი ვკითხულობთ: „ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს: ა) როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას – ერთი და იმავე ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე“.

¹⁵⁸ http://www.youtube.com/watchfeature=player_embedded&v=I5NhjQMKLqo

შესაბამისად, ლოგიკურია, თუ ამ კანონის მიხედვით ვიტყვით, რომ ქვეყნის სხვა რეგიონების საარჩევნო ოლქში მცხოვრებ სპეციალურ სიაში შეყვანილ ამომრჩევლებს, ხმა მათი დროებითი საცხოვრებლის, ანუ სამხედრო ბაზის ადგილსამყოფელის მიხედვით არ უნდა მიეცათ.

„დემოკრატიისა და ბიზნესის განვითარების ინსტიტუტის“ დამკვირვებლის დ. კუპრეიშვილის საჩივარში ვკითხულობთ: „*დამკვირვებლის სტატუსით ვიმყოფებოდი ვაზიანის №65 სპეციალურ საარჩევნო უბანზე. დავაფიქსირე შემდეგი დარღვევა: სამხედროები მონაწილეობდნენ, როგორც პროპორციულ ასევე მაჟორიტარულ არჩევნებზე. უბანზე ხელმძღვანელობდნენ საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტით, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. საუბნო საარჩევნო კომისიებს უნდა ეხელმძღვანელოთ 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით. მე ავუხსენი უბნის ხელმძღვანელს, რომ მე-7 პუნქტი, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სურდათ ხმის მიცემა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ამ შემთხვევაში კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს ამისთვის საჭირო პროცედურებს. მან კი საპასუხოდ განაცხადა, რომ საოლქოსგან ჰქონდა ზეპირი დავალება მიღებული, რომ სამხედროებისთვის ორივე ბიულეტენი უნდა გადაეცა“.*

კუპრეიშვილს სამხედრო უბნებთან დაკავშირებით სამი საჩივარი აქვს დაწერილი. ის საჩივრებში უთითებს, რომ უბნის კომისიების ხელმძღვანელებმა მიიღეს მისი შენიშვნა, მაგრამ ამის მიუხედავად, ხმების დათვლისას შენიშვნა არ გაითვალისწინეს.

გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიაში დავინტერესდით დ. კუპრეიშვილის საჩივრის ბედით. აგვიხსნეს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ არც ერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სამი საარჩევნო უბანი მოქმედებდა №64, 65, 66. აღნიშნულ უბნებზე სამხედროებმა ხმები ორივე ბიულეტენების გამოყენებით მისცეს.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ კი ბიულეტენები დასათვლელად №33, 34 და 38 უბნებზე გადაიტანეს.

„დემოკრატიისა და ბიზნესის განვითარების ინსტიტუტის“ დამკვირვებელი თავის საჩივრებში უთითებდა, რომ წინააღმდეგი იყო, სამხედროების ხმები შეერიათ სხვა უბნის ამომრჩევლების ხმებში. საჩივრებში ჩანს, რომ დამკვირვებლის მხრიდან მოხდა ამის შესახებ საუბნო კომისიების წინასწარ გაფრთხილება და რადგან გაფრთხილების მიღების დროს სამხედრო უბნების ბიულეტენები სხვა უბნის ხმებთან შერეული არ იყო - საკითხის მოგვარება კიდევ, შესაძლებელი იყო.

დამკვირვებლის პროტესტი არავინ გაითვალისწინა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებმა და რეგისტრირებულმა სამხედროებმა ხმა, მაინც გარდაბნის მაჟორიტარს მისცეს. ცესკოს უკანასკნელი მონაცემებიდან ჩანს, რომ გარდაბანში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი ფეიქრიშვილმა გაიმარჯვა. მან ხმების 57,04 % მიიღო, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მამუკა არეშიძემ კი – 40,61 %.¹⁵⁹

15. თერჯოლაში ამომრჩეველი ხმების დასაცავად იბრძვის. 05.10.2012. 2-3 ოქტომბერს თერჯოლის #49 საოლქო საარჩევნო კომისიის წინ კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის ზაალ გოგსაძის ხმების დასაცავად აქცია მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგებს აპროტესტებდნენ და რამდენიმე უბნის შედეგების გახსნას, ასევე - სპეციალური საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმებას მოითხოვდნენ.

თერჯოლის N49-ე საარჩევნო ოლქის N34-ე ნახშირღელის სპეციალურ უბანზე სიმონეთის მე-3 ქვეითი ბრიგადის სასროლეთია განლაგებული. სამხედროებს მაჟორიტარის არჩევის უფლება არ ჰქონდათ, რადგან 17 ამომრჩევლის გარდა, არც ერთი თერჯოლის მკვიდრი არ ყოფილა.

¹⁵⁹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15664&lang=geo>

„ჩვენ მოვითხოვთ გაუქმდეს N34-ე სპეციალური საარჩევნო უბანი, სადაც მაჟორიტარული სიით ხმის მიცემა არაკანონიერად მოხდა. „ქართული ოცნების“ მიერ 29 სექტემბერს შეტანილი განცხადება საოლქო- საარჩევნო კომისიამ არჩევნების მეორე დღეს განიხილა. კერძოდ, განცხადება ეხებოდა სამხედრო სპეციალურ უბანზე არსებულ სიაში მყოფ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. სიაში, 897 სამხედროდან, მხოლოდ 17 სამხედრო იყო თერჯოლის მკვიდრი. კომისიამ კი არ დააკმაყოფილა განცხადებაში აღნიშნული საკითხი და ყველა სამხედრომ ხმა მაჟორიტარსაც მისცა“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაალ გოგსაძემ.

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე არაოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხონის სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცების გადაანაწილეს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს შეიძლებოდა წაეგოთ. ხონის ნაწილიდან 1 500 ჯარისკაცი გადაიყვანეს.

ხონის #55-ე ოლქის #30 სპეციალურ უბანზე, სადაც საჯარისო ნაწილში მყოფი პირები მონაწილეობდნენ მხოლოდ 159 ამომრჩეველი დაფიქსირდა. ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ბაზაზე, რომელიც თითქმის 2 000 სამხედროზეა გათვლილი, არჩევნების დღეს მხოლოდ 159 ამომრჩეველი იყო.

„ქართული ოცნების“ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზაალ გოგსაძის განცხადებით, სამხედროთა დისლოკაციის ადგილი თერჯოლის რაიონში არ არსებობდა და არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე „გაჩნდა“.

3 ოქტომბერს ხმების დასაცავად აქციას თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიასთან, ზესტაფონის, ქუთაისის და ტყიბულის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და უკვე გამარჯვებული მაჯორიტარები შეუერთდნენ. გუბაზ ასნიკიძემ აქციაზე განაცხადა, რომ „საოლქოსთან აქციებს აზრი აღარ აქვს, რადგან ბრძოლა უკვე სხვა ინსტანციაში უნდა გადავიდეს და ეს ინსტანცია სასამართლო იქნება“.

„ქართული ოცნების“ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაალ გოგსაძემ ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა და შესაძლო პროვოკაციებისგან თავის

არიდება ურჩია. ოდნავ მოგვიანებით კი საოლქო საარჩევნო კომისიიდან უმისამართო და უავტორო წერილი გადმოაგდეს შემდეგი შინაარსით: „ზემოდან ზეწოლაა, გარეთ არ გაგვიშვათ“.

აქციის პარალელურად თერჯოლაში ზესტაფონის პოლიციის თანამშრომლების მობილიზება ხდებოდა. ქალაქის ცენტრში საღამოს 7 საათისთვის სპეცდანიშნულების რაზმი შეიყვანეს. 4 ოქტომბერს კი თერჯოლის #49-ე საოლქო კომისიასთან „ქართული ოცნების“ აქცია შეწყდა. თუმცა როგორც კოალიციის აქტივისტები აცხადებენ, ხმებს სასამართლოს ძალით დაიბრუნებენ.¹⁶⁰

16. ქართული ოცნება“ ხონის არჩევნების შედეგებს ასაჩივრებს. 08.10.2012.
დაძაბული წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ, რომელსაც კოალიცია „ქართული ოცნების“ ორი აქტივისტის 70-70-დღიანი პატიმრობის შეფარდება უძლოდა წინ, ხონში საპარლამენტო არჩევნები შედარებით მშვიდ გარემოში ჩატარდა.

ხონის#55-ე საოლქო საარჩევნო ოლქის 31 უბანი იყო გახსნილი. აქედან ორ სპეციალურ უბანზე კენჭისყრაში ფსიქიატრიული საავადმყოფოს 273 ამომრჩეველი და საჯარისო ნაწილის 159 ამომრჩეველი მონაწილეობდა. ხონის #55-ე ოლქში სულ 24 231 ამომრჩეველი იყო. თუმცა, სხვა ოლქების მსგავსად ბიულეტენები აქაც ნაკლები რაოდენობის მოვიდა.

არჩევნების პროცესში #2-ე საარჩევნო უბანზე აგიტაციის ფაქტი დაფიქსირდა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, აკაკი ბობოხიძის დეიდაშვილი პაატა კაკაბაძე აწარმოებდა. იგი ღიად მოუწოდებდა ამომრჩევლებს ხუთი ნომერი შემოეხაზათ. ამავე უბნის კომისიის თავჯდომარე ხათუნა ბახტაძე იყო, რომელიც პაატა კაკაბაძის მეუღლეა. დამკვირვებლების და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიერ ამ ფაქტის დაფიქსირების შემდეგ კაკაბაძემ საარჩევნო უბანი დატოვა და აგიტაციისთვის ეზოში გადაინაცვლა.

¹⁶⁰ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15681&lang=geo>

პროცედურული დარღვევები დაფიქსირდა #8 საარჩევნო უბანზე. ხონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნიკოლოზ სანოძის მიერ შეტანილ საჩივარზე ხონის N8 უბნის გაბათილების შესახებ, 3 ოქტომბერს საოლქო კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომას ხონის #55-ე საოლქო კომისიაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი გიორგი ვაშაძეც ესწრებოდა. კომისიის სხდომამ უბნის შედეგები უცვლელი დატოვა. როგორც კომისიის თავმჯდომარე, ია კუჭუხიძე აცხადებს:

„პროცედურული დარღვევები უბანზევე უნდა გასაჩივრებულიყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ საჩივარი განვიხილეთ“.

ამ ფაქტს საოლქო კომისიის ტერიტორიაზე ინციდენტი მოყვა. საოლქო კომისიის წინ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილი. კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ მათთან გიორგი ვაშაძე და ხონის „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ბობოხიძე გამოვიდა, რასაც შეკრებილი ხალხის აგრესიული შემახილები მოჰყვა. ვაშაძე პოლიციამ დაცვის საშუალებით გაიყვანა, ხოლო ბობოხიძეს ერთ-ერთმა მხარდამჭერმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც მონაწილეები ამბობენ, ბობოხიძემ შეკრებილებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც სიტუაცია დაიძაბა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ვაშაძეს საოლქო საარჩევნო კომისიაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის სტატუსი სხდომამდე ერთი დღით ადრე, 2 ოქტომბერს, ჰქონდა მიღებული.

კოალიცია „ქართული ოცნების“ #55-ე ოლქის დამკვირვებლის, ალექსანდრე აკობიძის განმარტებით, საკითხს ზემდგომ ინსტანციებში გაასაჩივრებენ და ისინი საკუთარი ხმების დასაცავად კანონით იხელმძღვანელებენ.

აღსანიშნავია, რომ ხონში საოლქო კომისიამ „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატის ნიკოლოზ სანოძის მხრიდან წარმოდგენილ სამ საჩივარს განიხილავდა, თუმცა კომისიამ არც ერთი საჩივარი მათ სასარგებლოდ არ გადაწყვიტა.

#55-ე საარჩევნო ოლქში დღეის ვითარებით არჩევნების შედეგი ასეთია: 48,75% დავით ჭავჭავაძეს აქვს „ნაციონალური მოძრაობიდან“ და 46,9% - ნიკა სანოძეს, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“. ამ შედეგებში ხმების ის რაოდენობაც შედის, რომელიც მაჟორიტარულ არჩევნებში სპეციალურ უბნებზე - ფსიქიატრიული საავადმყოფოს ამომრჩევლებმა და საჯარისო ნაწილიში მყოფმა პირებმა დააფიქსირეს.¹⁶¹

17. კომისიის წევრთა სადილობის გამო დაყოვნებული ამომრჩეველი. ბათუმის #73 საარჩევნო უბანი სკოლის ერთ-ერთ საკლასო ოთახში იყო გახსნილი. საკლასო ოთახის მცირე აღმოჩნდა არჩევნებისათვის, რომელსაც 30-მდე დამკვირვებელი და პარტიების წარმომადგენლები ვაკვირდებოდით. კენჭისყრის პროცედურების შემდეგ, გახსნილი უბანი ხმაურით გამოირჩეოდა.

ამომრჩევლის ნაკადის მოუწესრიგებლობამ, 5 რეგისტრატორზე ამომრჩევლის სიის არათანაბრად გადანაწილებამ, 4 სახის ბიულეტენის გაცემამ, ამომრჩევლების მოკითხვამ როგორც კომისიის წევრების, ასევე დამკვირვებლების მიერ - უბანზე ხმაური გამოიწვია. აღნიშნულის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა რამდენჯერმე მისცა შენიშვნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჯემალ პატარიძეს.

დღის განმავლობაში უბანზე შემოვიდა ერთი ამომრჩეველი „ნაციონალური მოძრაობის“ მოსაწვევით - „მე მიყვარს საქართველო“. კომისიის თავმჯდომარე ჯემალ პატარიძემ მას მოსაწვევის ჯიბეში ჩადება ურჩია. თვითონ ამომრჩეველმა, გრიშა ხიტირმა ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას განაცხადა: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მომიტანა და მითხრა, რომ არჩევნებზე ამ უბანზე უნდა მოვსულიყავი. ამიტომ მეგონა ეს მოსაწვევი თან უნდა მქონოდა“.

¹⁶¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15691&lang=geo>

კომისიის მდივანს 17-საათიანი მონაცემის სადემონსტრაციო ოქმში დროულად შეტანა დაავიწყდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი შენიშვნის დაწერას აპირებდა ჩანაწერთა წიგნში, რა დროსაც მათ შეცდომა გამოასწორეს.

შუადღით, აღნიშნულ საარჩევნო უბანზე შემდეგი ფაქტი დაფიქსირდა. კომისიის თავმჯდომარემ ხმამაღლა განაცხადა: „ამომრჩეველი აღარ არის და რეგისტრატორებსა და ყველას, შეგიძლიათ, ისადილოთ - დილის შემდეგ მუშაობთ“. „მასპინძელმა“ კომისიამ სადილზე მიიპატიჟა დამკვირვებლებიც. თითქმის დაცარიელებულ საარჩევნო უბნის ოთახში, მხოლოდ 3 კომისიის წევრი და რამდენიმე დამკვირვებელი დავრჩით.

დავინტერესდი, ამომრჩეველი მხოლოდ საკლასო ოთახის კართან არ იყო, თუ საერთოდ უბნის შემოსასვლელშიც. უბანი სკოლის პირველ სართულზე, ერთ-ერთ საკლასო ოთახში იყო გახილი. ამიტომ სკოლის შემოსასვლელში გავედი, სადაც ასეთი სურათი დაგვხდა: კომისიის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ლეილა ვარშანიძე კიბის საფეხურებზე მდგომ 8 მოქალაქეს ესაუბრებოდა, მათგან ერთ-ერთი ძალიან მოხუცი იყო. ვიკითხე, ეს მოქალაქეები იყვნენ თუ არა საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მოსულები. მათგან თანხმობის შემდეგ, მათი დათვლა დავიწყე. ერთმა მითხრა, რომ ის ხმას არ აძლევდა, თავის ბეზიას დამხმარედ ახლდა. იქვე, კომისიის წევრმა ვარშანიძემ განმიმარტა, რომ რამდენიმე წუთით კომისიის თავმჯდომარის დავალებით შეაჩერა ამომრჩეველი. საუბრის მიმდინარეობისას ამომრჩეველებს კიდევ 2 შეუერთდა. ჯამში, 9 ამომრჩეველს კომისიის წევრთა სადილობის გამო, 15-წუთიანი ლოდინი მოუწიათ.

აღნიშნულ ფაქტზე საჩივრის წერა დავიწყე, რამაც კომისიის წევრების გარდა, დამკვირვებლების განრისხებაც გამოიწვია. ისინი საჩივრის დაწერის საფუძველს ვერ ხედავდნენ და შეურაცხყოფაზე გადავიდნენ: „ისინიც ადამიანები არიან! არ ჭამონ?! რა არის აქ დარღვევა?! შენ უნდა გკითხოთ, როდის შევჭამოთ?! ამომრჩეველი სად დაინახე, ნეტა, რომ გველოდებოდა, პროვოკაციას ძალად ქმნი“.

მიუხედავად უბანზე არსებული დამკვირვებელთა სიმრავლისა, საჩივარი მხოლოდ ერთი მოწმე-დამკვირვებლით დარეგისტრირდა. თუმცა, სხვა დამკვირვებლებმა აღნიშნული საჩივარის საპირისპიროდ, განცხადებით მიმართეს კომისიას. მასში მიუთითეს, რომ კომისიამ უბანი არა 15 წუთით, არამედ 5 წუთით დატოვა და არც ამომრჩეველი იყო ამ დროს უბანზე. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, დამკვირვებლების განცხადებას ხელი საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრმა და თავმჯდომარემაც მოაწერეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნული განცხადების ასლი მხოლოდ ბათუმის ოლქის თავმჯდომარე, დავით თოდრიასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ მოგვცა.

უბანი, დილის 5:10 წუთზე დავტოვე. მანამდე 828 ამომრჩევლის ბიულეტენები ითვლებოდა. მათგან 4 ამომრჩეველს ერთიან სიაში ხელმოწერა არ ჰქონდა გაკეთებული. რეგისტრატორებმა აღნიშნული ფაქტი კომისიას დღის განმავლობაში აცნობეს და მათგან შესაბამისი ახსნა-განმარტებაც დაიწერა.

საბოლოო მონაცემებით, ბათუმის #73 უბანზე „ბიძინა ივანიშვილი-ქართულმა ოცნებამ“ 70%-ზე მეტი ხმა მიიღო, როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარების შემთხვევაში.

შეგახსენებთ, აჭარაში ამომრჩეველი საპარლამენტო არჩევნების გარდა, აჭარის უმაღლეს საბჭოსაც ირჩევდა. ამიტომ აქ ამომრჩეველი თავის არჩევანს 4 ბიულეტენზე აფიქსირებდა.¹⁶²

(აქ იქნებ ინახოს კოდექსის ის ჩანაწერი, რომელიც შეეხება კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესს).

18. დარღვევები საარჩევნო სპეცუბნების შემაჯამებელ ოქმებში. ბათუმის #79-ე საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული 104 უბნიდან და 4 სპეცუბნიდან მმართველმა პარტიამ - „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 6 საარჩევნო უბანზე გაიმარჯვა. მათგან 3 საარჩევნო უბანი სწორედ სპეცუბანია.

¹⁶² <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15686&lang=geo>

აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-საიტზე (<http://www.sec.ge/>) განთავსებული აჭარის უმაღლესი საბჭოს პროპორციული სიის შემაჯამებელ ოქმებში, სპეცუბნებზე არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არ ემთხვევა მიცემულ ხმათა რაოდენობისა და ბათილად მიჩნეული ბიულეტენების ოდენობას. რაც საერთო აქვთ ამ უბნებს, ის არის, რომ ყველა მათგანში გაიმარჯვა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“.

კერძოდ, #105 სპეცუბნის (იგი #15 საარჩევნო უბანზე იყო მიმაგრებული) შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობად მითითებულია 1841, მიცემული ხმებისა და ბათილად მიჩნეული ბიულეტენების დამატებით კი 1839-ს ვღებულობთ. გაუგებარია, სად „დაიკარგა“ 2 ამომრჩევლის ხმა. აღნიშნულ უბანზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 1118, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ - 652 ხმა დააგროვა.

2 ხმის ცდომილებაა #107 სპეცუბნის შემაჯამებელ ოქმშიც. 1412 ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნაცვლად მიცემულ ხმათა ოდენობა და ბათილად მიჩნეულ ბიულეტენთა ოდენობის ჯამი შეადგენს 1410-ს. აღნიშნულ უბანზეც, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა. მან დააგროვა 701 ხმა, ხოლო კოალიციამ - 629.

#102 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმის მონაცემებში 5 ხმის ცდომილებაა. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობად 702 ამომრჩეველია მითითებული. თუმცა, მიცემულ ხმათა ოდენობა და ბათილად მიჩნეულ ბიულეტენთა ჯამი - 697-ია. აღნიშნულ უბანზე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 492, ხოლო კოალიციამ - 138 ხმა დააგროვა.

საერთო მონაცემებით კი, ბათუმის 79-ე საარჩევნო ოლქის შედეგებით, როგორც საპარლამენტო, ისე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ბათუმში რეგისტრირებული 134 488 ამომრჩევიდან 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა 80 405-მა ადამიანმა მიიღო. მიღებული ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა -

მურმან ღუმბაძემ 48 941 ხმა მიიღო, "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა - გიორგი ბარამიძემ კი 24 193. პროპორციული სისტემით არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა 65, 3 %-ის მხარდაჭერა მოიპოვა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი - 29, 9%-ის.

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა კაკო ძნელაძემ 48 498 ხმით მოიგო. „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, რობერტ ჩხაიძემ კი - 23 800 ხმა დააგროვა.

პროპორციული სისტემით, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, ბათუმში „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველთა 65, 3 %-მა დაუჭირა მხარი, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი - 29,8 %-მა.¹⁶³

19. ქართული ოცნება“ გიორგი ღვინიაშვილისთვის რეგისტრაციის გაუქმებას ითხოვს. კოალიცია „ქართული ოცნების“ გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მანანა ბერიკაშვილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გიორგი ღვინიაშვილს, ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით სასამართლოში უჩივის და მისთვის რეგისტრაციის გაუქმებას ითხოვს.

„2012 წლის 5 ოქტომბერს, დაახლოებით 14 საათზე, გურჯაანის საარჩევნო შტაბში მოვიდნენ სოფელ კარდენახში მცხოვრები ამომრჩევლები გელა მაისურაძე, ნუგზარ შაკიაშვილი და გიორგი ბერიკელაშვილი, რომლებმაც შტაბის უფროსს გრიგოლ ბერაძეს მიმართეს, რომ აღმოეჩინა დახმარება კახეთის ხელმძღვანელობის მიერ შეცდომაში შეყვანილი მოსახლეობისთვის. კერძოდ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ანუ დაახლოებით აგვისტოს ბოლოს, სოფელში მცხოვრებმა საარჩევნო ხმის უფლების მქონე 93-მა ადამიანმა, რომელთაც სხვადასხვა ბანკებიდან აღებული ჰქონდათ მიზნობრივი სესხები, მიმართეს ქალაქ თელავში, კახეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი სიბაშვილს, რომ მომხდარიყო მათ მიერ

¹⁶³ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15712&lang=geo>

აღებული სესხების გადახდის გადავადება. გიორგი სიბაშვილი დაპირდა მათ, რომ ყველას გადაუვადებდნენ ბანკის ვალის გადახდის დროს და აღნიშნულს გააკეთებდნენ იმის მსგავსად, რაც სახელმწიფომ ოფიციალურად გაუკეთა გურჯაანის რაიონში 2012 წლის 19 ივლისს სტიქიისგან დაზარალებულებს. როგორც ცნობილია, კარდენახი სტიქიური უბედურების ზონაში არ შედიოდა. სესხების გადავადების სანაცვლოდ, სიბაშვილმა მათგან მოითხოვა, რომ პირადად და თავისი ოჯახის წევრებით ხმას მისცემდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გიორგი ღვინიაშვილს. ამასთან, აქტიურად ამოუდგებოდნენ მხარში „ნაციონალურ მოძრაობას“ და ხმას მიაცემინებდნენ სხვა ამომრჩეველსაც. აღნიშნული დაპირება უნდა შესრულებულიყო ბანკების მიერ მათთვის პირველივე სესხის დაფარვის მომენტისთვის, რაც ზოგიერთი კარდენახელისათვის აღმოჩნდა არჩევნების წინა დღეები. 1 ოქტომბრამდე ბანკებს მართლაც აღარ შეუწყებია კრედიტორები და არ მოუთხოვიათ სესხების დაფარვა. მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, თითქმის ყველა ბანკმა ამ მოვალეებს შეატყობინა, რომ მათ პროცენტებს გადაცილებული ჰქონდა ვადა და ამისათვის ერიცხებოდათ პირგასამტეხლო. ამაზე აღშფოთებული ხალხი მივიდა გიორგი ღვინიაშვილთან, რომელმაც საქმის მოგვარება დაავალა ზაქრო იაგანაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მისი საარჩევნო შტაბის უფროსს. როცა გიორგი ღვინიაშვილმაც ვერ მოუგვარა აღნიშნული საკითხი, განაწყენებული კარდენახელები, რომელთაც მოსყიდვის გამო ხმა მიცემული ჰქონდათ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და გიორგი ღვინიაშვილისთვის, მოვიდნენ ჩვენთან, ანუ „ქართული ოცნების“ ოფისში და ითხოვეს დახმარება, რაზედაც ვუპასუხეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირება იყო უკანონო და ამ საკითხს გავარკვევდით კანონის შესაბამისად“, – აღნიშნავს მანანა ბერიკაშვილი.

მისივე თქმით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე,

აკრძალულია საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა);

„ჩვენს შემთხვევაში, მოქალაქეებს 1 წლის ვადით სესხის გადავადების შემთხვევაში პირად საკუთრებაში დარჩებოდათ პროცენტების სახით გადასახდელი. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, სასამართლოში დაბარებულია 6 პირი. სარჩელით ვითხოვთ, რომ დეკუტატობის კანდიდატს გიორგი ღვინიაშვილს რეგისტრაცია გაუუქმდეს“, – აცხადებს მანანა ბერიკაშვილი.

კახეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი სიბაშვილი მანანა ბერიკაშვილის ბრალდებებს უარყოფს. მისი თქმით, გუბერნატორის ადმინისტრაციაში ათასობით მოქალაქის განცხადებაა რეგისტრირებული სტიქიით გამოწვეული ზარალის გამო სესხების გადავადების თაობაზე. „როგორც ჩანს ეგ ადამიანები იტყუებიან, თუ სტიქიით არ დაზარალებულან, მაშინ რატომ მოგვმართეს? ჩემი მხრიდან დახმარების გაწევის სანაცვლოდ არავითარ მოთხოვნას, რომ არჩევნებში რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის დაეჭირათ მხარი, ადგილი არ ჰქონია“, – განუცხადა გიორგი სიბაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

გურჯაანის რაიონული სასამართლო სარჩელის განხილვას, დღეს, 13:00 საათზე დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ გურჯაანის საარჩევნო ოლქში, არჩევნებში მონაწილეობა 37 338-მა ამომრჩეველმა მიიღო. მაჟორიტარულ არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გიორგი ღვინიაშვილი 51,29%-ით (18 596 ხმა) ლიდერობს, „ქართული ოცნების“ კანდიდატს მანანა ბერიკაშვილს 15 810 ხმა (43,6%) აქვს.

პროპორციულ არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 49,33% (17 944 ხმა) მიიღო, „ქართულმა ოცნებამ“ კი 45,0% (16 378 ხმა).¹⁶⁴

20. ქართული ოცნება“ მარტვილის ყველა საარჩევნო უბანზე ხმების თავიდან დათვლას მოითხოვს. „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მარტვილში საპარლამენტო არჩევნების შედეგები გადასასინჯია და საარჩევნო უბნების შედეგები უნდა გაბათილდეს. აქტივისტების მტკიცებით, კოალიციისა და მისი მაჟორიტარი კანდიდატის, მურთაზ ხურცილავას დამარცხება არჩევნების გაყალბებამ განაპირობა.

საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე კოალიციამ ყველა საარჩევნო უბნის ხელახალი გადათვლა მოითხოვა, რაც კომისიის წევრების გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა.

ერთ-ერთი საჩივარი ეხებოდა # 19 საარჩევნო უბნის გადათვლას. კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, #19 უბნის შედეგები გახსნეს და ხელმეორედ გადათვალეს. გადათვლის შედეგად რამდენიმე დარღვევა დაფიქსირდა. ამავე დროს, ბიულეტენების რაოდენობა საჭიროზე მეტი აღმოჩნდა - 602-ის ნაცვლად 607 ბიულეტენი დაფიქსირდა. იმის გამო აღნიშნულ უბანზე შედეგები გაბათილდა. ამ ფაქტმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, გიორგი ყურუას აღშფოთება გამოიწვია.

„მოვითხოვთ ყველა უბნის გადათვლას. გახსენით ყველა საარჩევნო ჟურნალი და დადგინდება სიმართლე! მარტვილში რომ არჩევნები გაყალბებულია, ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ პროპორციულ სიაში 805 ხმა გაბათილებულია, რაც შეუძლებელად მიმაჩნია. არჩევნების პერიოდში რამდენიმე საჩივარი დაიწერა უბნებზე და არავის რეაგირება არ მოუხდენია. ხომ ხედავთ, რომ მარტვილში ყოველდღიურად იძაბება სიტუაცია. რისი გეშინიათ?! გახსენით შედეგები და ამით განვმუხტოთ სიტუაცია. სასამართლო მაინც გაგახსნევინებთ. რად გინდათ ეს

¹⁶⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15724&lang=geo>

ინსტანციები, არ ჯობია თავად გახსნათ და გადავთვალოთ?!“ - მიმართა გიორგი ყურუამ კომისიის წევრებს.

კომისიის თავჯდომარემ გრიგოლ ბართიამ ყურუას მიერ მოყვანილი მაგალითები არგუმენტად არ ჩათვალა და მას რეგლამენტის დარღვევისთვის, სხდომის დატოვება მოსთხოვა: „ეს არგუმენტი არაა, ეს შენი სურვილია. თუ არ გაჩუმდები, სხდომიდან გაგაგდებ. უბნების გადათვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს, რადგან უბნებიდან არანაირი საჩივარი არ შემოსულა“.

საპირისპიროს ამტკიცებდა „ზვიად გამსახურდია - თავისუფალი გზის“ წარმომადგენელი ირაკლი ჯამბურია: „რამდენიმე უბანზე და მათ შორის - ჭყონში თავა შევესწარი, რომ მდივანმა არ გაატარა საჩივარი. რატომ არ ხსნით შედეგებს? ეს უფრო იძლევა ეჭვის საბაზს. გავხსნათ და დავინახავთ სიმართლეს და რეალობას“.

სხდომის მიმდინარეობისას განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლე და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ზაზა გოროზიას რძალი ოლგა შურკანოვა, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს წარმომადგენელი გახლდათ. შურკანოვა თავმჯდომარის ნაცვლად აგრესიულად პასუხობდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს.

#19 საარჩევნო უბანზე შედეგების გაბათილებამ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს კიდევ უფრო გაუზარდა ყველა უბნის გადათვლის სურვილი. თუმცა, კოალიციის მოთხოვნა საოლქო კომისიამ არ დააკმაყოფილა. ამიტომ „ქართული ოცნება“ ბრძოლის სასამართლოში გაგრძელებას გეგმავს.¹⁶⁵

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე თითქმის ერთ წლიანი

¹⁶⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15731&lang=geo>

გრძელვადიანი მონიტორინგის დროს გამოვლინდა ე.წ. სახელისუფლო რესურსის გამოყენების 143 შემთხვევა. ამათგან, ჟურნალისტური საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლის 21 შემთხვევა, რომლებშიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილეობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები; აგრეთვე, ხელისუფლების ძალოვანი, საზედამხედველო, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გამოყენების 123 შემთხვევა. ამ ბოლო შემთხვევებში იგულისხმება, პოლიტიკური ნიშნით დევნის, ზეწოლის (მათ შორის ბიზნესსა და კერძო მესაკუთრეებზე დევნის), პოლიტიკური ნიშნით დაკავების და ამომრჩევლის პირდაპირი, თუ არაპირდაპირი მოსყიდვის ფაქტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უშუალოდ კენჭისყრის დღეს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა ხმის მიცემისა და დათვლის პროცესში გამოავლინეს სახელისუფლო-ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით ამომრჩეველზე ზეწოლის, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, საარჩევნო უბნებზე კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების (ძირითადად მმართველი პოლიტიკური პარტიის და მისი კანდიდატების) სასარგებლოდ აგიტაციისა და სხვადასხვა სახის ძალადობის 20-ზე მეტი ფაქტი. ანგარიშში აღნიშნულია უშუალოდ ის დარღვევები, რომლებმაც, ჩვენი დამკვირვებლების აზრით, იმოქმედა შესაბამის უბნებზე დამდგარ შედეგებზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ზემოაღნიშნულ დარღვევებს, რთულია 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ეწოდოს სამართლიანი, იგი უფრო მეტად წააგავდა ხელისუფლებისა და ამომრჩევლის მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებას და ხელისუფლების მიმართ, ამომრჩეველთა მიერ გამოცხადებულ, ერთგვარ “პოლიტიკურ დაუმორჩილებლობას”, რომელშიც საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ამომრჩეველმა, რასაც შედეგად მოჰყვა პრაქტიკულად მთლიანი ხელისუფლების და არა, მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის მშვიდობიანი შეცვლა. ის, რომ ეს მართლაც ასეა, ამას ადასტურებენ ის პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც არჩევნების შემდგომ განვითარდა. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები,

რომ საქართველოში დღეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი არ იყო ვალდებული დაეთხოვა მთავრობა და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური გუნდისათვის მიეცა ახალი მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობა. ამასთან, საქართველო, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, ე.წ. “ჰიპერსაპრეზიდენტო” რესპუბლიკას, რა დროსაც, პოლიტიკურ-სამართლებრივი ძალაუფლების ცენტრი, ძირითადად თავმოყრილია, ზუსტად პრეზიდენტის და არა პარლამენტის ხელში. ამრიგად, სამართლებრივად დღეს გვაქვს იმგვარი სიტუაცია, როდესაც არა პრეზიდენტია ოპოზიციური პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი, არამედ, ქვეყანას ჰყავს ოპოზიციური პარლამენტი. ამ კონსტიტუციურ-სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ადგილი აქვს მთლიანად ხელისუფლების და არა, მხოლოდ პარლამენტში უმრავლესობის მქონე პოლიტიკური პარტიის ცვლილებას, ვინაიდან, სახელმწიფოში ხელისუფლების უმთავრესი ბირთვის მტვირთველი - საქართველოს პრეზიდენტი - რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს არჩევნებში დამარცხებულ “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” - შექმნილი პოლიტიკური და არა სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე, იძულებულია უარი თქვას საკუთარი უფლებამოსილებების გამოყენებაზე.

ამრიგად, შექმნილი ვითარება კვლავ წააგავს, ერთგვარ რევოლუციურ მდგომარეობას, რომლის დროსაც გამარჯვებული იღებს ყველაფერს, ხოლო, არჩევნებამდე არსებული სახელისუფლო ვერტიკალი განიცდის სრულ დემონტაჟს. ამგვარი სიტუაცია, დიდ წილად, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საარჩევნო დაპირისპირება მიმდინარეობდა არა მხოლოდ საარჩევნო სუბიექტებს, არამედ, ერთი მხრივ, ხელისუფლებას, რომელთანაც იყო გაიგივებული სახელისუფლო პარტია, ხოლო, მეორე მხრივ კი, ოპოზიციურ პოლიტიკურ კოალიციასა და მის მხარდაჭერებს შორის. ხელისუფლებასთან აბსოლიტურად შერწყმულ მმართველ პარტიას არ წარმოედგინა, რომ საქართველოს ამომრჩეველი უახლეს მომავალში შეძლებდა

არჩევნების გზით, ხელისუფლების შეცვლას, ზუსტად ამიტომ არ აღმოჩნდა დღეს მოქედი კონსტიტუცია ამგვარი პოლიტიკური რეალობისათვის მზად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეულ წილად, საქმე გვაქვს არა სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებთან, არამედ, უფრო ხელისუფლების ერთგვარ უუნარობასთან, წინააღმდეგობა გაეწია “პოლიტიკური დაუმორჩილებლობისათვის”, რასაც ხელი შეუწყო, აგრეთვე, ძლიერი და ერთიანი ოპოზიციური გაერთიანების შექმნამაც.

თუ კარგად გავაანალიზებთ საარჩევნო პროცესის დროს გამოვლენილ დარღვევებს, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავეით წინასაარჩევნო პერიოდში იგრძნობოდა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ გააკეთა მაქსიმუმი იმისათვის, რომ თვითონ ხმის მიცემის პროცესს დაეკარგა აზრი და კენჭისყრა გამხდარიყო მართული. ხელისუფლების წარმომადგენელთა ამგვარი ქცევა განპირობებული იყო იმ დიდი ინტერესითა და მოლოდინებით, რომლებიც, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე არსებობდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისა და განსაკუთრებით, ზუსტად, ხმის მიცემის და დათვლის პროცესისადმი.

როგორც უკვე აღინიშნა, წინასაარჩევნო პროცესი გამოირჩეოდა მკვეთრი პოლარიზაციით, რომელშიც ჩართული იყო მთლიანი სახელისუფლო ვერტიკალი, სასამართლო სისტემა, სამართალდამცველი და მაკონტროლებელი ორგანოები, რიგ შემთხვევებში, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციები. ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს აღიქვამდა არა როგორც პარტნიორებს, არამედ, როგორც საარჩევნო კონკურენტებს, იმ დროს, როდესაც *“არჩევნების პროცესში სახელმწიფოს აქვს ვალდებულება თანასწორობის უზრუნველყოფელი პირობების შემოღებისა. ამ პროცესში მისი ძირითადი ფუნქციაა, არ მოახდინოს ვინმეს შეზღუდვა ან პრივილეგირება გონივრული დასაბუთების გარეშე.”*¹⁶⁶

¹⁶⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იგივე გადაწყვეტილება.

იმ სიტუაციაში, როდესაც ამომრჩეველთა უმეტესობის პოლიტიკური სიმკათია მიმართული იყო ძირითადი ოპოზიციური გაერთიანების მიმართ, ხელისუფლების ზემოაღნიშნული მოქმედებები, კიდევ უფრო ამძაფრებდა ისედაც რთულ პოლიტიკურ ფონს. უშუალოდ წინასაარჩევნოდ, მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ქვეყანა დადგა რეალური პოლიტიკური დაპირისპირების წინაშე და რომ არა, თუნდაც უფრო მეტად კონსტრუქციული ოპოზიციის, მდგომარეობა შეიძლება სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოსულიყო.

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც მოხდა ხელისუფლების სრული გაუცხოება ამომრჩეველის მიმართ. მოქალაქეთა დიდ ნაწილს გაუჩნდა განცდა, რომ ისინი სახელმწიფოს მხრიდან დაცვისა და რეგულირების გარეშე იყვნენ დარჩენილები. ამიტომ, ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების მიერ განხორციელდა, ერთგვარი პარალელური მმართველობითი ინსტიტუტების ჩამოყალიბება იმ მიზნით, რათა სახელმწიფო რეგულირების გარეშე დარჩენილი სფეროები მოწესრიგებულიყო. ამას ადასტურებს, ოპოზიციური მიტინგების დროს, თვითონ, მოქალაქეების და პოლიტიკური აქტივისტების მიხრიდან წესრიგის დაცვის მცდელობები, რისი მოვალეობაც რეალურად გააჩნია პოლიციას, რომელიც არსად ჩანდა. ამგვარი დემონსტრაციების შემდეგ, ქუჩების დალაგება, რომლებსაც ასევე ოპოზიციური აქტივისტები ახორციელებდნენ. მოქალაქეებს იგივე განწყობა გააჩნდა ხმის მიცემის დღესაც, როდესაც თითქმის ყველა უბანზე, ოპოზიციური დამკვირვებლები აწარმოებდნენ უწყვეტ ვიდეო მონიტორინგს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს, ზუსტად წინა დღეს დაუკავშირდნენ პოლიციიდან და 2 ოქტომბერს დაიბარეს დაკითხვაზე, თითქოსდა მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების მშვიდობიანად და ამგვარი შედეგით დასრულება, დიდ წილად, განაპირობა ზუსტად ამომრჩეველმა, ასევე, როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო დამკვირვებელთა

უპრეცედენტოდ დიდმა რაოდენობამ. ამ გარემოებამ ხელისუფლება დააყენა იმგვარი არჩევანის წინაშე, რა დროსაც იგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ამომრჩევლის ნებას. დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა, მიუხედავად ხელისუფლების აქტიური წინააღმდეგობისა, თვითონ მოიპოვეს, დაიცვეს და განახორციელეს თავიანთი საარჩევნო უფლება, შექმნეს ხალხის რეალური მმართველობის პირველი პრეცედენტი საქართველოში და გადადგეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობის გზაზე.

რეკომენდაციები

1. მაჟორიტარული ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის უთანაბრობა, რაც, უკვე დიდი ხანია, ვენეციის კომისიის შემფოთების საგანსაც წარმოადგენს, პრაქტიკულად უცვლელად არის დატოვებული.¹⁶⁷ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობებში დაშვებული განსხვავებები, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, არ უნდა აღემატებოდეს 10-15%-ს¹⁶⁸. მიუხედავად ამისა, საქართველოს საარჩევნო ოლქების 82%-ში ეს მოთხოვნა დარღვეულია. ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქებში მერყეობს 6 000-დან 160 000-მდე (2010 წლის ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციით)¹⁶⁹. ამიტომ მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს საარჩევნო ოლქების საზღვრების გადახედვა იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანი დარღვევა გამოსწორდეს

¹⁶⁷ <http://www.osce.org/odihr/86401>

¹⁶⁸ [http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD\(2002\)023-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023-e.asp)

¹⁶⁹ http://www.cesko.ge/files/2012/PARLAMENTIS%20ARCHEVNEBI/amomrchevlebis_raodenoba.pdf

2. საქართველოს ახალმა საარჩევნო კოდექსმა გაითვალისწინა ე.წ. “საარჩევნო თავდების” ინსტიტუტი. ზოგადად, შესაძლოა, ამ ინსტიტუტს მართლაც გააჩნდეს ლეგიტიმური მიზანი - დაიცვას არჩევნები ე.წ. ზედმეტად არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისაგან, მაგრამ ქართული კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი გიროს სავალდებულოა მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის და არ არის სავალდებულო პარტიის, ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ეს უსამართლობა უნდა გამოსწორდეს და შესაბამისი კანდიდატები კანონმდებლობამ ჩააყენოს თანასწორ პირობებში

3. ახალი საარჩევნო კოდექსით უცვლელი დარჩა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. აღნიშნული წესი არ უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის აპოლიტიკურობას და მიუკერძოებლობას, ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება უნდა გადაიხედოს და მოიძებნოს ადმინისტრაციის დაკომპლექტების იმგვარი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა მის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას.

4. აქვე აღსანიშნავია, რომ ცესკოს თავმჯდომარეს საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გატარების ერთპიროვნული უფლება გააჩნია, ისევე როგორც მაჟორიტარი კანდიდატების დარეგისტრირების შემთხვევაში - შესაბამისი საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს. თუმცა, ადრე რეგისტრაციას შესაბამისი კომისიები ახორციელებდნენ. მიგვაჩნია, რომ ეს წესიც აუცილებლად უნდა გადაიხედოს

5. *ამომრჩეველთა სიები.* მნიშვნელოვანია სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ საარჩევნო ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყოს საარჩევნო სიების დახვეწა. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი არ არის დამატებითი კომისიების შექმნა და საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა, მაშინ როდესაც ამ სამსახურებს საკმარისი რესურსი გააჩნიათ აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზით. სრულყოფილი

და ზუსტი სურათის მისაღებად, აუცილებელია განხორციელდეს მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო აღწერა

6. წინასაარჩევნო აგიტაციის საკითხებს, ძირითადად აწესრიგებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 45-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილი კვლავ შეიცავს წინასაარჩევნო აგიტაციის აკრძალვას უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისათვის. მიგვაჩნია, რომ ეს არის აბსოლიტურად გაუმართლებელი შეზღუდვა და იგი აუცილებლად უნდა გადაიხედოს. ამასთან ერთად, ვენეციის კომისიის შესაბამის დასკვნაშიც ეს ჩანაწერი ნეგატიურად არის შეფასებული.
7. არჩევნების დღეს აგიტაციას კვლავ უშვებს ახალი საარჩევნო კოდექსი, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ ნებისმიერი სახის წინასაარჩევნო საქმიანობა არჩევნებამდე 24 საათით ადრე შეწყვეტილიყო¹⁷⁰. ამასთან, ვენეციის კომისიის იგივე დასკვნის მიხედვით, გარკვევით უნდა მომხდარიყო იმ ობიექტების განსაზღვრა, რომლებშიც დაუშვებელია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება და მას დამატებოდა, ასევე, შესაბამისი საარჩევნო კომისიები, თუნდაც, მხოლოდ, კენჭისყრის დღეს მაინც. ამ თვალსაზრისით 2012 წლის ივნისში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, კენჭისყრის შენობაში აკრძალა წინასაარჩევნო აგიტაცია, მაგრამ მხოლოდ კენჭისყრის დღეს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი აკრძალვა არასრულყოფილია და საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა შენობაში მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში უნდა იყოს აკრძალული წინასაარჩევნო აგიტაცია.
8. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მათ შორის - გუბერნატორებს და გამგებლებს, კვლავაც ექნებათ აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება. მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად უნდა დავიწროვდეს საარჩევნო მიზნებისთვის პოლიტიკური თანამდებობის

¹⁷⁰ <http://www.osce.org/odihr/86401>

პირთა წრე და მათში მხოლოდ არჩევითი თანამდებობის პირები უნდა შედიოდნენ.

9. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა კოდექსში. ვთვლით, რომ საარჩევნო კანონმდებლობა უნდა გამორიცხავდეს ადმინისტრაციული რესურსის პარტიული და საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების ველგვარ ყმესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ნორმატიული ბაზის დახვეწის გზით. კერძოდ, მოხდეს ადმინისტრაციული რესურსის ცნების გაფართოება, გამკაცრდეს და დაიხვეწოს ამ დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და მისი დაკისრების მექანიზმები.
10. მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდე, საქართველოს ცესკოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელმაც დამატებითი რეგულაციები დაადგინა კენჭის ყრის დროს, საარჩევნო უბნის შინგნით ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის. ვთვლით, რომ კოდექსის არსებული ნორმა საკმაოდ კარგად განსაზღვრავ გადაღების პირობებს, იმგვარად, რომ ხელის არ შეეშალოს ამომრჩეველს ხმის მიცემის დროს.
11. საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, **“ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი...”**. მიგვაჩნია, რომ ეს არის გაუმართლებელი შეზღუდვა და გაუგებარია მისი ლეგიტიმური მიზანი. ამიტომ, ვთვლით, რომ ეს წესი უნდა გადაიხედოს.
12. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს კანონმდებლობა პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების შესახებ, როგორც ნორმატიული ბაზა, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უნდა უზრუნველყოფდეს კანონის სამართლიან,

გონივრულ, ნათელ განმარტებას და თანასწორ აღსრულებას ყველა სუბიექტების მიმართ.

13. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო დავების გადაწყვეტის სასამართლო მექანიზმი უნდა გადაიხედოს, როგორც გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის ვადების თვალსაზრისით, ისე მათი განხილვის ხარისხის თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ გაიზრდება, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, უშუალოდ საარჩევნო დავებთან მიმართებით.
14. გასული არჩევნების განმავლობაში გამოვლენილი უკანონო ქმედებების სათანადო გამოძიების მიზნით, მნიშვნელოვანია შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის მიზანი უნდა იყოს დაზარალებულ პირთა უფლებების აღდგენა, დამრღვევ პირთა, განსაკუთრებით საჯარო მოხელეთა პოლიტიკური თუ სხვა სახის პასუხისმგებლობის დაყენება, რაც უმნიშვნელოვანესია მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციის თვალსაზრისით.
15. გადაიხედოს კენჭისყრის ცალკეული პროცედურები, აუცილებელია დაინერგოს გაყალბების თავიდან აცილების უფრო ეფექტური და მაღალტექნოლოგიური მეთოდები, რომლებიც გამორიცხავდა ფალსიფიკაციის ისეთ ფორმებს, როგორც არის ე.წ. „კარუსელი“ და სხვა.
16. მიგვაჩნია, რომ უნდა შეიზღუდოს სპეციალურ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა წრე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, რომ ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში იზრუნოს, გამომდინარე იქიდან, რომ მომავალი 2 წელი, საქართველოში არის საარჩევნო წლები. აქედან გამომდინარე, ამ საკითხებზე მსჯელობის და მათი გადაწყვეტის გადადება, ან არაგონივრული გაჭიანურება, ჩვენთვის მიუღებელი და გაუმართლებელია. ამასთან ერთად, ჩვენ, როგორც

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მზად ვართ, აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად ვითანამშრომლოთ ხელისუფლებასთან.